[illegible] საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური & თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

სამშაბათი, 9 თებერვალი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 31 (1486)

დღიური

— ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ გადასწყვიტა იცნოს საბჭოთა კავშირი.
— იტალია-გერმანიას შორის კონფლიქტი დამთავრდა.
— ამხ. რაკოვსკი ჩავიდა პარიზში.
— მუშათა ფრაქციის ერთმა ჯგუფმა უნდობლობა გამოუცხადა ბალდვინის მთავრობას.
— გერმანიის ს. დ. უარს ამბობენ ერთიან ფრონტზე კომუნისტებთან.

„კომუნისტი“-ს რედაქცია
გადავიდა
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩაზე
№ 68.

ერთა ლიგა და გერმანია

როგორც დღევანდელი ცნობებიდან სჩანს, შემდგარი გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა პრემიერების თათბირი ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხის განსახილველად. ამ თათბირის შედეგია ის, რომ ლიუტერის მთავრობას გუშინ, 8 თებერვალს, უნდა აღეძრა ოფიციალური შუამდგომლობა ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შესახებ. მოსალოდნელია, რომ ამ თვეშივე გაიმართება ლიგის პლენუმი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ თხოვნას, ამნაირად „დააბედნიერებს“ გერმანიას და მას შეიყვანს „ევროპის ხალხთა ოჯახში“.

როგორც ვიცით, ერთა ლიგისადმი დამოკიდებულების საკითხმა კინაღამ შეიწირა ლიუტერის კაბინეტი. ლიგის წინააღმდეგ რეიხსტაგში მძლავრი ოპოზიცია გაჩნდა. ლიუტერი გადარჩა მხოლოდ სოციალ-დემოკრატების წყალობით, რომელთაც მისდამი ნდობის გამოცხადების დროს თავი შეიკავეს და ამ გზით უზრუნველჰყვეს მისთვის ხმების თუნდაც მცირედი უმრავლესობა. ერთსულოვნობა არ ყოფილა ზევით ხსენებულ თათბირზედაც. ზოგიერთ სახელმწიფოთა პრემიერები ილაშქრებდნენ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ; ხოლო ზოგიერთებს, რომელნიც მხარს უჭერდენ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლას, არ გააჩნიათ თავიანთ პარლამენტებში უმრავლესობა. თვით რეიხსტაგში ლო-[illegible] მიიღო ხმების ორი მესამედი, რომელიც საჭირო იყო მის დასადასტურებლად. საერთოდ ლოკარნოს ხელშეკრულებას და ერთა ლიგას გერმანიის მრავალრიცხოვანი წრეები, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ეჭვი არ არის, ალმაცერათ და პირდაპირ უარყოფითად უყურებენ. მიუხედავად ამისა ლიუტერის მთავრობამ მაინც გადაწყვიტა ლიგაში გერმანიის შეყვანა და იგი ატუზულია მის კარების წინ,—როდის გააღებენ და შეიშვებენო.

მსუბუქდება თუ არა გერმანიის მძიმე ხვედრი ლიგის წევრად გახდომით? ოდნავადაც არა. მოკავშირეებმა, რომელთაც შეშინდათ ოპოზიციის ზრდისა ლიგის წინააღმდეგ გერმანიაში, დასცალეს კიოლნის რაიონი, რათა შეექმნათ ერთგვარი ილუზიები გერმანიის წრეებში და ლიუტერისათვის გაეადვილებიათ გერმანიის შეყვანა ერთა ლიგაში. ამ მანევრით ნაწილობრივ მიზანსაც მიაღწიეს, თუმცა ცხადია, რომ კიოლნის განთავისუფლება ლოკარნომდეც გადაწყვეტილი იყო და გამომდინარეობდა ვერსალის ხელშეკრულებიდან. ასე რომ გერმანია ნამდვილად არაფერ შეღავათს არ ღებულობს ლოკარნოდან და ერთა ლიგაში შესვლიდან. მოკავშირეებმა უარი განაცხადეს გერმანიის რაიმე მოთხოვნის შესრულებაზე, სანამ იგი ლიგის წევრი არ გახდება. გერმანია შედის ერთა ლიგაში ყოველი წინასწარი პირობის გარეშე, რომელიც მოკავშირეებს რაიმე ვალდებულებას დააკისრებდა მისდამი. ხოლო როცა გერმანია გახდება ლიგის წევრად, მით უმეტეს იგი ვერ შესძლებს თავის უფლებების დაცვას, რადგან როგორც ფაქტიურად, ისე ფორმალურად სავსებით მოექცევა ინგლის-საფრანგეთის კლანჭებში.

ლოკარნოსა და ლიგასთან დაკავშირებული იმედები გერმანიას არ უმართლდება. ავიღოთ თუ გინდ გერმანელ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა. ვერსალის „ზავის“ შემდეგ გერმანელები საგრძნობი რაოდენობით მოექცნენ სხვა სახელმწიფოებში, სადაც ისინი ნაციონალურ დევნას განიცდიან. გერმანია ფიქრობდა, რომ იგი ერთა ლიგის საშუალებით შესძლებდა მათი ინტერესების დაცვას, თუ გახდებოდა ლიგის წევრი. მაგრამ ერთა ლიგის საბჭომ შექმნა ისეთი პირობები, როცა გერმანია მონაწილეობას ვერ მიიღებს გერმანელ უმცირესობათა საკითხების გადაჭრაში ლიგის სხდომებზე. უკანასკნელი კონფლიქტი იტალიასთან ცხადყოფს, რომ გერმანია ამ მხრივ იმედგაცრუებული რჩება. მუსოლინი აწარმოებს იტალიისადმი ვერსალის ხელშეკრულებით შემოერთებულ გერმანულ მოსახლეობის იტალიზაციას. ამან აღშფოთება გამოიწვია გერმა-[illegible] დღეს გაეცნობა მუსოლინის მუქარით აღსავსე გამოსვლას, მუსოლინის, რომელსაც ხელი უწერია ლოკარნოს ხელშეკრულებაზე. ამაოდ იქნება გერმანიას ერთა ლიგის გამოქომაგების იმედი ამ საკითხში.

საერთოდ გერმანიის უფლებები ფეხქვეშ ითელება. არავითარი საფუძველი არ არის, რომ ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვლება ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შემდეგ. ამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ გერმანია ებმება იმპერიალისტების კომბინაციებში და მათი ბრმა იარაღათ ხდება. მაგ., დღეს ნახეთ ჩინეთის პროტესტს ვაშინგტონის შეთანხმებისადმი გერმანიის შეერთების გამო. ეს შეთანხმება კი აწესებს ჩინეთში ევროპის მთავარ ქვეყნების და ამერიკის პრივილეგიებს. ცხადია, რომ ამ პრივილეგიებით გერმანია ფაქტიურად ვერ ისარგებლებს, მაგრამ იგი მაინც კვერს უკრავს ჩინეთის დამონებას იმპერიალისტების მიერ. ასეთია ლოკარნოს ლოღიკა. ინგლისი ცდილობს გამოიყენოს გერმანია კერძოდ საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის წინააღმდეგ. საამისო ფაქტები უკვე გვაქვს. როცა გერმანია ლიგის წევრი გახდება, ინგლისი მას უფრო ჩააბამს თავის იმპერიალისტურ პოლიტიკაში. ამნაირად, გერმანია კარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ინგლისის იმპერიალიზმის [illegible] ხდება, სამაგიეროდ კი არაფერს იგებს.

მიწათ-მოწყობა 1926 წლის გეგმით

მიმდინარე წელს ჩვენი მიწათმოწყობა როგორც რაოდენობით, ისე თვისებით ძლიერათ განსხვავდება წინა წლების მუშაობისაგან. მართალია, ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმით განზრახული რაოდენობა მუშაობისა არ შეიძლება იქნეს მიღწეული, რადგან ერთ გამოთხოვილი კრედიტის მიღება მოხერხდა და არც მიწისმზომელთა საჭირო რაოდენობა იშოვება, მაგრამ ისიც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, რომ ამჟამათ მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში არის 92 მიწისმოწყობის ტეხნიკი გასული წლის 56 ნაცვლად. გარდა ამისა საველე მუშაობა ამ წელში იწყება თებერვალში, ე. ი. სამუშაო წელს ემატება ორი თვე, რაც საქართველოსათვის სრულიად უჩვეულოა, რადგან 1925 წლამდე, ჩვეულებრივად, ფულის უქონლობის გამო, მუშაობა იწყებოდა ივნისში, ხშირათ ივლისშიაც, და მხოლოდ 1925 წ. შესძლო კომისარიატმა მიწისმზომელთა სოფლად გაგზავნა აპრილში.

თავის თავად ცხადია, რომ თებერვალში, მარტში, თუნდაც აპრილში, მუშაობა მიწათმოწყობაზე მთიან ადგილებში შეუძლებელია, რის გამოც მთელი ის ძალები, რომელნიც განაწილებულია მესხეთ-ჯავახეთისათვის და სხვა ამგვარ მაღალ ადგილებისათვის, მოხმარებული იქნებიან ეხლავე ბორჩალოში, ყარაიაში, ქიზიყში, შირაქში, სამგორის ველზე და ალაზნის ველ-მიდამოებში, რაც მოგვცემს 155 ზედმეტ სამუშაო თვე-ტეხნიკს. თვეში რომ ორთაშუა ვივარაუდოთ 60 კომლის მიწით მოწყობა, ეს შეიცავს 9300 კომლს, ან 93 ნორმალურ სიდიდის სოფელს.

მიუხედავათ იმისა, რომ საპერსპექტივო გეგმის რაოდენობითი მხარის დაცვა შეუძლებელი შეიქნა მიწათმოქმედების კომისარიატისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ამ გეგმის ძირითადი დებულებები მაინც სავსებით დაცული იქნება. ამ დებულებებით პირველ საოპერაციო (1926) წელს მთელი ძალა უნდა მიმართულ იქნეს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონზე, რასაც სამი მთავარი მოსაზრება უდევს საფუძვლად: მიწის სარგებლობის ფორმის გარდატეხა და მისგან გამოწვეული რთული მიწათმოწყობის აუცილებლობა, საძოვრების საქმე და საახალშენო საადგილმამულო ფონდის შექმნა. სამივე ეს საკითხი, გათვალისწინებული საპერსპექტივო გეგმით, თავისთავად იმდენათ დიდი მნიშვნელობისაა, რომ მისი სწორი გადაჭრა აუცილებლათ მოითხოვს მთელი ძალების ამ კუთხეში შეჯგუფებას, რაც თვალსაჩინო შედეგებს მოგვცემს ყოველმხრივ. დანარჩენ რაიონებში, თანახმად იმავე გეგმისა, ჩვენ შევსძლებთ გავგზავნოთ ერთი ან ორი მიწისმზომელი მხოლოდ მიმდინარე წვრილმანი საადგილმამულო საკითხების მოსაგვარებლათ. ეს ეხლავე უნდა იცოდენ ჩვენმა მაზრებმა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც მიწისმზომელთა მოთხოვნილება დიდია, მაგრამ დაკმაყოფილება პირველ წელს შეუძლებელია დამტკიცებული პერსპექტიული გეგმით და ჩვენი ეხლანდელი სინამდვილის პირობებში. გამონაკლისს აქედან შეადგენს გორის მაზრა, სადაც ტირიფონის ველზე მიწათმოწყობა აუცილებლათ უნდა დამთავრდეს, რომ ამ ველით ისარგებლონ უმიწაწყლობით ილაჯ-გაწყვეტილ ჩვენი სოფლების მცირე ნაწილმა მაინც.

უდიდესი დაბრკოლება, რომელსაც ჩვენ ველით ამ წელს მიწათმოწყობაში, მდგომარეობს იმაში, რომ ახალი კანონით მიწათმოწყობის ხარჯების ერთი ნაწილი (მიწისმზომლისათვის მუშების, ბინის და ცხენის დაქირავება) გადატანილია სოფელზე. სოფელი, გაჭირვებულიც რომ არ იყოს, მაინც ყოველთვის გაურბის ფულის გაღებას. ამით პირველყოვლისა ისარგებლებენ კულაკები და ეცდებიან ხელი შეუშალონ მიწათმოწყობას, რომელიც მათთვის სასარგებლო არ არის. მიწათმოქმედების კომისარიატმა უკვე მიმართა სათანადო ორგანოებს ამ მხრივ დახმარების აღმოჩენისათვის და ეხლა თემაღმასკომებზე არის დამოკიდებული, რაც შეიძლება შეუწყონ ხელი მიწათმოწყობას, მისცენ მიწისმზომელს თავის დროზე მუშები, ბინა, ცხენი, სოფლის ხარჯით დაქირავებული, გაძლიერონ მუშაობა და არ გაახარონ მოკულაკე ნაწილის გული.

თვით მიწათმოწყობის ტეხნიკაში კომისარიატი ცდილობს შეიტანოს რადიკალური ცვლილებები. სინამ-[illegible] წარმოებულმა მიწათმოწყობის მუშაობის შესწავლა - გამოკვლევამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მთავარი უბედურება ჩვენი მიწათსარგებლობისა არის ე. წ. ხარეზობა, მიწების უკიდურესი დაქუცმაცება და მიწების სიშორე სოფლიდან. მართალია, განსაკუთრებული ბუნებრივი და სოციალური პირობები ჩვენში დიდ დაბრკოლებებს ჰქმნიან ამ უბედურებასთან ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, თუ მინიმუმამდე არა, შესაძლებლობის ფარგლებში მაინც შევამციროთ ეს ფორმა მიწისსარგებლობისა. აღმოსავლეთ საქართველოში ზოგ ალაგას იმედი გვაქვს მივაღწიოთ მიზანს, რადგან თვით მიწის მუშამ უკვე შეიგნო ასეთი გარდატეხის საჭიროება. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწების სწორ გახარისხებას და აქ აუცილებელი ხდება გამოცდილი პრაქტიკი-აგრონომის დახმარება, უამისოთ ჩვენი მუშაობა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. კომისარიატმა უკვე შეიმუშავა ფართო ინსტრუქცია ამ მიმართულებით და ეხლა ყველაფერი დამოკიდებულია გამოცდილი აგრონომების საკმაო რაოდენობის ყოლაზე, რომლებიც შესძლებენ თავის პირდაპირ მოვალეობასთან ერთად ჩაებან ამ საქმეშიც.

სამიწისმზომლო ტეხნიკა მიმდინარე წელს საბოლოოთ იმიჯნება წინა წლების მდგომარეობიდან, როცა მას, სხვადასხვა ფრიად სერიოზული მოსაზრებებით, ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. პირველი საქმე იყო და არის ამისათვის ტრიანგულიაციის გაჯანსაღება და სათანადოთ განვითარება, რისთვისაც კომისარიატმა გამოჰყო 8 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ტრიანგულიატორებისა, რომლებიც ეხლავე შეუდგებიან მუშაობას. მთელი მიწათმოწყობილი სივრცე უნდა აუცილებლათ გადაღებულ იქნეს ახალ პლანშეტებზე, ახლად შემუშავებულ სათანადო ტეხნიკური ინსტრუქციის თანახმად. ასეთი ნამუშევარი იქნება არა მარტო სასოფლო მეურნეობისათვის, არამედ ბევრი სხვა სახელმწიფოებრივ საჭიროებისათვის მუდამ ჟამს გამოსადეგი და ძვირფასი მასალა.

რა თქმა უნდა, მუშაობის ამგვარი [illegible] საშუალებას მოკლე [illegible] გავათავეთ მიწათმოწყობაო, მაგრამ სჯობს „ნაკლები რიცხვით,—კარგი ღირსებით“.

ვ. გ—ძე.

ბრძოლა გაფლანგვასთან პროფკავშირებში

(პარტყრილობის გადაწყვეტილების გამო)

უკანასკნელ 1 ნახევარ წლის განმავლობაში გავრცელებული გაფლანგვანი აიძულებს ჩვენს პარტიას, პროფკავშირებს და საბჭოთა ხელისუფლებას გადაჭრილ ზომების მიღებას საზოგადოებრივ ფულების ამ მტაცებლობის და ქურდობის ვაკხანალიის მოსასპობად. მწვავედ სდგას საკითხი პროფკავშირებშიაც. უწინარეს ყოვლისა რას მოასწავებენ ეს გაფლანგვანი. ეს ამტკიცებს უკულტურობას დაბალ საფეხურის პროფმუშაკებისას, რომლებსაც არ ესმით, როგორი წვითა და დაგვითაა შექმნილი ეს ფულები და აგრეთვე ამ საშუალებათა სწორი მოხმარება. ეს ამტკიცებს დაუდევარ, გულგრილათ მოპყრობას ანგარიშების წარმოებისა და კონტროლისადმი, უპასუხისმგებლობას, ფინანსიურ მუშაკების ცუდ შერჩევას პროფკავშირებში.

რა ზომებით შეიძლება მფლანგველობის, ამ სნეულების მოსპობა ჩვენს პროფკავშირებში?

სრულიად უდავოა, რომ გაფლანგვასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს რეპრესიები. ყველა, ვინც ბოროტად იყენებს მის ამომრჩეველ მასის ნდობას, ვინც ითვისებს საზოგადოებრივ ფულებს, დაუზოგავათ უნდა იქნას დასჯილი. მაგრამ რეპრესიებთან ერთად უნდა იქნას მიღებული ზომები, რომლის წყალობითაც თვით გაფლანგვაც მოისპობა. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლის დროსაც გაფლანგვა შეუძლებელი გახდება.

მე-14 პარტყრილობამ თავის დადგენილებაში პროფკავშირების ფინანსიურ საშუალების შესახებ აღნუსხა ის ღონისძიებანი, რომელნიც წინასწარ აღკვეთავენ გაფლანგვის შესაძლებლობას.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა კავშირის ყველა საშუალებათა სწორი აღრიცხვა. საჭიროა საქმე იმგვარად მოეწყოს, რომ კავშირის თვითეულმა წევრმა იცოდეს, რამდენი გადაიხადა მან საწევრო გადასახადი და სად მიდის იგი. რა და რა საჭიროებას მოხმარდა იგი. თავიანთ მუშაობის შესახებ ანგარიშების ჩაბარებასთან ერთად ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივი კომიტეტები რეგულიარულად ანგარიშს უნდა აბარებდენ ფინანსიურ მუშაობის შესახებაც საზოგადო და სადელეგატო კრებებს. ფინანსიური ანგარიშები მოკლედ და მუშებისათვის გასაგებ ფორმით უნდა იქნას გამოკრული მთელ საწარმოო დაწესებულებაში. ეს დააახლოვებს ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების მუშაობას მთელ პროფკოლექტივთან. თავის თავად ცხადია, რომ საქმის ტეხნიკური მხარეც სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეს. წიგნებში უწესრიგოთ ჩაწერა, ანგარიშების და საქმის წესიერად წარმოების უქონლობა იწვევს დაუდევრად მოპყრობას თვით ფულის თანხებისადმი.

სრულიად არ არის ნორმალური ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფინანსიურ საშუალებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნის და ადგილობრივი კომიტეტის წევრი, რომელსაც დავალებული აქვს ეს მუშაობა. პასუხისმგებელი უნდა იყოს არა ერთი კაცი, მოლარე, არამედ მთელი კომიტეტი მთლიანად. ასეთი კოლექტიური პასუხისმგებლობა აიძულებს ფაბრიკა-ქარხნის და ადგილობრივ კომიტეტს მეტი ყურადღება მიაქციოს თავის საფინანსო მუშაობას და ხშირათ გაუწიოს კონტროლი მოლარეს. ფაბრიკა-ქარხნის და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა და ანგარიშები ჩააბარონ არა მარტო სამაზრო პროფბიუროს ან საგუბერნიო განყოფილებას, არამედ პროფკავშირის ყველა წევრებს, რომლებმაც იგი აირჩიეს ხელმძღვანელ მუშაობისათვის, და წარმოების მუშათა საზოგადო კრებებს.

გაფლანგვების მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე სარევიზიო კომისიების არასაკმარისად მოწესრიგებული მუშაობა. სარევიზიო კომისიები ბევრ წარმოებებში მარტო ქაღალდზე არსებობენ. მთელი მათი მოღვაწეობა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილკომის ხელახალ არჩევის წინ ისინი ზერელეთ ეცნობიან ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების ფინანსიურ ანგარიშებს და ფორმალურათ, საქმის არსებითი მხარეს განუხილველათ, ადგენენ მოწონების აქტს. სარევიზიო კომისიებში სინდისიერ, თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებელ მუშაკების წამოყენება აუცილებლათ ხელს შეუწყობს პროფკავშირთა ფინანსიურ მუშაობის გაჯანსაღებას. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმითაც, რომ სარევიზიო კომისიები თავის რევიზიის შედეგებს უდგენდენ ზემოდ მდგომ ორგანოებს, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტებს და ამით საქმე თავდებოდეს. საჭიროა ეს შედეგები აუცილებლათ იქნას გამოტანილი მუშების საზოგადო და სადელეგატო კრებებზე, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული მათ მიერ კავშირში შეტანილ ფულების მიზანშეწონილათ ხარჯვით.

და ბოლოს, ფინანსიურ მუშაკების კარგი შერჩევა და კავშირის საშუალებათა გამოყენება პირდაპირი დანიშნულებისამებრ არა ნაკლებ ხელს შეუწყობს ბრძოლას გაფლანგვის წინააღმდეგ.

რაც უფრო წარმატებით წავიყვანთ ჩვენ ბრძოლას გაფლანგვასა და ამ გაფლანგვათა გამომწვევ მიზეზების წინააღმდეგ, რაც უფრო ფართო მასებს ჩავაბამთ ამ ბრძოლაში, —მით უფრო გაძლიერდება პროფკავშირების ავტორიტეტი, რომელთა დახმარებით პარტია ხელმძღვანელობას უწევს უპარტიო მუშათა ფართო მასებს.

კ. ბ.

საბჭოთა დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმის შემდეგ

ლატვიის მთავრობა თავდასხმას „სისხლის სამართლის დანაშაულად“ სთვლის.

რიგა, 7 თებერვალი. ლატვიის მთავრობამ არ დაუცადა გამოძიებას, რომლითაც ჯერ არ გამორკვეულა თავდამსხმელთა პიროვნებანი და გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ საბჭოთა დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმას ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულის ხასიათი და მისი მიზანი იყო უბრალო ძარცვა. ლატვიის გაზეთებში მოთავსებულია მრავალი [illegible], რომლებიც ამგვარათ უცქერიან ამ თავდასხმას.

ამის საწინააღმდეგოთ თავდასხმის მოწამენი იუწყებიან, რომ მას ჰქონდა სხვა ხასიათი. დიპლომატიური კურიერი მახმასტალი და თავდასხმის დროს იქ მყოფი რაკოვსკის მდივანი ზელინსკი ამტკიცებენ, რომ თავდასხმა მოწყობილი იყო სულ სხვა მიზნით. თავდამსხმელებმა გააღეს კუპეს კარები, სადაც დიპლომატიური კურიერები იმყოფებოდენ და დაიძახეს: „აი აქ არიან“. თავდასხმის მოწამე პეჩორსკი იუწყება, რომ თავდასხმა მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა დიპლომატიურ კურიერების წინააღმდეგ.

ამნაირადვე აღწერავს მომხდარ ამბავს ერთ-ერთი უცხოელი დიპლომატი, რომელიც ვაგონში იმყოფებოდა.

შემდეგ მოწმეები აღნიშნავენ, რომ თავდამსხმელები პირდაპირ შევიდენ დიპლომატიურ კურიერების ვაგონში და არ გაძარცვეს პეჩორსკი, რომელსაც პირველად შეხვდენ ვაგონში. მოწმეები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ლატვიის პოლიცია, რომელიც მესამე ვაგონში იმყოფებოდა, არ წამოვიდა დასახმარებლად, მიუხედავათ გამყოლის და პეჩორსკის მოწოდებისა.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი თავდასხმის შესახებ

რიგა, 7 თებერვ. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ არსებულ მასალების მიხედვით თავდასხმას უეჭველად სისხლის სამართლის ხასიათი აქვს. შესაძლებელია გამოძიებამ შემდეგში გამოარკვიოს თავდასხმის რაიმე პოლიტიკური მოტივები.

ლატვიის პრესის გამოძახილი

რიგა, 7 თებერვ. ლატვიის პრესა განაგრძობს მტკიცებას, რომ საბჭოთა დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმას უბრალო მძარცველობის ხასიათი აქვს. ზოგიერთი გაზეთი აცხადებს, თითქოს თავდასხმა იყოს შურისძიების აქტი ნეტტეს წინააღმდეგ, რომელმაც 1920 წ. მოჰკლა ოხრანის ერთ-ერთი პროვოკატორი.

მხოლოდ ლატვიის მენშევიკების გაზეთს „სოციალ დემოკრატს“ მიაჩნია შესაძლებლად, რომ თავდასხმას პოლიტიკური ხასიათი ჰქონოდეს.

„ამ ჟამად, სწერს გაზეთი, მოიპოვება საკმაოდ მნიშვნელოვანი რიცხვი პოლიტიკური ბანდიტებისა, რომელნიც მიზნად ისახავენ შექმნან საერთაშორისო გართულება“.

გაზეთი აღშფოთებას გამოსთქვამს საქმიო დახმარების უქონლობის გამო მატარებლებსა და სადგურებზე.

მახმასტალის ჯანმრთელობა

რიგა, 7 თებ. მძიმეთ დაჭრილი კურიერის მახმასტალის ჯანმრთელობა თან და თან უმჯობესდება.

მოსკოვი, 8 თებერ. მიღებულ ცნობების თანახმად დიპლომატიური კურიერის მახმასტალის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ნეტტეს ნეშთის გადმოსვენება

მოსკოვი, 6 თებერვ. მოკლულ დიპლომატიური კურიერის ნეტტეს ნეშთი დღეს ღამით გაიგზავნება რიგიდან. მოსკოვში ნეშთი დასვენებულ იქნება გარეშე საქმეთა სამინისტროს კონფერენც-დარბაზში.

რიგა, 7 თებერვ. ნეტტეს ნეშთი წითელ კუბოში, მორთული ვაგონით გაიგზავნა მოსკოვში 6 თებერვალს. სრულ-უფლებიან წარმომადგენლობის შენობიდან კუბოს სადგურზე გადატანას ლატვიის მთავრობის არც ერთი ოფიციალური წარმომადგენელი არ დასწრებია.

ნეტტეს მკვლელები

რიგა, 7 თებ. გაზეთების ცნობით, ნეტტეს მკვლელთა პიროვნება დადასტურებულია. ესენი არიან ლიტველი მოქალაქენი ძმები ანტონ და ბრონისლავ გაბრილოვიჩები, რომლებიც რამდენიმე ხნის წინად ჩამოვიდენ იანიშეკიდან რიგაში და დაბინავდენ თავიანთ ნათესავ ქალთან, კოზლოვსკასთან, რომლის ქმარი მსახურობს რკინისგზაზე.

გვამის გაკვეთამ დაადასტურა, რომ ერთ-ერთი გაბრილოვიჩი მოკლული ყოფილა ერთბაშად, ხოლო მეორე დაჭრილა და თავი მოუკლავს. გამოუცნობი რჩება ერთი გარემოება, როგორ აღმოჩნდენ მკვლელები გამყოლის კუპეში.

„ბოროტმოქმედების შვეიცარიზაცია“.

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი, 8 თებერვალი. „იზვესტია“ ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

„ჯერ კიდევ არ გაციებულა თავის პოსტზე სასახელოდ დაცემული საბჭოთა დიპლომატიური კურიერის გვამი, ჯერ კიდევ არ გამშრალა იმ ამხანაგის მიერ დაღვრილი სისხლი, რომელმაც გმირულად დაიცვა და მთლიანად ჩაიტანა დიპლომატიური ფოსტა; ჯერ კიდევ არ მიყუჩებულა საბჭოთა კავშირის მშრომელთა აღშფოთების ხმაბი, მაგრამ უკვე ჩადენილია ახალი ბოროტმოქმედება და ამ შემთხვევაში არა ნიღაბიან მკვლელების, არამედ ლატვიის მთავრობის მიერ, მოულოდნელი ოფიციალური ცნობის გამოქვეყნებით.

გამოძიება ეს არის დაიწყო, ჩვენ არც კი ვიცით ვინ არიან ნიღაბიანი მკვლელები და ლატვიის მთავრობა იჩქარის გამოაქვეყნოს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ თავდასხმას სისხლის სამართლის ხასიათი ჰქონდა.

ვის დასჭირდა ასეთი შემცდარი აჩქარება? ვინ არის დაინტერესებული საგამომძიებლო მასალების ნაკლებობით? ვისთვის არის საჭირო კვალის დაფარვა, განა შეიძლება გაემტყუნოთ აღელვებული საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი, ნუ თუ იგი ამ ფაქტებს აფასებს წინასწარ გათვალისწინებულ ზრახვით, რომ ძიება ყალბი გზით იქმნა გამართული.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ საბჭოთა საზოგადოებრივ აზრის სრულ დაკმაყოფილებას, ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ გაუგონარ ბოროტმოქმედების ყოველ მხრივ და მიუდგომელ გაშუქებას და მის სულისჩამდგმელთა, ორგანიზატორთა და მონაწილეთა გამორკვევას.

გამცემლური პოლიტიკის ხელმძღვანელებს ალბათ არ აქვთ წარმოდგენილი ის მრისხანება, რომელითაც აღვსილია ჩვენი მოქალაქეთა გული, კარგათ ჩაუფიქრდეს ამას ოფიციალური ლატვია.

ჩვენ კი გამოგვყავს საჭირო დასკვნები, როგორც თვით ბოროტმოქმედების ფაქტიდან, ისე მის შვეიცარიზაციის კრიმინალური ცდიდან“.

ბრძოლა ერთიან ფრონტის შესაქმნელად

იაპონიის მშრომელთა ერთიანი ფრონტი

ტოკიო, 7 თებერვალი. ამის წინად [illegible] კავშირთა გაერთიანების კონფერენცია, რომელმაც გამოაქვეყნა მანიფესტი.

რეაქციის და კაპიტალის თავდასხმის წინააღმდეგ საბრძოლველად მანიფესტი მოუწოდებს მუშებს შექმნან მშრომელთა ერთიანი ფრონტი და დაუყოვნებლივ შეადგინონ კლასიური მუშურ-გლეხური პარტია.

შემდეგ მანიფესტი მოითხოვს დაუყოვნებლივ პარლამენტის დათხოვნას და ახალი არჩევნების დანიშნავს ამას წინად გამოცემულ საყოველთაო საარჩევნო უფლების კანონის საფუძველზე. **მოუწოდებს მუშებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და წამოაყენონ მუშათა კანდიდატები თვითეულ საარჩევნო ოლქში.**

მანიფესტი მოუწოდებს მთელ იაპონიის პროლეტარიატს **დაუყოვნებლივ მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაცია შემდეგი სამი კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც განხილული იქნება პარლამენტის ეხლანდელ სესიაში:** კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ, რომელიც უფ[illegible] კავშირები, გააუქმოს მათი გადაწყვეტილებანი და ფაქტიურად აკრძალოს პროფკავშირების გაერთიანება; კანონპროექტი იძულებითი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ, რომელიც ფაქტიურად ართმევს მუშებს გაფიცვის საშუალებას და კანონპროექტი „ძალდატანებითი მოქმედების წინააღმდეგ“, რომლის მიზანია მუშების მანიფესტაციების და გაფიცვის აკრძალვა.

მემარცხენე პროფკავშირების გაერთიანების კონფერენციამ მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია სრულიად იაპონიის მაშტაბით ფაბრიკა-ქარხნების ინსტიტუტის შექმნის შესახებ, მოიწონა პროფკავშირთა გაერთიანების აღმასკომის მოღვაწეობა რეფორმიზმის და ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აღმასკომის სხვა ღონისძიებანი, რომელნიც მიმართულია პროლეტარიატის გაძლიერებისაკენ.

რეფორმისტები ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ

ბერლინი, 7 თებერვ. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების მიბაძულობით ს.-დ. პარტიის პრეზიდიუმმა პარტიის წევრების მიმართ გამოუშვა მოწოდება. პარტიის მიმართვა ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. მიმართვაში ნათქვამია, რომ სამეფო გვარეულობის ქონების აუნაზღაურებლად ჩამორთმევისთვის კამპანია წარმოადგენს ყოველ მშრომელთა გაერთიანებას ყოფილ სამეფო გვარეულობის მტაცებლურ მოთხოვნილების წინააღმდეგ. ეს მიმართვა მოწმობს, რომ რეფორმისტები ამზადებენ ერთიანი ფრონტის დარღვევას, რომლის შექმნასაც ისინი დასთანხმდენ მშრომელ მასსების ზეგავლენით.

ამავე დროს რეფორმისტები კულისებს უკან მოლაპარაკებას აწარმოებენ ბურჟუაზიულ საშუალო პარტიებთან ყოფ. სამეფო გვარეულობის საკითხის შესახებ და როგორც სჩანს სცდილობენ მის მოგვარებას ამ საშუალო პარტიებთან მო-[illegible] კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება ყველა მშრომელთა მიმართ, რომელშიც მათ წინადადებას აძლევს, წინააღმდეგობა გაუწიონ ერთიანი ფრონტის დარღვევის ცდას და შეუდგენ ბრძოლას უმუშევრობის, სამუშაო ხელფასის დაკლების წინააღმდეგ და სამეფო გვარეულობის ქონების აუნაზღაურებლათ ჩამორთმევისთვის ამავე დროს კომპარტია ურჩევს ყველა მშრომელებს, წინააღმდეგობა გაუწიონ რეფორმისტულ პროფკავშირებს, რომ გაატარონ მწარმოებელთა და მუშების „ინტერესთა ერთიანობის“ პოლიტიკა.

ჩეხო-სლოვაკია ჩქარა გვიცნობს

ბერლინი, 8 თებერვ. გაზეთების ცნობით გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა მოსკოვში მიიღო რუსეთის საქმეთა რწმუნებულისაგან პრაგაში ცნობა, რომ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ გადასწყვიტა იურიდიულად იცნოს საბჭოთა კავშირი.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის

მიწის სიმცირე და სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილობა ჩვენში—ეს ცნობილი ამბავია. აქედან—ჩვენი სიღარიბე და მოსახლეობის სიჭარბე სოფლად. სადაა გამოსავალი? პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაში. გაზ. **„გუდოკ“** სწერს:

> „ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ მიწით სარგებლობა, დაწყებული თესვიდან და გათავებული მოსავლის აკრეფით. ჩვენ უნდა ვასწავლოთ სოფელს საუკეთესო მცენარეების მოყვანა, ე. ი. სამრეწველო კულტურათა მოყვანა, რომელნიც შემდეგ ფაბრიკებში გადამუშავდებიან. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მიწის ეხლანდელ (და უფრო ნაკლებ) ნაჭერზე მუშა საქონლის ეხლანდელ რაოდენობის დროს მეურნეობამ მოგვცეს გაცილებით უფრო მეტი მოსავალი. თვით მიწის ნაჭერი უნდა გავაუმჯობესოთ მელიორაციის გზით: თვით ძალა, რომელიც იხმარება მეურნეობაში, უნდა შევამჭიდროვოთ, გავხადოთ უფრო ღონიერი—ცალკე. მით უფრო შეუძლო მეურნეობათა კოლექტივიზაციის საშუალებით; შემდეგ: ძალა ადამიანის ან პირველყოფილი იარაღის, ქანცგამოლეული მუშა-საქონლის, ჩვენ უნდა შევსცვალოთ თანამედროვე მანქანის ძალით“.

მაშასადამე, გლეხობის გამოსაყვანად სიღარიბიდან და სოფლად უმუშევრობის მოსასპობად აუცილებელია მიწის დამუშავების წესის გაუმჯობესება, მაღალ კულტურებზე გადასვლა, ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღება, დაქსაქსულ მეურნეობათა კოოპერატიული გაერთიანება. საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობაც სწორედ აქეთკენაა მიმართული. ამავე დროს მრეწველობის განვითარება, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენება—მეორე გზაა სოფლის უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. და ჩვენ ვხედავთ—სოფლებიდან სამრეწველო ცენტრებისკენ მიედინებიან უმუშევარი გლეხები და ებმებიან სამრეწველო შრომაში. რაც უფრო განვითარდება ქალაქის მრეწველობა, იმდენათ შენელდება უმუშევრობა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც.

თეთრგვარდიელთა პრესა

ერთად-ერთი გამოსავალი

როგორც ვიცით, კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას დიდი ხანია მოედვა რღვევის პროცესი. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ მას ინტერვენციულ ოცნებას ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა. ამავე დროს, ემიგრაცია აუტანელ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის და ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშე დგას. მას სხვა გზა არ დარჩენია, თუ არ სამშობლოში დაბრუნება. ლტოლვა სამშობლოსაკენ მასიურ ხასიათს ღებულობს ემიგრაციაში. ქართველ ემიგრანტთა მასები მოეშურებიან ჩვენსკენ. მათ შეიგნეს ძველი პოლიტიკის დამღუპველობა და ადგებიან საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას. დაშლის ტალღა ფართედ მოედვა რუს ემიგრაციასაც. ამ მხრივ, სხვათაშორის, დამახასიათებელია პრაგაში გამომავალ ესერების გაზ. **„ვოლია როსიი“**-ს ერთ-ერთი უკანასკნელი წერილი: **„სამშობლო და ემიგრაცია“**, სადაც შემდეგს ვკითხულობთ:

> „ინტერვენციები გათავდა და ბოლშევიკები თვიდან თვეზე მტკიცდებიან. განსაკუთრებით ტრაგიკულია მდგომარეობა ახალგაზრდობის, რომლის მომავალი [illegible]. რა უნდა ვქნათ? თვითეულმა ცალკე უნდა გამონახოს თავისთვის გამოსავალი: ან გაითქვიფოს უცხო ქვეყანაში, სადაც იგი ბედმა გადაისროლა, ან თვალი მიაპყრას სამშობლოსაკენ და სცნოს ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარ ფაქტად, რომლისათვის ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელია. სამარცხვინო ამაში არაფერია, ვინაიდან ფაქტთან ასეთი შერიგება არ ნიშნავს მუხლის მოდრეკას ოქტომბრის მოძალადეების წინაშე. იცოცხლე, ახალგაზრდობავ. თუ შეგიძლია შეიყვარო რუსეთი, თუნდაც „წითელი“ რუსეთი, ასე მოიქეცი—წადი, დაუბრუნდი თავის ხალხს, სანამ ამის შესაძლებლობა არის, სანამ გაქვს მასთან საერთო ენის გამონახვის იმედი. იცხოვრე, ახალგაზრდობავ, აიღე ცხოვრებისაგან რაც შეგიძლია“.

ეს სიტყვები მაჩვენებელია ემიგრაციის უკიდურესი სასოწარკვეთილების და დაბნეულობის გამარჯვების იმედის ყოველგვარი ნასახი დაკარგულია მისთვის: საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ განმტკიცდა. ემიგრაციის წინაშე სდგას არჩევანი: ან დაღუპვა უცხოეთში, ან შინ დაბრუნება. ესერების ორგანოც იძულებულია მეორე გზა ურჩიოს თავის „მრევლს“. მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ გაზეთი ამას შვრება არა პრინციპიალურ მოსაზრებით, არა იმიტომ, რომ იგი სცნობს ოქტომბრის რევოლიუციას, არამედ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ არის. ემიგრაცია უძლურია ბრძოლა გააგრძელოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამიტომ იგი იძულებულია „იცნოს ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარ ფაქტად“. ემიგრაციის ასეთი იძულებითი „შერიგება“ საბჭოთა რეჟიმთან მაჩვენებელია ჩვენი სიძლიერის, მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის საკმარისი თვით ემიგრაციისათვის. მან უნდა აღიაროს თავისი ძველი გზის დამღუპველობა და გულწრფელად დადგეს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზაზე. და უეჭველია, რომ ემიგრაციის მასსა ასე მოიქცევა. მისი დაშლის პროცესი მივა ლოღიკურ დასკვნამდე; „ფაქტის“ იძულებითი აღიარებას მოჰყვება მისი შინაგანი გამართლება. სხვა გამოსავალი ემიგრაციისათვის არ არსებობს. ვინც ამ გზით არ წავა, იგი „გაითქვიფება უცხოეთში“ და აღიგვება პირისგან ქვეყნისა.

ამხ. რაკოვსკი პარიზში

პარიზი, 7 თებერვალი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი

იტალია და გერმანია

„ბოიკოტი კვადრატში“

რომი, 7 თებერვ. მუსოლინიმ პალატაში წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა იტალია-გერმანიის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

მისი სიტყვა წარმოადგენდა პასუხს ბავარიის პრემიერის განცხადებაზე ზემო ტრენტინოში ეროვნულ უმცირესობის—გერმანელების მძიმე მდგომარეობის შესახებ. მუსოლინიმ აღნიშნა, რომ **ბავარიაში დაწყებული კამპანია ბოიკოტის გამოცხადების სასარგებლოთ ვერ შეაშინებს იტალიას, რომელიც ბოიკოტზე უპასუხებს „ბოიკოტით კვადრატში“.** მუსოლინიმ განაცხადა, რომ ბავარიის პრემიერის სიტყვა დაუჯერებელია, ვინაიდან დიპლომატიურის თვალსაზრისით ომამდე არ არსებობდა საკითხი სამხრეთ ტიროლის შესახებ და აგრეთვე იმიტომ, რომ ზემო ტრენტინოს საკითხი გადაჭრილი იყო საზავო ხელშეკრულებით—ავსტრიასთან დადებულ სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით.

„ზემო ტრენტინოში ჩვენ ვაწარმოებთ საერთო იტალიის პოლიტიკას და ადგილობრივ მოსახლეობაზე ვავრცელებთ იმავე კანონებს, როგორსაც იტალიელ მოქალაქეებზე. ჩვენ რომ სხვანაირად მოვქცეულიყავით, ჩვენ გვექნებოდა საზღვარზე სახელმწიფო სახელმწიფოში. ზემო ტრენტინოში გერმანელები შეადგენენ არა ეროვნულ უმცირესობას, არამედ ეთნიურ ნაშთებს—მათი რიცხვი უდრის სულ 180.000 კაცს“.

დასასრულ მუსოლინიმ განაცხადა, რომ მისი სიტყვა უნდა ჩაითვალოთ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოსვლად.

იტალიის მუქარა

პარიზი, 8 თებერვ. იტალიის პარლამენტში მუსოლინიმ გაილაშქრა გერმანიის ანტიიტალიური პოლიტიკის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ თუ გერმანიის ხელისუფლება მოიწონებს ბოიკოტს იტალიის საქონლის და იტალიის ტურიზმისადმი, მაშინ აუცილებელია რეპრესიები იტალიის მხრივ. იტალია უპასუხებს ბოიკოტით.

ბერლინი, 8 თებერვ. იტალიის პარლამენტში მუსოლინიმ უპასუხა დეპუტატ ფარინაჩის შეკითხვაზე სამხრეთ ტიროლში იტალიანიზაციის პოლიტიკის შესახებ და განაცხადა, რომ გერმანელი ელემენტები შეადგენენ 100.000 კაცს. 180.000 მცხოვრებიდან და წარმოადგენენ არა ეროვნულ უმცირესობას, არამედ ძველი გერმანელების ეთნიურ ნაშთებს. ამისდამიხედვით იტალია იმუშავებს თავის პოლიტიკას. იტალიას არა მარტო სურს, რათა მისი დროშა ფრიალებდეს ბრენნერის გასავალში, არამედ განზრახული აქვს ეს დროშა გადაიტანოს ამ გასავლის იქით.

გამოძახილი გერმანიაში

ბერლინი, 8 თებერვ. მთელი ბერლინის პრესა აღშფოთებულია მუსოლინის სიტყვით და მთელ მოწინავეებს უძღვნის მუსოლინის მიერ გამოქვეყნებულ პროგრამას. ზოგიერთი გაზეთები გამოსთქვამენ იმედს, რომ ერთა ლიგა შეაჩერებს ამ აშკარა მუქარას ევროპისადმი.

ეხება რა მუსოლინის სიტყვას, გერმანიის პრესა გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მუსოლინი, რომელიც იძლეოდა ლოკარნოს ხელშეკრულების გარანტიას, ასეთი აგრესიული ენით ლაპარაკობს.

„დეილი ტელ გრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს, რომ მუსოლინის მუქარა იტალიის დროშის ბრენერის ჩრდილოეთით აფრიალების შესახებ, არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული ევროპის მთავრობების, განსაკუთრებით კი, ერთა ლიგის მიერ, რადგან ავსტრია იმყოფება ლიგის მფარველობის ქვეშ.

„ნეიე ფრეი-პრესი“ მუსოლინის სიტყვას სთვლის ომის საფრთხედ, რომელსაც ერთა ლიგამ უეჭველად უნდა მიაქციოს ყურადღება

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 8 თებერვ. „პარი მიდი“ სთვლის, რომ თუ იტალიელი ტურისტების და ტიროლის საკითხი წარმოადგენს იტალია-გერმანიის კონფლიქტის მიზეზს, უნდა ითქვას, რომ არსებობენ ნაკლებ შესამჩნევი, მაგრამ უფრო სერიოზული მიზეზები. გერმანია ფიქრობს ერთა ლიგაში შესვლის შემდეგ მოითხოვოს მანდატები თავის ახალ მიწებზე, რომელთა ნაწილის მანდატები იტალიას უკვე აქვს.

მუსოლინის სიტყვის შესახებ „გოლუა“ სწერს: „მუსოლინის ენერგიული სიტყვა საჭირო იყო. გერმანიის **ერთა ლიგაში შესვლის წინ, გერმანიის მთავრობა გაფრთხილებულ იქნა იტალიის მიერ, რომ უკანასკნელი წინააღმდეგობას გაუწევს ავსტრიის ანექსიის ყოველგვარ ცდას.**

ჩინეთის ამბები

პეკინი, 7 თებ. კაილანის ნახშირის მაღაროების მეპატრონე ინგლისელებმა დახურეს ყველა მაღაროები და დაითხოვეს 30 000 მუშა იმ მიზნით, რომ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდონ სახალხო არმია, რომელიც დაბანაკებულია ამ რაიონში. მუშები მოითხოვენ მაღაროების კონფისკაციას.

გერმანია და ვაშინგტონის შეთანხმება ჩინეთის შესახებ.

ბერლინი, 7 თებ. ბერლინში მყოფ ჩინელების წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გერმანია შეუერთდა დიდ სახელმწიფოებს შორის 1921 წელს დადებულ ვაშინგტონის შეთანხმებას ჩინეთის საკითხის შესახებ.

გომინდანის სექციამ ბერლინში დაუგზავნა რეიხსტაგის ყველა დეპუტატებს საპროტესტო განცხადება იმის გამო, რომ გერმანია შეუ-

გომინდანის სექცია დეპუტატებს სთხოვს რეიხსტაგში ხმა მისცენ ამ შეთანხმების წინააღმდეგ.

ჩინეთის ელჩმა ბერლინში სუნ-ჩუუ-ვემ პეკინის მთავრობის დავალებით პროტესტი განუცხადა გერმანიის მთავრობას. პრესის წარმომადგენელთან საუბარის დროს, სუნ-ჩუუ-ვეიმ განაცხადა, რომ **ვაშინგტონის შეთანხმება ეწინააღმდეგება გერმანიასა და ჩინეთს შორის 1921 წელს დადებულ შეთანხმებას, რომლის ძალითაც გერმანიამ ხელი აიღო უპირატესობის უფლებებზე ჩინეთში.**

ეს შეთანხმება არ სცნობს ურთიერთ თანასწორობას; ამ შეთანხმებასთან შეერთებით გერმანია უბრუნდება იმ სახელმწიფოთა რიგს, რომელიც ჩინეთში განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ. არც ერთ ჩინელს არ შეუძლია მოიწონოს გერმანიის ასეთი ხაზი.

„ღია კარების პოლიტიკა“

ბერლინი, 7 თებერვ. როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, ნორვეგია, დანია და ბელგია შეუერთდნენ ვაშინგტონის შეთანხმებას ღია კარების პოლიტიკის შესახებ ჩინეთში.

განიარაღების კონფერენციის გარშემო

გერმანიის მიწვევა

ბერლინი, 7 თებერ. გერმანიამ ოფიციალურათ მიიღო მოწვევა ერთა ლიგის კონფერენციაზე დასასწრებლათ, სადაც განხილულ იქნება იარაღით ვაჭრობის საკითხი. გერმანიამ გამოსთქვა სურვილი, რომ ეს კონფერენცია შესდგეს 15 მაისამდე.

მუშათა პარტია და ბალდვინის მთავრობა

ბერლინი, 7 თებერვ. თემთა პალატაში მუშათა პარტიის კამპანია ნაციონალიზაციის სასარგებლოთ უშედეგოთ დამთავრდა. ილაშქრებდა რა მუშათა პარტიის წინადადების წინააღმდეგ, მთავრობა ემყარებოდა იმ მოსაზრებაზე, რომ „ზოგიერთი წარმოებების წარმატებითი მუშაობა დამოკიდებულია საქმის ხელმძღვანელთა ინდივიდუალურ ნიჭსა და მოხერხებაზე“. ამის შემდეგ მუშათა პარტიის ჯგუფმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა წინადადება ბალდვინის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, რაც უარყოფილ იქნა 299 ხმის უმრავლესობით 112 ხმის წინააღმდეგ.

ერიომ მადლობას იხდის

პარიზი, 6 თებ. დღევანდელი სხდომის დახურვის წინ ერიომ მადლობა გადაუხადა პალატას მთავრობის ფინანსიურ კანონ-პროექტის ექვსი მუხლის მიღების გამო.

საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარი

პარიზი, 8 თებერვ. ერთა ლიგის საბჭოს დადგენილების თანახმად საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს განსაკუთრებულ ორგანოს შექმნას მხარეების შესარიგებლად კონფლიქტების შემთხვევაში, სტოკჰოლმში დაიდო ბულგარეთ-შვეციის და საბერძნეთის ხელშეკრულება, რომელიც ბულგარეთის მთავრობის განკარგულებაში სტოვებს შვედ პოლკოვნიკს ზიკფერტს, ხოლო საბერძნეთის მთავრობის განკარგულებაში—პოლკოვნიკ ლინდს.

დამოკიდებულება იაპონიასთან

„მშვიდობიანობის ქვა-კუთხედი შორეულ აღმოსავლეთში“

ტოკიო, 7 თებერვ. ვიკონტმა გოტომ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ რუსეთის და იაპონიის მეგობრული ურთი-ერთობა მშვიდობიანობის ქვაკუთხედია შორეულ აღმოსავლეთში. იაპონიას უაღრესათ ესაჭიროება მშვიდობიანობა ჩინეთში და ჩინეთის განუყოფლობა. ეს მიზანი ყველაზე უფრო კარგად შეიძლება მიღწეულ იქნეს იაპონიის და საბჭოთა კავშირის მტკიცე შეთანხმების გზით.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტის შესახებ გოტომ განაცხადა, რომ ის საკითხები, რომელთა ნიადაგზე წარმოიშვა კონფლიქტი, ჯერ საბოლოოდ არ არის გადაჭრილი. ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს სრული შეთანხმება არა მარტო ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, არამედ იაპონიასა და ამ ორ სახელმწიფოებს შორისაც.

მაკდონალდი ინგლის-იტალიის შეთანხმების შესახებ

პარიზი, 8 თებერვ. „ნიუ ცენტრი“-ში გამოქვეყნებულია საუბარი მაკდონალდთან. მაკდონალდი აკრიტიკებს ინგლის-იტალიის შეთანხმებას ვალების შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება თითქმის იტალიის ვალების გაუქმებას უდრის. ის აცხადებს, რომ **მხოლოდ რაიმე საიდუმლო ხელშეკრულებას შეეძლო გაემართლებია ასეთი ცუდი შეთანხმებაო** და ამავე დროს დასძენს, რომ არ იცის, რას უნდა შეეხებოდეს ასეთი ხელშეკრულება მაგრამ ფიქრობს, რომ საკითხი შეეხება მოსულს და იტალიის პრეტენზიებს ხმელთა-შუა ზღვაზე. მაკდონალდი ლაპარაკობს, რომ შეიძლება ინგლისი და იტალია შეთანხმდენ საფრანგეთის ზურგს უკან, თუმცა ამის თქმას გადაჭრით ვერ ბედავს.

ლოკარნოს ხელშეკრულება და გერმანია.

ბერლინი, 8 თებერვ. გერმანიის ცალკე სახელმწიფოების პრემიერების თათბირზე ბავარიის, ტიურინგიის და მეკლენბურგის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ.

უფრო დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან, რომლებიც მხარს უჭერენ ლოკარნოს ხელშეკრულების პოლიტიკას, მხოლოდ საქსონიის პრემიერს ჰყავს უმრავლესობა ლანდტაგში.

გერმანიის სხვა სახელმწიფოების მთავრობები, რომლებიც მხარს უჭერენ ლოკარნოს, მაგალითად პრუსიას, არა ჰყავს უმრავლესობა. თვით რეიხსტაგშიაც ლოკარნოს ხელშეკრულებას არ მიუღია ხმების ორი მესამედის უმრავლესობა, რაც ოპოზიციონური პარტიების აზრით საჭიროა ამ ხელშეკრულების დაკანონებისათვის. მიუხედავათ ამისა, გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს ბოლომდე გაატაროს დოუესის გეგმით გათვალისწინებული ლოკარნოს პოლიტიკა.

განცხადება ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ არავითარ პირობებით არ იქნება განსაზღვრული.

ამგვარად საბოლოოდ ირკვევა, რომ გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში არ ყოფილა დამოკიდებული მოკავშირეების მიერ რაიმე წინასწარ პირობების შესრულებაზე. გარდა კელნის ევაკუაციისა, რომელიც გადაწყვეტილი იყო ლოკარნომდე, დასავლეთ სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს გერმანიის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მისი ლიგაში შესვლამდე

ერთა ლიგაში

გერმანია ითხოვს ერთა ლიგაში შესვლას

პარიზი, 7 თებ. გერმანიის ელჩმა ფონ-გეშმა აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა 8 თებერვლისათვის წარმოადგინოს თხოვნა ერთა ლიგაში გერმანიის შეყვანის შესახებ. ვრცელდება ხმები, რომ საფრანგეთი დაიჟინებს განიარაღების წინასწარი კონფერენცია მოწვეულ იქნეს 12 აპრილისათვის.

ცალკე სახელმწიფოების პრეზიდენტების და პრემიერ მინისტრების თათბირმა გერმანიის მთავრობასთან ერთად გამოსთქვა სურვილი გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

შვეიცარიიდან გადაბარგებას აპირებენ

ლონდონი, 7 თებერვ. „მორნინგ პოსტის“ ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ერთა ლიგის წრეებში სწარმოებს აგიტაცია ერთა ლიგის ყველა დაწესებულებების შვეიცარიიდან გადატანის სასარგებლოთ. გადატანის საჭიროებას ასაბუთებენ შვეიცარიაში არსებული სიძვირით და შეუფერებელი ჰავით.

ლიგის წრეებში იხილავენ წინადადებას განიარაღების წინასწარი კონფერენციის საფრანგეთში ან ბელგიაში მოწვევის შესახებ

სამხრეთ სლავიაში

ვენა, 7 თებერვ. რადიჩის უკანასკნელმა გამოსვლებმა ხორვატების მთლიანი ფრონტის შექმნის და პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ მეტად გაამწვავა წინააღმდეგობა სამხრეთ სლავიის მთავრობის კოალიციაში. კავშირი რადიჩისაგან მოითხოვს ასეთი აგიტაციის მოსპობას, რადგან ის ეწინააღმდეგება იმ დაპირებებს, რომელიც რადიჩმა მისცა კოალიციას მთავრობაში შესვლის დროს.

კაშენს მიუსაჯეს 15 თვით დაპატიმრება

პარიზი, 7 თებერვ. საფრანგეთის კომუნისტების ბელადს, დეპუტატთა პალატის წევრს კაშენს, სასამართლომ მილიტარიზმის საწინააღმდეგო მოწოდების გამოშვებისათვის მიუსაჯა 15 თვით დაპატიმრება და ჯარიმა 2.000 ფრანკის რაოდენობით.

ერთა ლიგაში.

სხვა და სხვა

— **ბუდაპესტის პოლიციის „გამოცემა“.** როგორც „ნეპსოვა“ იტყობინება, ბუდაპესტის პოლიციამ გამოსცა წიგნი, რომელშიაც მოყვანილია სახელები და ბიოგრაფიები ჰუნგრელ კომუნისტებისა, რომელთაგან ერთი ნაწილი განთავისუფლებული იყო საბჭოთა კავშირთან გაცვლის გზით, ხოლო მეორე ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება. ბუდაპესტის პოლიცია ამ წიგნებს უგზავნის სხვა ქვეყნების საპოლიციო დეპარტამენტებს, რათა მათ საშუალება ექნეთ თვალყური ადევნონ წიგნში აღნიშნულ პირებს.

— **კაპრონის ახალი სამხედრო ჰაეროპლანები.** კაპრონის ფაბრიკამ გამოუშვა ორი ახალი ტიპის სამხედრო ჰაეროპლანი. პირველს, რომელიც გამოსადეგია დაზვერვისათვის დღე-ღამობით, აქვს 400 ძალიანი მატორი „იუპიტერი“; ზედვეა მოწყობილი ტყვიისმფრქვეველი, რომელიც მოთავსებულია მფრინავის უკან. აპარატს აქვს ისეთი მოწყობილობა რომელიც საშუალებას აძლევს მას დაეშვას წყალზე. მეორე ჰაეროპლანი, რომელიც გამოსადეგია ყუმბარების სასროლად, დაახლოვებით 7 ტონას იწონის. ჰაეროპლანს აქვს 400 ძალიანი მატორი „იუპიტერ“.

აღმოსავლეთში

სირია

დე-ჟუვენელი დაპირებებს იძლევა.

ბორდო, 8 თებერვ. საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სირიაში დე-ჟუვენელმა დამასკში წარმომადგენელთა საბჭოში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ დროა შეუდგეთ სირიის აღორძინების საქმეს. „პოლიტიკურმა ზრახვებმა—განაცხადა მან—ადგილი უნდა დაუთმოს ქვეყნის განვითარებას და ეკონომიურ პროგრესს“.

ოსმალეთი

ოსმალეთი და დანია.

პარიზი, 8 თებერვ. ოსმალეთის მეჯლისის გარეშე საქმეთა კომისიამ მოიწონა მეგობრული ხელშეკრულება დანიასა და ოსმალეთს შორის.

ოსმალეთი და ჩილი.

ბერლინი, 8 თებერვ. რომში ოსმალეთის და ჩილის ელჩებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთ-ჩილის შეთანხმებას მეგობრობის შესახებ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლუნაჩარსკი ჩერეპოვეცში

ჩერეპოვეცი, 8 თებერ. ლუნაჩარსკიმ სიტყვა წარმოსთქვა სკოლის მუშაკების საერთო საქალაქო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 1000 კაცი. მან გააკეთა მოხსენება სახალხო განათლების ამოცანებისა და პერსპექტივების შესახებ. საღამოს ლუნაჩარსკიმ გარნიზონის ნაწილებისათვის წაიკითხა მოხსენება წითელი არმიის ამოცანების შესახებ, რის შემდეგაც ლენინგრადში გაემგზავრა.

საზღვაო სავაჭრო ფლოტის მდგომარეობა

მოსკოვი, 8 თებერვ. 8 თებერვალს სრულდება 8 წელი დღიდან დეკრეტის გამოცემისა საზღვაო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ. საბჭოთა სავაჭრო ფლოტი მუშაობას შეუდგა ომიანობის მძიმე წლებში, მას გააჩნდა სულ ექსპლოატაციისათვის გამოსადეგი 51 გემი, მაგრამ კაპიტალური რემონტის გზით ფლოტის ნაციონალიზაციის 8 წლის თავზე საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა ორჯერ გაადიდა მომქმედი ტონაჟი. ამჟამად საბჭოთა სავაჭრო ფლოტს ჰყავს 113 გემი. ნაციონალიზაციის 8 წლისთავისთვის საბჭოთა საზღვაო ტონაჟს, მიუხედავათ თავისი მცირერიცხოვანობისა, დააქვს საბჭოთა სავაჭრო დროშა თითქმის მთელი მსოფლიოს ზღვებში და ყოველ წლობით ადიდებს თავის ტვირთზიდვას.

საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

ამხ. ტომსკის სიტყვა

მოსკოვი, 8 თებერვ. გაიხსნა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მესამე პლენუმი.

პლენუმი გახსნა ტომსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ პლენუმმა უნდა გამონახოს გზები მეთოთხმეტე პარტკრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პროფესიონალურ მოძრაობის სფეროში.

ეჭვს გარეშეა,—განაცხადა ტომსკიმ, რომ ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება დიდ დროს მოითხოვს. პლენუმმა, ადგილებზე არსებულ გამოცდილების თანახმად უნდა შეიმუშაოს მხოლოდ შემდგომი მუშაობის საერთო ხაზი.

პროფკავშირების მუშაობა სოფლად წარმოადგენს ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც განხილულ უნდა იქნეს პლენუმზე. შემდეგი საკითხია პროფკავშირთა ფინანსების დაზოგვის შესახებ, კავშირის აპარატის შემცირების და გამარტივების და სამუშაო ხელფასის შესახებ.

ჩვენ ზოგიერთ ანგარიშში შევცდით მაგრამ უიმედოთ მაინც არ უნდა ვუცქეროდეთ ეხლანდელ მდგომარეობას.

უმუშევრობის საკითხში საჭიროა არა ფინანსიური დახმარების გაძლიერება უმუშევართათვის, არამედ მათი რეალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ჩვენი მრეწველობა შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ უმუშევართა რიცხვი არამც თუ არ შემცირდა, არამედ ცოტათი კიდეც გაიზარდა. ეს იმას გვიმტკიცებს, რომ წარმოებებში მუშაობას იწყებენ არა მარტო პროფკავშირის წევრები, არამედ სოფლებიდან გამოსულებიც. საჭიროა სისწორით შესრულებულ იქნეს ამ საკითხის შესახებ არსებული დირექტივები; მრეწველობაში პირველ რიგში უნდა ჩავაბათ პროფკავშირთა წევრები.

პლენუმმა უნდა განიხილოს ყველა სადღეისო საკითხები ადგილებზე არსებულ გამოცდილების თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს პროფკავშირთა საქმიანობის გაზრდას და გამოცდილებას.

ამხ. დოგადოვის მოხსენება

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. დოგადოვის მოხსენება საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ დიდი აქტივობა გამოიჩინა პროლეტარიატის [illegible] თუმცა პრაქტიკულად საერთაშორისო მთლიანობის მხრივ ცოტა რამ არის გაკეთებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის შეხედულება რადიკალურად შეიცვალა. პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი მიისწრაფვის კლასიური მთლიანობისაკენ.

დოგადოვი შეეხო საბჭოთა პროფკავშირების საშინაო მდგომარეობას, და სთქვა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი მრეწველობა გაიზარდა 63 პროცენტით, მუშების რაოდენობა გაიზარდა 22 პროცენტით. ფაბრიკა-ქარხნების წარმოებებში ჩაბმულ მუშების რიცხვი აღწევს ომის წინა დროის 87 ნ. ხ. პროცენტს.

პროფკავშირებში დარაზმულ მუშების რიცხვი აღწევს დაახლოებით 7.800.000 სულს.

სატარიფო მუშაობის სფეროში უნდა აღინიშნოს სამუშაო ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა. წლის მეორე ნახევარში სამუშაო ხელფასი 24 პროცენტით გაიზარდა. მსხვილ მრეწველობაში ნამუშევარი ხელფასის რაოდენობა ომის წინა დროის 97 პროცენტს აღწევს. პლენუმმა ყურადღება უნდა მიაქციოს კოლექტიური ხელშეკრულებათა შეცვლას სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ნორმით. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო ამ ღონისძიებას აუცილებლად სთვლის მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის მოსაწესრიგებლად.

უკანასკნელ დროს გადასინჯულ იქნა შრომის კანონთა კოდექსი. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო ფიქრობს, რომ შრომის ძირითადი კანონები უნდა გავრცელდეს მთელ საბჭოთა კავშირზე.

სხდომის დანარჩენი ნაწილი მოუნდა კამათს დოგადოვის მოხსენების გარშემო.

ავსტრიის მუშათა დელეგაციის დასწრება პლენუმზე

მოსკოვი, 8 თებ. ავსტრიის მუშათა დელეგაცია დაესწრო საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმს. პლენუმმა დელეგაციას მხურვალე ოვაციები გაუმართა.

დელეგაციას მიესალმა ტომსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს დელეგაცია არ არის ოფიციალურად გამოგზავნილი პროფკავშირთა ორგანიზაციების მიერ, არამედ უშუალოდ არჩეულია ფაბრიკებსა და ქარხნებში.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის დელეგაციის თავმჯდომარე ფარკაშმა, რომელმაც განაცხადა: „სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენ მოვითხოვთ შრომის მთლიანი ფრონტის შექმნას კაპიტალის წინააღმდეგ“

საბჭოთა მშრომელი ახალგაზრდობის დელეგაცია ავსტრიაში

მოსკოვი, 8 თებერვ. ავსტრიის მშრომელი ახალგაზრდობის ნაციონალურმა კონგრესმა საბჭოთა კავშირის მშრომელ ახალგაზრდობას მიმართა წინადადებით, რომ უკანასკნელმა დელეგაცია გაგზავნოს ავსტრიის პროლეტარიატის ცხოვრების და ბრძოლის პირობების გასაცნობათ და მტკიცე მებრძოლი კავშირის შესაქმნელად ავსტრიის და საბჭოთა კავშირის მშრომელ ახალგაზრდობას შორის.

„ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი ახალგაზრდობის სახელით ვაცხადებთ—ნათქვამია ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპასუხო წერილში—რომ სიამოვნებით ვიღებთ თქვენს მოპატიჟებას და დაუყოვნებლივ ვიწყებთ ჩვენი დელეგაციის საარჩევნო კამპანიას მთელს მხარეში. ჩვენ ამ მოპატიჟებას ვსთვლით მშრომელთა საერთაშორისო ძმური სოლიდარობის გამოხატულებათ და იმის დამამტკიცებლად, რომ ავსტრიის პროლეტარიატის ფართო მასები სცნობენ რუსეთის პროლეტარიატის გზის სისწორეს და კიდეც მიჰყვებიან მის მაგალითს“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისართა თათბირი

ბაქო, 8 თებ. გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ჯანსახკომების თათბირი. თავმჯდომარეობს აზერბეიჯანის ჯანსახკომისარი კადირლი. თათბირს ესწრებიან: რკინისგზელთა პროფკავშირის სოციალურ დაზღვევის მთავარი სამმართველოს, რკინისგზელთა დამზღვევ სალაროს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის რკინისგზების ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება, რომელიც შავერდოვმა. მომხსენებელი აღნიშნავს რესპუბლიკების ჯანსახკომების ნაყოფიერ გავლენას რკინის გზელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. 150.000 მცხოვრებიდან 2.069 ვერსის მანძილზე დაზღვეულია 27.200 მუშაკი. არსებობს 55 სამკურნალო პუნქტი 790 საწოლით. სწარმოებს ფელშერიზმის ლიკვიდაცია. ფსიქიურ ავადმყოფთათვის თბილისში 15 საწოლია. შენდება სანატორიუმი ლიბანში 300 საწოლით. სურამში განზრახულია სანატორიუმის აშენება საქართველოს და აზერბეიჯანის რკინისგზელებისათვის. ამიერ კავკასიის რკინის გზებზე ირიცხება სულ 848 სმექიმო პირი.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

(ახლო ხანში მისი თბილისში ჩამოსვლის გამო)



ი. ფარკაშ

დელეგაციის თავმჯდომარე.



ზონნერ

დელეგაციის მდივანი.

უკანასკნელი ცნობები

მენშევიკ-ჯაშუშების ორგანიზაცია

კიევი, 8 თებ. კიევში აღმოჩენილ მენშევიკ ჯაშუშების ორგანიზაციის შესახებ გამოძიება ბოლოვდება. მალე დამნაშავენი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კიევის განყოფილების უფროსმა ამხ. ზ. ჩადნიმ გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა, რომ ანჯაფარიძესა და პოლოჟენისთან ერთად დაპატიმრებულია ვილაც შექშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ანჯაფარიძეს იმისთვის უნდა გადაეცა 400 დოლარი; ეს თანხა მას ექიმ გაჩეჩილაძის საშუალებით უნდა გადაეცა თბილისში მენშევიკების ცეკასთვის. დაკითხვაზე ანჯაფარიძემ სთქვა, რომ ფული ამ მიზნისთვის უნდა მიეცა პოლონეთის ჯაშუშ პოლოჟენს. გამომძიებლის შეკითხვაზე—იცის თუ არა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს იმ როლის შესახებ, რომელსაც თამაშობს პოლონეთის გენერალური შტაბი კავშირის დამყარებაში საქართველოსა და ანჯაფარიძეს შორის, ბრალდებულმა დადებითად უპასუხა.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება

ვარშავა, 8 თებ. ამ დღეებში ვარშავაში გაიხსნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატა. პალატის გახსნას დაესწრენ საბჭოთა კავშირის მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენლები სრულუფლებიან წარმომადგენლის ვოიკოვის მეთაურობით, რომლებმაც შემდეგ ინახულეს პოლონეთის პრემიერი სკშინსკი და მასთან ისაუბრეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობაზე. საუბრის დროს სკშინსკიმ განაცხადა, რომ ახლო მომავალში დაიწყება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების მიზნით.

საბჭოთა დელეგატს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან—ოსეცკისთან.

მორაჩევსკის გადადგომა

ვარშავა, 8 თებ. პოლონეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა მორაჩევსკიმ, პ. ს. პ. წევრმა გადადგომის განცხადება გადასცა პრემიერ-მინისტრს სკშინსკის, რომელმაც დააკმაყოფილა მორაჩევსკის განცხადება.

ფრანგი მუშების ჩამოსვლა

მოსკოვი, 8 თებ. სრულიად საკავშირო ქიმიური წარმოების მუშათა ყრილობაზე დასასწრებლათ ჩამოვიდენ საფრანგეთის მუშა-ქიმიკოსების წარმომადგენელნი შაბანს და დიუკატრონი: ყრილობა ფრანგ ამხანაგებს მხურვალე ოვაციებით შეხვდა.

საბჭოთა არჩევნები

მოსკოვი, 8 თებერვ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა თავის ცირკულიარში საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებისადმი აღნიშნავს, რომ საბჭოების არჩევნების პირველი შედეგები მოწმობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა რამოდენიმეთ შეამცირეს ყურადღება ამ კამპანიისადმი. ამიტომ ცეკა წინადადებას იძლევა: გაძლიერებულ იქნეს მუშაობა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, გაძლიერებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ რაც შეიძლება მეტი მუშა იღებდეს მონაწილეობას არჩევნებში, მეტი ყურადღება მიექცეს აგრეთვე ღარიბ გლეხებისა და მოჯამაგირეების საარჩევნო კრებების მოწყობას და ამ კრებაზე საშუალო გლეხების აქტივის მონაწილეობას. ცეკა მოითხოვს აგრეთვე, რომ ამ კამპანიაში აქტიურად ჩაბმულ იქნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, პროფკავშირები, კოოპერატიული გაერთიანებანი, გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტები; არავითარ შემთხვევაში საბჭოების არჩევნები იმავე დროს არ უნდა მოხდეს, რა დროსაც სხვა რომელიმე ფართო საზოგადოებრივი კამპანიები ხდება; მიღებული იქნეს ზომები, რათა უფრო ფართოდ იქნეს გაშუქებული პრესაში მზადება არჩევნებისათვის, მათი შედეგები და კამპანიის პოლიტიკური მნიშვნელობა.

საქართველოს გასაბჭოების დღე

ცირკულიარულად

ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

მიმდინარე წლის 25 თებერვალს სრულდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავი. საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის სადღესასწაულო კამპანიის ჩატარება უნდა ეხებოდეს უმთავრესად იმ მიღწევათა განმარტებას მშრომელი მასის ფართო ფენებში, რაც მოიპოვა მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე. საქართველოს გასაბჭოების წლის თავი ხვდება წითელ არმიის 8 წლის თავს. ამისათვის საჭიროა საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების დროს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს წითელი არმიის და კერძოდ ა. კ. წითელ-დროშოვან არმიის დამსახურებას საქართველოს მუშებისა და გლეხების წინაშე, მის როლს საქართველოს გასაბჭოებაში, ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარებაში ამიერ-კავკასიის ცალკე ერებს შორის და სხვა. მასებს უნდა განემარტოს აგრეთვე ქართული წითელი ლაშქრის მნიშვნელობა და საერთოდ წითელი არმიის მონაწილეობა ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში.

25 თებერვლის დღესასწაულის ჩატარებისათვის მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი.

1. მუშათა რაიონებში, საოლქო, სამაზრო და რაიონულ ცენტრებში მოწყობილი უნდა იქნეს დემონსტრაცია-მიტინგი და სამხედრო ნაწილების აღლუმი, სადაც ასეთები სდგას. დემონსტრაციაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნან მხოლოდ იმ სოფლის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საერთოდ მშრომელი გლეხობა, რომელნიც ახლოს იმყოფებიან დემონსტრაციის ადგილიდან.

მნიშვნელოვან თემებში მოწვეული უნდა იქნეს მიტინგი. აღნიშნულ ადგილებში დემონსტრაცია-მიტინგების შემდეგ უნდა მოეწყოს ადგილობრივ საბჭოს გაფართოვებული პლენუმი (სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციის წევრთა და ფართო მასის თანადასწრებით). სასურველია, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ადგილობრივი ძალებით და საშუალებებით მოეწყოს საბჭოს გაფართოვებული პლენუმის შემდეგ უფასო წარმოდგენა-საღამო.

2. თემები მოხსენებებისათვის იქნება შემდეგი: ა) „საქართველო მენშევიკების ბატონობის დროს“; ბ) „საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე“; გ) „რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელს“. დ) ა. კ. წითელდროშოვან არმიის დამსახურება“.

3. ყველა საოლქო სამაზრო კომიტეტებმა უნდა მოახდინონ პროპაგანდისტთა მობილიზაცია და მიავლინონ ადგილებზე მოხსენებლებათ. საჭიროა რამოდენიმე დღით ადრე იქნან ადგილებზე მივლინებული მოხსენებლები, რათა მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულის ჩატარების წინასწარ სამზადისის მუშაობაში. ვიდრე მომხსენებლები მავლინებული იქნებოდენ ადგილებზე, მანამდის საჭიროა წინასწარ იქნას გარჩეული საინსტრუქციო მოხსენების სახით ზემოთ აღნიშნული თემები.

4. ყოველ საოლქო სამაზრო ცენტრში უნდა მოეწყოს დღესასწაულის მომწყობი საოლქო-სამაზრო კომისია. კომისიაში უნდა შევიდნენ: პარტკომის, აღმასკომის, პროფკავშირის, კომკავშირის, ჯარის ნაწილების, ქალთა განყოფილების და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულ თემებზე მოხსენებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჟურ. „კომუნისტის თანამგზავრი“-ს მე-3 №-ში მოთავსებული წერილები.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი
მ. ოკუჯავა.
საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე
ბახტაძე.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ცირკულიარულად
8 იანვარი 1926 წ.

საქ. კომპარტიის (ბ) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ქალთა ადგილობრივ ორგანიზაციას შეუდგეს წინასწარ სამზადის მუშაობას ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის (8მარტი) ჩასატარებლად. ეს დღე, რომელიც წარმოადგენს საერთო პროლეტარულ დღესასწაულს, უნდა ჩატარდეს, როგორც მასიური კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მშრომელ ქალთა შემოკრებას კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. ამ დღის ჩასატარებლად აუცილებლად საჭიროა მიიღოთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. ყველა საწარმოში, ქალაქის და სოფლის უჯრედებში, სადელეგატო კრებებზე, კონფერენციებზე, კლუბებში და სხვ. წინასწარ ჩატარებულ იქნას მოხსენებები ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის მნიშვნელობისა და მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობაში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, აგრეთვე ქალთა უფლებრივი და ეკონომიურ სფეროში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ.

2. ამ დღეს უნდა დაუკავშირდეს ბავშვთა ბაღების, სახლების, ბაგეთა და სასადილოთა, კლუბებში საბავშვო ოთახების და ქოხ-სამკითხველოებში წითელი კუთხეების გახსნა, ჟურნალის და კედლის გაზეთების გამოცემა და იქ კი, სადაც ასეთები მოიპოვებიან, მიღებულ იქნას ღონისძიებანი აღნიშნულ დაწესებულებათა გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის.

3. უფრო გამოცდილი და შეგნებული დელეგატები და საზოგადო მოღვაწე ქალები მიზიდულ იქნან პარტიის და ლ. ა. კ. კ-ის რიგებში.

4. თავის დროზე უნდა იქნეს გაწვეული ამხანაგები კამპანიის ჩასატარებლად.

5. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს პარტიულ კომიტეტის მიერ.

მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს: ლ. ა. კ. კ., წითელი არმია, პროფკავშირები, პიონერთა რაზმები, შეფები და აგრეთვე სოფლის კულტურული ძალები, პირველ რიგში მასწავლებლობა.

საქ. კომპარტიის ც. კ-ის მდივანი **მ. კახიანი.**

ც. კ-ის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყ. გამგე **ჯაფარიძე.**

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის 8 მარტის ჩატარების გეგმა

საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღესასწაული—8 მარტი ჩატარებულ უნდა იქნეს, როგორც საერთო პროლეტარული დღესასწაული, შემდეგი გეგმით:

1) საქ. კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებასთან დაარსებულ იქნას დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია განყ. გამგის თავმჯდომარეობით, რომელშიაც შევლენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: აგიტპროპის, საორგანიზაციო განყოფილების, ახ. ლ. კ. კავშირის ცეკას, პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოდან, „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს რედაქციებიდან, საქ. პროფკავშირის საბჭოდან, განათლების კომისარიატიდან, ჯანმრთელობის კომისარიატიდან და საქ. ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიიდან.

2) ამ დღისთვის ცეკას მუშა და გლეხქალთა განყოფილებამ გამოსცეს ფურცელი, გამოიმუშაოს სპეციალური თეზისები მომხსენებლებისათვის და ყველა ეს მასალები თავის დროზე გაუგზავნოს მაზრებს.

3) ცეკას და ტეკას საშუალებით მობილიზაცია ეყოს პ. მ. კომუნისტებს 8 მარტის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ისე მაზრებში.

4) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებთან დაარსდეს დღესასწაულის მომწყობი კომისიები. საქ. გამგის თავმჯდომარეობით. აღნიშნულ კომისიებში უნდა შევიდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: აგიტ-პროპის, ა. ლ. კ. კ-ის, უპროფბიუროს პიონერთა ორგანიზაციის, ჯარის ორგანიზაციის, განათლების განყოფილების, ჯანმრთელობის განყოფილების, გლეხკომის და სხვა ორგანიზაციების.

5) მრავალ-რიცხოვან უჯრედებში გამოყოფილ უნდა იქნეს სპეციალური კომისიები 8მარტის ჩასატარებლად.

6) ყველა უჯრედებზე და სადელეგატო კრებებზე ჩატარებულ უნდა იქნას წინასწარ მოხსენებები 8 მარტის მნიშვნელობის შესახებ.

7) დღით 8 მარტს მოეწყოს დელეგატების საზეიმო ღია კრებები, სადაც მოწვეულ უნდა იქნეს საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

8) დაუკავშირდეს 8 მარტს პარტიის და კომკავშირის აქტიური კანდიდატი ქალების პარტიაში და კომკავშირში წევრებათ გადარიცხვა.

9) დემონსტრაციები ქუჩებში არ იქნას მოწყობილი.

10) თემებში და სოფლებში დელეგატების საზეიმო ღია კრებებზე, რომლებიც მოწყობილი იქნება 8 მარტს, მიზიდულ უნდა იქნეს რაც შეიძლება უფრო მეტი ნაწილი მშრომელი გლეხობისა, უმთავრესად კი სოფლის აქტიური გლეხის ქალები—საბჭოთა და გლეხკომების წევრები.

11) გაიგზავნოს მუშა და გლეხ-ქალთა ჯგუფები ერთი მაზრიდან მეორეში ერთმანეთის გასაცნობათ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი: **ქართველიშვილი.**

მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე გან. გამგე: **ჯაფარიძე**

ლოზუნგები 8 მარტისათვის

1) მუშა ქალებო, კიდევ უფრო განამტკიცეთ კავშირი გლეხებთან.

2) გლეხის ქალო, იმუშავე საბჭოში, ისწავლე წერა-კითხვა, მოაწყვე ახალი ცხოვრება.

3) მუშა ქალებო და გლეხის ქალებო! დელეგატთა კრებების საშუალებით დაირაზმეთ კომუნიზმისათვის მებრძოლთა რიგებში.

4) მუშა და გლეხის ქალებო! თქვენი წრიდან საუკეთესო მუშები გაგზავნეთ ლენინის კომუნისტურ პარტიაში.

5) მუშა და გლეხის ქალებო! გახსოვდეთ მუდამ ლენინის ანდერძი, რომ კოოპერაცია ერთერთი გზაა სოციალიზმის დასამყარებლად.

6) საბჭოთა წითელ დროშას მშვიდობიანობა და თავისუფლება მოაქვს მშრომელ ქალთათვის.

7) მუშათა კლასი ემყარება ღარიბ-ღატაკებს; კავშირს იჭერს საშუალო შეძლების გლეხობასთან და ამ გზით მისწრაფვის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

8) მუშა ქალებო და გლეხის ქალებო! იმუშავეთ წერა-კითხვის გასავრცელებლად . ასწიეთ კვალიფიკაცია, კულტურა..

9) მუშა და გლეხ-ქალებო! დაირაზმეთ ლენინის პარტიის დროშის გარშემო.

10) საერთაშორისო ქალთა კომუნისტური დღე—ეს დათვალიერების დღეა ყველა ქვეყნის მუშა ქალთა და გლეხ ქალთა ძალებისა.

11) ლენინური კავშირი ახალ მებრძოლებსა და მშენებლებს ამზადებს ძველების შესაცვლელად.

12) მშრომელო ქალებო! თქვენი ადგილი მხოლოდ კომკავშირის რიგებშია.

13) დაე, კომკავშირელთა წითელმა თავსაფარმა შესცვალოს ჩადრი!

14) ძირს აღმოსავლეთის ქალის დამჩაგრელ-დამმონავებელი კანონები და ადათები.

15) ძირს ქალის ყიდვა-გაყიდვა, ჩადრი და მცირეწლოვანთა ქორწინება.

16) კომკავშირის რიგებში ხდება ახალ მებრძოლ ქალთა აღზრდა.

17) მე-2—ინტერნაციონალი ბურჟუაზიის ყურმოჭრილი მონაა; რევოლიუციონურ მუშა ქალთა და გლეხ ქალთა ადგილი კომინტერნის რიგებში.

18) მხოლოდ კომინტერნი ანთავისუფლებს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით მუშა ქალებს და გლეხ ქალებს მონობის უღლიდან.

19) პიონერო, შენ უნდა იყო დედის თანაშემწე მის განთავისუფლებაში სამზარეულოს ტვირთისაგან.

20) პიონერო, წაუკითხე დედას გაზეთი, წაიყვანე იგი კლუბში.

ეკონომიური ცხოვრება

ა.-კავკასიის ფინსახკომში

შინამრეწველების ვაჭრობის შესახებ.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტებით, ის შინამრეწველნი და ხელოსნები, რომლებიც ვაჭრობენ საკუთარი ნაწარმოებით და მუშაობენ სავაჭროსავით მოწყობილ ბინებში, ვალდებულნი არიან იქონიონ შესაფერი სარეწაო ნებართვა.

„რადიოს მეგობრები“.

საკავშირო ცაკის და ფინსახკომის დადგენილებით „რადიოს მოყვარულთა საზ-ბის“ წარმოებები, როგორც არის: გამომცემლობა, წიგნის სავაჭრო, სტამბა, ხმა-მაღალი მოლაპარაკე აპარატების სავაჭრო და სხ. განთავისუფლებულია სარეწაო დაბეგვრისაგან.

საკურორტო გადასახადი.

ა.-კ. ფინსახკომის ცნობით, საკავშირო ფინსახკომმა აღძრა შუამდგომლობა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათის ვადა კიდევ გაგრძელებული იქნეს 3 წლით, კურორტების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

სარეწაო ნებართვები.

ვინაიდან თავის დროზე სასარეწაო ნებართვების გამოუცვლელობა აფერხებს საბიუჯეტო გეგმის შესრულებას, ა.-კ. ფინსახკომმა წინადადება მისცა ადგილებს, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ვადაგასულ სასარეწავო ნებართვების ნაცვლად, როგორც სახელმწიფო, საზოგადო, ისე კერძო სავაჭრო დაწესებულებებმა თავის დროზე აიღონ ახალი ნებართვა.

ახალი საკრედიტო საზოგადოება.

ა.-კ. ფინსახკომმა დაამტკიცა ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზ-ბის წესდება. საზ-ბას აქვს ძირითადი თანხა 5000 მან. რაოდენობით.

ხალიჩების გამოფენა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ინიციატივით, მიმდინარე თვის პირველ რიცხვებში ყაზახში გაიხსნა ხალიჩების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ის ხალიჩები, რომლებიც მოქსოვილია 1922—23—24 და 25 წლების განმავლობაში. ნამდვილი მიზანია—საუკეთესო ხალიჩებზე ჯილდოს დანიშვნით გაუმჯობესებული იქნეს იმ ხალიჩების ღირსება და მხატვრული ღირებულება, რომლებსაც ამჟამად შინამრეწველები ამზადებენ. ჯილდოს დანიშვნა გამოწვეულია იმით, რომ უკანასკნელ ხანებში დამზადებული ხალიჩები მხატვრული შესრულების მხრივ უფრო დაბალი ღირსებისაა, ვიდრე წინა წლებში დამზადებული ხალიჩები.

გამოფენის დასრულების შემდეგ საუკეთესო ხალიჩების მეპატრონეებს მიეცემათ სათანადო დიპლომები ფულადი საჩუქრებით. სულ დაწესებულია ათი დიპლომი: პირველ დიპლომზე დაწესებულია 50 მანეთი, მეორეზე—35 მანეთი, მესამეზე—25 მან. და სხვა.

გამოფენილი ხალიჩები შეიძლება გაყიდული იქნეს, რადგან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ გამოფენაზე მოწყობილია ხალიჩების შესყიდვის პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ ხალიჩების წარმოება ყაზახის მაზრაში უკანასკნელ დროის განმავლობაში დაეცა, ომამდი კი ხაზახის ხალიჩები სახელგანთქმული იყო თავისი სიმტკიცით და სილამაზით. ეს ხალიჩები საღდებოდა სომხეთში და აზერბეიჯანში.

ხალიჩების წარმოების შემცირება ომიანობის დროს გამოიწვია მესაქონლეობის განვითარების შეფერხებამ, როდესაც ყაზახის მაზრის გლეხებს აღარ შეეძლოთ ესარგებლათ მდიდარი საძოვრები. მხოლოდ 1922 წლიდან დაგროვდა გლეხთა მეურნეობაში მატყლის ზედმეტი რაოდენობა და ხალიჩების წარმოების გაცხოველებაც ამ დროიდან იწყება.

ჩვენში ხალიჩების წარმოების ნორმალურ განვითარებას ხელს უშლის საღებავების და დაქსაქსულ შინა-მრეწველების გაერთიანებულ ორგანიზაციის უქონლობა. ამ მხრივ ხალიჩების გამოფენის მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გამოფენა საძირკველს ჩაუყრის სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევის საქმეს.

განზრახულია ასეთივე გამოფენები მოეწყოს ამიერ-კავკასიის ხალიჩების წარმოების სხვა ცენტრებშიც—განჯაში, ყარაბახში, კუბის მაზრაში, შემახაში და სხვაგან.

მედიკამენტების შემოტანა

მედიკამენტები ამიერ-კავკასიაში შემოდის საზღვარგარეთიდან და მხოლოდ მცირე ნაწილი შემოაქვთ რუსეთიდან.

ამიერ-კავკასიაში მედიკამენტები სრულიად არ მზადდება, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში სცადა მედიკამენტებით ვაჭრობის სახელმწიფო სამმართველომ ქლოროფორმის და ეთერის დამზადება.

რუსეთში უკვე მუშაობს მედიკამენტების დამამზადებელი რამოდენიმე ორგანიზაცია: შერინგის გერმანული ფირმის ყოფილი განყოფილება რუსეთში, კელერის ნახევრად ფაბრიკული ლაბორატორია და მთელი რიგი სხვა წარმოებები, რომლებიც გაერთიანებული არიან მედიკამენტებით ვაჭრობის სახელმწიფო სამმართველოში და ანილინის ტრესტში; ეს წარმოებები ამზადებენ სალოლს, ბორის სიმჟავეს, უროტროპინს (საშარდე ორგანოების სამკურნალო პრეპარატები) და სხვას, რომელთა შემოტანა საზღვარგარეთიდან აკრძალულია.

რაც შეეხება პატენტიან პრეპარატებს, მათი შემოტანა სიძვირის გამო აკრძალულია.

ყველა დანარჩენი მედიკამენტები შემოაქვთ საზღვარგარეთიდან, უმთავრესად, გერმანიიდან, რომელიც ამზადებს შედარებით კარგი ღირსების და იაფ მედიკამენტებს.

ამიერ-კავკასიაში მედიკამენტები შემოაქვს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს. რამოდენიმე დღის წინათ გემ „კურსკ“-ით ჩამოტანილი იქნა მედიკამენტების დიდი პარტია, რომელიც განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის მათ მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

ამავე გემით ჩამოტანილია კბილის საექიმო მოწყობილობა, რენტგენის მინები, პლიონკები რენტგენის სურათებისათვის და სხვა, რომლებიც აგრეთვე განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

საგეგმო კომისიაში

სამიწადმზომელო კურსების დაარსების გარშემო

სამიწადმზომელო კურსების დაარსების გარშემო.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სამიწადმზომელო კურსების დაარსების შესახებ. კურსების დაარსების საჭიროება მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი, მხოლოდ რაც შეეხება მი 62.200 მ. რომელიც გადადებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ საქართველოს ღარიბ გლეხობის მამულების მოწყობისათვის, მისი დახარჯვა მიზანშეწონილად იქნა ცნობილი მიწისმზომელთა კადრის გაფართოებაზე და მათ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ვინაიდან ქიმიის ტეხნიკუმთან არსებულ სამიწათმზომელო განყოფილება იძლევა ყოველწლიურად მცირე რიცხვს ჯეროვნად მომზადებულ მიწადმზომელებისა, განათლების კომისარიატს დაევალა გამოარკვიოს ამ ნაკლის მიზეზი და წარადგინოს საგეგმო კომისიაში სათანადო მოხსენება.

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რათა ყოველმა მოწაფემ, რომელიც კი დაასრულებს ქიმიის ტეხნიკუმთან არსებულ სამიწათმზომლო განყოფილებას, უნდა იმუშაოს, დაწესებულ გასამჯელოს აღებით, მიწის მოწყობის დარგში სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგ მიენიჭება მას უფლება უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა.

„საქართველოს მარგანეცი“

სამთომადნო მუშაობის ხელმძღვანელები

კავკასიის სამთომადნო ამხანაგობის—„კარუტო“-ს ყოფილი მმართველი ვიურცბურგერი დაინიშნა ჭიათურის სამთომადნო მუშაობის ხელმძღვანელის თანაშემწეთ. მეორე თანაშემწეთ საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს მიერ მიწვეულია ინჟ. საყვარელიძე.

შავი-ქვის ექსპორტი

გასული 1925 წლის განმავლობაში ჭიათურიდან საზღვარგარეთ გატანილი იქნა 444.540 ტონი შავი-ქვა, ე. ი. 36.255 ტონით ნაკლები,ვიდრე 1924 წელში, როდესაც გატანილი იყო 480.795 ტონა.

თუ ჩვენ შევადარებთ 1925 და 1924 წლების უკანასკნელ კვარტალებს, დავინახავთ, რომ შავი-ქვის ექსპორტი 1925 წელში თითქმის ორჯერ გაიზარდა. 1924 წლის უკანასკნელ კვარტალში (მეოთხედში) გატანილი იყო 71,088 ტონა, გასული წლის უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში კი—134.653 ტონი.

შავი-ქვის ექსპორტს 1925 წლის უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში აწარმოებდა საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“.

მოიჯარადრეები

საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს მთავარ მმართველობასთან ერთად ამერიკიდან ჩამოვიდა ორი წევრი (სამთომადნო ინჟენერი პიკილინგი და ცნობილი იურისტი ბოკოკი) იმ კომისიისა, რომელმაც უნდა გაანაწილოს მოიჯარადრეების (საზ-ბა „ჩემო“-ს ყოფილი წევრების) მონაწილეობა პარალელურ ხელშეკრულებაში.

საქმე იმაშია, რომ კონცესიონერთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარადრეები ვალდებული იყვნენ განსაზღვრულ ვადაში შეთანხმებულიყვნენ და გამოერკვიათ, თუ რაში უნდა გამოიხატოს თვითეული ფირმის მონაწილეობა პარალელურ ხელშეკრულებაში.

ვინაიდან მოიჯარადრეები ვერ შეთანხმდენ დანიშნულ ვადაში, საზ-ბა „საქართველოს მარგანეცმა“ დანიშნა სპეციალური კომისია,რომელსაც დავალებული აქვს სისწორით გამოარკვიოს თვითეული ფირმის მუშაობის უნარიანობა და ამისდამიხედვით დააწესოს მათი მონაწილეობის პროცენტი შავი-ქვის ჩაბარებაში.

კომისიის წევრებმა უკვე დაიწყეს წინასწარი მუშაობა. მარტში მოსალოდნელია კომისიის თავმჯდომარის რაიმერსის ჩამოსვლა, რომლის მონაწილეობითაც საბოლოოთ ჩამოყალიბდება თვითეული ფირმის მონაწილეობა პარალელურ ხელშეკრულებაში.

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი (ჩვეულებრივი ხარჯები) წელს შედგენილია 58.711.000 მანეთის რაოდენობით (შარშან იყო 41.900.000 მანეთი); თუ ამას დაუმატებთ კრედიტებს საგანგებო ხარჯებისათვის, მაშინ ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი გამოიხატება 67.109.000 მანეთში; ამ თანხაში არ შედის კრედიტები ზაჰესისათვის, რომელიც შეტანილია საკავშირო ბიუჯეტში.

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის თავისებურებათაგან აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, დოტაცია კულტურული აღმშენებლობისათვის, რომელიც საკავშირო მთავრობის მიერ აზარბეიჯანის სახ. კომ. საბჭ. პირვ. ეძლევა აგრეთვე განსაკუთრებული დოტაცია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს. ამას გარდა, წელს ამიერ-კავკასიის მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაღებული იქნება დოტაცია 5.100.000 მანეთის რაოდენობით.

საკავშირო მთავრობა ამიერ-კავკასიას აძლევს 2.000.000 მანეთს სარეზერვო ფონდში და 12.700.000 მანეთს სუბვენციის (დახმარების) ფონდში, საიდანაც 1.700.000 მანეთი გადადებულია რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად; აღსანიშნავია, რომ ამიერ-კავკასიის გარდა არც ერთი საკავშირო რესპუბლიკას არ მიუღია ასეთი დოტაცია; ამას გარდა, გადადებულია ერთი მილიონი მანეთი ბაქოს საბჭოს დეფიციტის დასაფარავად და 4.900.000 მანეთი წმინდა სუბვენციის ფონდში.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ფინსახკომი ამჟამად იხილავს თბილისის საბჭოს ბიუჯეტს, რომელიც დიდი დეფიციტით არის შედგენილი და 1924—25 წლის დეფიციტის დაფარვის ხარჯთაღრიცხვას.

ჩვეულებრივი ხარჯები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის განაწილებულია შემდეგნაირათ: ამიერ-კავკასიის ფედერატიული ბიუჯეტი—16.353.000 მანეთი, საქართველო—15.732.000 მანეთი, აზერბეიჯანი—15.539.000 და სომხეთი—4.233.000 მანეთი. ხარჯების განაწილება მოხდა ა. კ. ს. ფ. ს. რ. და ცალკე რესპუბლიკების საბიუჯეტო წესების მიხედვით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წმინდა სუბვენციის ფონდი შეტანილია ამიერ-კავკასიის ბიუჯეტში.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილს, საკავშირო, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ჯერ არ არის შემუშავებული იმ შემოსავლის სია, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტში.

საბჭოთა აღმშენებლობა

აფხაზეთში

ქაღალდის ფაბრიკა

აფხაზეთის ს. მ. უ. ს. დაარსებულმა სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ ქაღალდის ფაბრიკისათვის საჭირო თვითეულ კუბიკურ საჟენ მერქანის დამზადება ბზიბის სატყეო აგარაკში, სადაც განზრახულია ფაბრიკის მოწყობა, დაჯდება 18 მანეთით უფრო იაფი, ვიდრე სხვა აგარაკებში; ამიტომ ფაბრიკის აგება ბზიბის აგარაკში გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

პროექტის მიხედვით, მომავალი ფაბრიკა დაამზადებს 20 ხარისხის ქაღალდს და ერთ მილიონ ფუთ კარტონს ყოველწლიურად, რასაც დასჭირდება 2.500.000 კუბ. საჟენი სატყეო მასალა. ფაბრიკაში იმუშავებს 1.200 მუშა.

ფაბრიკის მოწყობა დაჯდება 7 მილიონი მანეთი; აქედან: მოწყობილობა—3.000.000 მანეთი, შენობების აგება—1.538.000 მანეთი და მუშათა უბნის გაშენება—648.000 მანეთი.

განზრახულია ბზიბის რაიონში გაგრიდან გადატანილი იქნეს ბალაშოვის ყოფ. ხე-ტყის ქარხანა, რომელიც ამ ჟამად არ მუშაობს, და მთელი რიგი სხვა ქარხნები.

სპირტის ქარხნების მოწყობა

ამ ჟამად ღვინო-სპირტის ნაწარმოების ძირითადი მასა აფხაზეთში გამოუყენებელი რჩება: გლეხების მიერ კუსტარული წესით დამზადებული ღვინოები ვერ უძლებენ შორს გატანას და ამიტომ მათი ფასი ეცემა.

უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის ს. მ. უ. საბჭოს გადაეცა ორი სპირტის გამომხდელი ქარხანა, რომელთა ამუშავების შემდეგ შესაძლებელი იქნება ადგილობრივ დამზადებულ ღვინოების უფრო რაციონალურათ გამოყენება.

ერთი ქარხანა მოწყობილი იქნება გუდაუთში, მეორე კი ოჩემჩირეში; პირველი ამუშავდება ორი თვის შემდეგ, მეორე კი—გაზაფხულზე. ამ ქარხნების საშუალებით გადამუშავებული იქნება 60.000 ფუთი ყურძენი, 150.000 ფუთი ღვინო და 12.000 ფ. დაუწმენდავი არაყი.

თამბაქოს წარმოების გაფართოება

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა აფხაზეთის თამბაქოს წარმოების გასაფართოებლათ გადასდო 100 000 მანეთი. ამ თანხით მოწყობილი იქნება ახალი დიდი ფაბრიკა, რომლისათვისაც გამოყენებული იქნება ლენინგრადიდან ჩამოტანილი თამბაქოს ფაბრიკის მოწყობილობა.

ახალი ფაბრიკის მოწყობას დასჭირდება ხუთი თვე. ამ ფაბრიკის ამუშავების შემდეგ აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 100 პროცენტით.

ხე-ტყის ქარხნის გაფართოება

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა აფხაზეთის ს. მ. უ. ს. ხე-ტყის ქარხნის გასაფართოებლათ გადასდო 25 ათასი მანეთი. ამ თანხით ქარხნის გაფართოების გარდა შეკეთებული იქნება ქარხნისაკენ მიმავალი გზები.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. საბჭოს სხდომა იყო ღია, რომელსაც საბჭოს წევრებს გარდა დაესწრნენ არაწევრებიც—კერძო მოქალაქეები. დღის წესრიგში იდგა საბინაო საკითხი და მოხსენება სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ.

საბინაო საკითხი

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა უძრავ ქონებათა სამმართველოს გამგე ამხ. ბაბუნაშვილმა. აღნიშნა რა სახლების ამჟამად არსებული მცირე შემოსავალი, საჭიროდ აღიარა მტკიცე ეკონომიური ბაზის შექმნა სახლების მეურნეობისათვის.

თუ ომის წინა ხანებში,—ამბობს მომხსენებელი სახლის შემოსავალი 100 პროცენტს უდრიდა, სახლის აუცილებელი ხარჯები 30 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად სახლის მეურნეობას იმდენი არ შემოაქვს, რომ დაჰფაროს აუცილებელი ხარჯები. მომხსენებლის აზრით საჭიროა, ბინის ქირა გადიდდეს და სხვა ხარჯები კი შემცირდეს იმდენად მაინც, რომ შესაძლებელი გახდეს სახლის მეურნეობის განადგურებისაგან დაცვა.

ამისათვის მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ბინის ქირის გადიდება საშუალოდ 40—45 პროცენტით; დარაჯთა ხელფასის გათანაბრება, დასაზღვევი პრემიის შემცირება და სხვა.

საბინაო და სარემონტო მშენებლობის დარგში მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შეღავათების მინიჭება სახლების ახლად აღმშენებლებისათვის და კომ. ბანკიდან სესხის მიცემა სახლების შესაკეთებლად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. საბჭოს წევრებს გარდა საბჭოს ნებართვით სახლის კერძო მესაკუთრეთა სახელით ილაპარაკა მოქ. ცქიმანაურმა, რომელიც საჭიროდ სცნობდა სახლის პატრონთა მეტს დაინტერესებას ქირის და საერთოდ სახლის შემოსავლის გადიდებით.

დასასრულ საბჭომ საბინაო ქირის პროექტი უცვლელად დაამტკიცა და მიიღო რეზოლიუცია, სადაც მოწონებულია აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გამომუშავებული ღონისძიებანი.

დაგვიანების გამო მოხსენება სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ გადაიდო მორიგი პლენუმისათვის.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

როგორ ჩატარდა მოსამზადებელი კამპანია

სიღნაღის მაზრა

შესრულებულია ყველა თემებში მცხოვრებთა საერთო აღწერა განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ხნოვანებისა; ცალცალკე შედგენილია საარჩევნო უფლების მქონე და ამ უფლებასმოკლებულ მოქალაქეთა სიები.

მაზრიდან მივლინებულ 3 | მგ. ამხანაგთა მიერ ჩატარებულია წინასწარი მუშაობა. სასოფლო ყრილობებზე აკეთებდენ მოხსენებებს სამაზრო აღმასკომის 1925 წლის მუშაობის შესახებ. ყრილობებსვე აბარებდენ ანგარიშებს თემაღმასკომების და თემსაბჭოების მუშაობის შესახებ. თემაღმასკომები მოხსენებას უკეთებდენ თემსაბჭოს თავიანთი მუშაობის შესახებ და სხვა. მაზრაში 33 საბჭოა და ამ ჟამად წინასწარი მუშაობა თითქმის ყველგან ჩატარებულია.

შემუშავებულია სახელმძღვანელო ნაკაზი მომავალი თემსაბჭოს მუშაობისათვის. ეს ნაკაზი ზოგიერთ თემში სასოფლო ყრილობების განსახილველათ იყო წარდგენილი და ამ ყრილობებზე დამსწრე გლეხები დიდ აქტივობას იჩენდენ როგორც ამ ნაკაზის გარჩევაში, ისე სხვა სასოფლო ხასიათის საკითხების გადაჭრაში. აღნიშნული ნაკაზი გადამუშავდება საარჩევნო ყრილობებზედაც.

საარჩევნო ლიტერატურის გასაცნობად და საარჩევნო საქმის წარმოების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ორჯერ იყო მოწვეული თემაღმასკომთა მდივნების ყრილობა.

ოზურგეთის მაზრა

საარჩევნო კამპანია ფაქტიურად დაიწყო 15 დეკემბრიდან და გაგრძელდება 20—25 თებერვლამდე.

საარჩევნო კომისიები მოწყობილია ყველა თემებში; სულ დაარსებულია 41 სათემო და 1 სამაზრო საარჩევნო კომისია, რომელიც იმავე დროს არის ქალაქის საარჩევნო კომისიაც.

მაზრის საარჩევნო უბნებათ დაყოფა სწარმოებს ეხლა. სამაზრო აღმასკომის ანგარიშის ჩაბარება სათემო საბჭოების სხდომებზე დაიწყო 1 თებერვლიდან.

ახალციხის მაზრა

მთელი ახალციხის მაზრა დაყოფილია 19 სათემო საარჩევნო კომისიათ, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია 63 საარჩევნო უბნათ.

სამაზრო აღმასკომის მიერ ადგილებზე დაგზავნილ პასუხისმგებელ ამხანაგების თაოსნობით მოწვეული იყო თემსაბჭოების გაფართოებული პლენუმის სხდომები, რომლებსაც მრავლათ ესწრებოდა გლეხობაც. ამ სხდომებზე გაკეთებული იყო მოხსენებები სამაზრო და სათემო აღმასკომების მუშაობის შესახებ.

გლეხები დიდ ინტერეს იჩენდენ როგორც ამ მოხსენებებში აღძრულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის საკითხებისადმი, ისე იმ საკითხებისადმი, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. ასე, მაგალითად, ისინი აღნიშნავდენ, რომ საჭიროა გაყვანილი იქნეს წყალსადენი, მოეწყოს მიწების მორწყვა, მცირე მიწებიან გლეხებს გაუდიდდეს მიწის ნორმები და სხვა.

თემსაბჭოების სხდომებზე მიღებული იყო რეზოლიუციები, რომლებშიაც გლეხობა იწონებდა სამაზრო აღმასკომის მუშაობას.

სამხრეთ-ოსეთი

მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო ნოემბრიდან; სიების შედგენა დამთავრებულია.

რაიონულ აღმასკომებიდან ყველას არ ჩაუბარებია ანგარიშები ამომრჩევლებისათვის, რაც კლიმატიურ პირობებს უნდა მიეწეროს; ამას გარდა ეხლა სწარმოებს მუშაობა ოსეთში ტელეფონის ხაზის გასაყვანათ და გლეხები ამ საქმეზე მუშაობენ.

მოწყობილია რაიონული კომისიები; ოლქი დაყოფილია 15 საარჩევნო უბნათ.

არჩევნების დროს რაიონებში დაიგზავნებიან ცაკის წევრები, რომლებიც მოხსენებებს გააკეთებენ ცაკის მუშაობის შესახებ.

არჩევნები დაიწყება 15 თებერვალს.

საბჭო დამაკმაყოფილებლად მუშაობდა

(ქ. თელავი)

მოახლოვდა საბჭოთა არჩევნები და აღმასკომმა გააცხოველა მუშაობა. წინასწარ სამზადისს, როგორც ამომრჩეველთა ისე ხმის უფლების სიების შედგენა, არამქონეთა და სხვა უკვე შესრულებულია. ეხლა ხდება ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველებისადმი საბჭოს განვლილ მუშაობის შესახებ.

თელავი გაყოფილია რამდენიმე რაიონად. ყველა რაიონში დანიშნული არიან საბჭოს წევრნი, რომელნიც ჩააბარებენ ამომრჩეველთ ანგარიშს.

პირველი ასეთი კრება უკვე მოხდა სახალხო თეატრში, სადაც მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ქურციკაშვილმა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საბჭოს მოღვაწეობას საზოგადოდ და კერძოდ მის სექციების მუშაობას, რომელსაც ზოგს თუ უმუშავნიათ და უმართიათ სხდომები, ზოგს სრულებით არ უმუშავნიათ და მის წევრებს გულცივობა გამოუჩენიათ.

შემდეგ ამხ. ქურციკაშვილი შეეხო ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობას, იმ მიღწევებს, რომელიც მას აქვს საანგარიშო წლის განმავლობაში. საბჭოს ხელმძღვანელობით ახლად აშენდა ქალაქის მეორე ბაღი, აშენდა სახალხო თეატრი, რომელიც საუკეთესო შენობათ უნდა ჩაითვალოს საქ. პროვინციის ქალაქთა შორის, სასაკლაოზე გაყვანილ იქნა წყალი, ზოგიერთ ქუჩებზე გაკეთდა ქვაფენილი, ზოგიერთები შეკეთდა, გაფართოვდა ყოფ. თელეთის, აწ პროფკავშირთა მოედანი, ელექტრონის სადგურზე დაიდგა 65 ცხენის ძალიანი ძრავი, მთელ ქალაქში გაყვანილ იქნა ახალი ელექტრონის ხაზი და სხვა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. დასასრულ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საბჭოს მოქმედება დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ვან—ლი.

ენერგიული საბჭო

(ასურეთი, თბილ. მ.)

სოფ. ასურეთის მშრომელ გლეხობას დიდი ხანია ჰქონდა სურვილი, რათა სოფ. ასურეთში ყოფილიყო ელექტრო-სადგური, რაც გლეხობას მისცემდა საშუალებას აემუშავებია წისქვილი და გაენათებია ბნელი ქუჩები და სადგომები, მაგრამ აღარ გამოჩნდა ისეთი კაცია რომ მშრომელი გლეხობის სურვილი სისრულეში მოიყვანა.

1921 წლიდან მრავალი საბჭოები მოევლინა ასურეთის თემს, მაგრამ, მაინცადამაინც არც ერთს არ გაუკეთებია ისეთი საქმე გლეხობისათვის, რაც გააკეთა უკანასკნელ შემადგენლობის საბჭომ.

ამას წინათ ზეიმით გაიხსნა ასურეთის 25 ცხენის ძალიანი ელექტრო-სადგური, ახალი საბჭოს თაოსნობით აგრეთვე გაიხსნა ორ სოფელში კოოპერატივი.

ა. დ. მათხოჯელი.

ახალმა საბჭომ უნდა გააკეთოს

(ს. ძიმითი, გურია)

ძიმითის თემს დღეს აქვს 8 სამეცადინო დარბაზი, სკოლისათვის საკმაო ოთახებით, თემის სამმართველო, სამკითხველო, ჭრა-კერვის სასწავლებელი, კოოპერატიული დუქანი, სამჭედლო და სხვა.

აქვე არსებობს კარგი თვისების თიხის მადანი, რომლისაგანაც მრავლად მზადდება სახურავი კრამიტი და სხვადასხვაგვარი ჭურჭლეულობა.

ამ თემს აქვს 60 კომლიანი მჭიდროდ დასახლებული კოხას უბანი, რომელსაც თემის ცენტრთან დამოკიდებულებას უძნელებს ოჩორჩხას მდინარეს ხშირი ადიდება, უსწორმასწორო მდებარეობა და უვარგისი გზები. ამ უბანში არსებობს თემის საჩეხი ტყე და სახნავ-სათესი მიწები, მაგრამ ძნელია ამ სიმდიდრით სარგებლობა უგზოობის გამო.

უბანმა ვერ შესძლო საკუთარ ძალღონით გზის გაყვანა. თემი მას დახმარებას არ უწევს.

საჭიროა ეს საკითხი დაისვას მიმდინარე არჩევნების დროს.

ახალმა საბჭომ უნდა მიაქციოს კოხას უბანს სათანადო ყურადღება.

გ. გოგელია.

სასოფლო მეურნეობა

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საექსკურსიო ბიურო

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიხსნება 15 აპრილს.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გამოფენის მთავარი მიზანი არის—გააცნოს ჩვენს გლეხობას სასოფლო სამეურნეო მანქანების და იარაღების არსებული ტიპები—როგორც მათი დათვალიერების, ისე ადგილობრივ გამოცდის საშუალებით. იმ მიზნით, რომ გამოფენა ინახულოს და მანქანა-იარაღების გასინჯვა-გამოცდაში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება გლეხების მეტმა რიცხვმა, საგამოფენო კომიტეტთან ეწყობა განსაკუთრებული საექსკურსიო ბიურო, რომელიც დააწესებს გლეხებისათვის ჩამოსვლის ვადას, იკისრებს მათი დაბინავების საქმის მოწესრიგებას და მოაგვარებს ყველა იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია გამოფენის დათვალიერებასა და ექსპონატების გასინჯვა-გამოცდასთან. ბიუროსვე დაეკისრება იმ ხარჯების აღრიცხვა, რომელიც საჭირო იქნება გლეხების ექსკურსიების მოსაწყობად.

მუშაობა გამოფენის მოსაწყობად.

გამოფენის მოსაწყობად ამორჩეულია დიდუბის იპოდრომი, სადაც ამ ჟამად გაყვანილია წყალსადენი ტრამვაის ხაზი და სხვა. გამოფენის მოსაწყობ ადგილზე მოტანილია დიდძალი სამშენებლო მასალა. მთავარი პავილიონი დაიჭერს 430 კვადრატ. საჟენს, ფანჩატურები—500 კვადრ. საჟენს.

გამოფენის მომწყობმა კომისიამ ხელშეკრულება დასდო საზ. „სამშენ“-თან, რომელიც კისრულობს პავილიონის აგებას.

ხელშეკრულება დადებულია აგრეთვე წყალსადენის განყოფილებასთან, სანერგეების და ყვავილთ-ორანჟერეების მორწყვის შესახებ გამოფენის მხატვრული მორთვა-მოკაზმვა და სახუროთმოძღვრო მუშაობა დაკისრებული აქვს არქიტექტორებს კალგინს და სევეროვს.

გამოფენაში მონაწილე ფირმები.

გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს: ინგლისის ერთმა ფირმამ, გერმანიის 15 ფირმამ, ჩეხო-სლოვაკიის—სამმა ფირმამ, შვეციის ორმა ფირმამ, იტალიის 4 ფირმამ და ბალტიის სახელმწიფოების ფირმებმა.

საკავშირო ფირმებიდან გამოფენაში მონაწილეობენ „სელმაში“, ავიო-ქიმი, „ზაკგოსტორგი“, მიწათმოქ. სახკომები და შინამრეწველური ორგანიზაციები.

ა./კ. სასოფლო სამეურნეო ბანკში

ცეცხლგამძლე შენობები სოფლად.

იმ მიზნით, რომ ხელი მოემართოს სასოფლო-სამეურნეო ნაშენების აგებას ამიერ-კავკასიის სოფლებში ცეცხლგამძლე მასალებიდან, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სასურველად სცნო დაარსებული იქნეს სპეციალური ფონდი, საიდანაც გაღებული იქნება კრედიტები ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად სოფლებში.

ასეთი ფონდები დაარსებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებთან; ფონდი შესდგება 5 პროცენტიან ანარიცხიდან, რომელიც უნდა გაიღონ მოგებიდან ბანკებმა და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თავის მხრივ გადასდო 5 პროცენტი 1925—26 წლის მოგებიდან. კრედიტების გაცემა აღნიშნული ფონდებიდან უნდა აწარმოონ რესპუბლიკანურმა სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა.

რკინის გზების კომერციულ განყოფილებების გამგეთა ყრილობის შედეგები

(საუბარი ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს წევრთან ამხ. გ. ფიცხელაურთან)

მოსკოვიდან დაბრუნდა ა | კ. რკ. გზების სამმართველოს წევრი ამხ. გ. ფიცხელაური, რომელიც დაესწრო საბჭოთა კავშირის ყველა გზების კომერციული განყოფილებების გამგეების მორიგ მე-10 ყრილობას. ამხ. ფიცხელაურმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამ ყრილობის შედეგების შესახებ სთქვა:

ყრილობამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია რკინის გზების ეკონომიურ და კომერციული აპარატების გაძლიერებას იმ მიზნით, რომ მათ თავის საქმიანობა შეუთანხმონ სახალხო-მეურნეობის მოთხოვნილებებს.

ყრილობის მიერ დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საორგანიზაციო საკითხებს იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი ტრანსპორტის წესიერი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ცალკე რკ. გზების ეკონომიური განყოფილებები ძლიერი იქნებიან.

გზების ეკონომიური მუშაობის და მისი მნიშვნელობის უდიდესი როლი განსაკუთრებით მკაფიოთ გამოხატა გზათა-მიმოსვლის კომისარიატის კოლეგიის წევრმა და რკ. გზ. ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს უფროსმა ამხ. [illegible], რომელმაც გამოსთქვა ის აზრი, რომ ჩვენი რკ. გზ. ეკონომიურ-კომერციული დარგები უნდა წარმოადგენდენ ერთგვარ სარკეს, სადაც უნდა აირეკლებოდეს: სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის საჭიროებანი და ეს დარგები უნდა მოეწყონ ისე, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ გზების მუშაობას.

ასეთი თვალსაზრისი გაიზიარეს ადგილების წარმომადგენლებმაც.

დაბოლოს, წარმოდგენილ მოხსენებების შესახებ მიღებულ რეზოლიუციებთან ერთად ყრილობამ მიიღო პროექტები „ეკონომიურ-კომერციულ განყოფილებების“ და ნორმალურ საშტატო უწყების მდგომარეობათა შესახებ, რომლების თანახმად ხაზებზე ეწყობა კომერციული განყოფილებები.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) შორაპნის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

29 იანვარს ჭიათურის მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწვეულ იქნა ს. კ. პ. შორაპნის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომა.

სხდომას დაესწრო ჭიათურის სამრეწველო რაიონის ყველა კომუჯრედების წევრები (და კანდიდატები) და ა. ლ. კ. კ. წევრები აქტივისტები, სულ 400-მდე ამხანაგი.

სხდომაზე მე-14-ტე პარტ ყრილობის მუშაობასა და შედეგებზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ოკუჯავა, რის გამო სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„მოისმინა რა ამხ. მ. ოკუჯავას მოხსენება მე-14-ტე პარტ-ყრილობის შედეგების შესახებ სამაზრო კომიტეტის პლენუმი, ჭიათურის სამრეწველო რაიონის პარტ-უჯრედების წევრთა და ამავე სამრეწველო რაიონის ახალგაზრდათა კომკავშირის აქტივის თანდასწრებით, სავსებით უერთდება მე-14-ტი პარტ-ყრილობის გადაწყვეტილებას.

კრება აღნიშნავს, რომ სოციალისტურ მშენებლობის განვითარების დროს წამოჭრილ საკითხებზე ყრილობამ გასცა სწორი და გარკვეული პასუხი.

სისწორით განსაზღვრა პარტიის ამოცანების მთავარი ხაზი და კონკრეტიული დირექტივები გამოიმუშავა მშენებლობის ყველა დარგებში პარტიის მუშაობის შესახებ.

კრება აღნიშნავს პარტიის იდეურ მთლიანობას, მხოლოდ ერთმა ლენინგრადის დელეგაციამ თავისი გამოსვლებით და ყოფა-ქცევით დეზორგანიზაცია შეიტანა ყრილობის მუშაობაში. პარტია მტკიცე წინააღმდეგობით შეხვდა ახალი ოპოზიციის არა სწორ ხაზს.

განსაკუთრებით დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ზინოვიევის გამოსვლა თანამოხსენებით ცეკას ანგარიშის გამო, რამაც არამც თუ ხელი არ შეუწყო მთელი პარტიის რიგების შემჭიდროებას და ამა თუ იმ უთანხმოების მოსპობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკების ჯგუფსა და პარტიის ცეკას შორის, არამედ კიდევ უფრო განაცალკევა ლენინგრადის დელეგაცია და ფაქტიურად დაუპირდაპირა ის მთელ პარტიას.

კრებას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ლენინგრადის დელეგაციის ხმის მიცემა ცეკას ანგარიშის გამო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციის წინააღმდეგ.

კრება სრული დარწმუნებულია იმაში, რომ მთელი ლენინგრადის ორგანიზაცია მხარს დაუჭერს პარტიას და სავსებით გაერთიანდება პარტიის ცეკას გარშემო.

კრება ხაზს უსვამს მე-14-ტე პარტ-ყრილობის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი მშენებლობის მახლობელ დროისათვის და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს ყურადღებით შეისწავლონ ყრილობის გადაწყვეტილებანი; ამავე დროს სამაზრო კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს და პარტ-უჯრედებს ფართოდ გააშუქონ პარტიის მთავარი ხაზი და ყრილობის გადაწყვეტილებანი უპარტიო მუშათა და გლეხთა მასებს შორის.

ყველა პარტ-ორგანიზაციებმა და პარტიის თითეულმა წევრმა მტკიცეთ უნდა გაატაროს ცხოვრებაში პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი.

კრება დარწმუნებულია, რომ მე-14-ტე პარტ-ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების საფუძველზე ჩვენი საბჭოთა ქვეყნები გადასდგამენ კიდევ ერთ დიდ ნაბიჯს წინ ლენინის ალთქმათა განხორციელების გზაზე, სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობის საქმეში“.

პლენუმმა ამხ. მ. ოკუჯავას მოხსენების შემდეგ მეორე დღეს მუშაობა განაგრძო თვით ამხ. ოკუჯავას და ამხ. გალ. ვაშაძის თანდასწრებით და განიხილა შემდეგი საკითხები: 1) სააქციონერო საზ. „ქართული მარგანეცი“-ს მიერ ჭიათურის შავი ქვის მადნების ექსპლოატაციის და სამრეწველო უბანში მომუშავე მუშების და მცხოვრებ გლეხობის ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ, 2) სამაზრო საბჭოთა საარჩევნო კომისიის მიერ მოსამზადებელ ჩატარებულ კამპანიის შედეგსა და არჩევნების პრაქტიკულად ჩატარების შესახებ, 3) ჩხარის რაიკომის პ/მ. მდივნის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ, 4) საჩხერის რაიკომის პ/მ. მდივნის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ, 5) შორაპნის მაზრის ორ მაზრად გაყოფის შესახებ და 6) მიმდინარე კითხვები, რომელზედაც მიიღო საჭირო პრაქტიკული დადგენილებანი და ღონისძიებანი.

პლენუმმა შეაფასა საბჭოთა არჩევნებისათვის სამაზრო საბჭოთა საარჩევნო კომისიის და სამაზრო კომიტეტის მიერ წინასწარ ჩატარებული მუშაობა და დამაკმაყოფილებლად იცნო იგი. შემდეგ მიიღო დადგენილება—ორი თებერვლიდან მაზრაში ჩატარებულ იქნეს არჩევნები, და გაძლიერებულ იქნეს პარტ-ხელმძღვანელობა შედარებით სუსტ რაიონებსა და თემებში; არჩევნები უნდა სწარმოებდეს ცალკე რაიონებში და არა ერთსა და იმავე დროს ყველგან.

იმედი.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების მუშაობის შესახებ

საორგანიზაციო მუშაობა.

წარსული წლის 20 ოქტომბრიდან 1926 წ. 20 იანვრამდე მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ მოაწყო ქალთა კომისიები შემდეგ უჯრედებთან: ტყავტრესტი, საპნის ტრესტი, მშენებელთა კავშირის უჯრ., სადგ. ნავთლუღი, გემო-კვების საქარხნო კომიტეტი № 14, ქალაქის სასაკლაო, ქალაქის საავადმყოფო, სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატთან, სახალხო კვების უჯრედი და ქალაქის აბანოები. ქალთა კომისიებში მუშაობს 38 კაცი; აქედან ქალები 26 და მამაკაცები 12. ქალები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სხვა კომისიების მუშაობაშიც—ასე მაგალითად საორგანიზაციო კომისიაში მუშაობს 5 ქალი, საგიტაციო კომისიაში 8 ქალი, ახალ. კომკავშირთან კავშირის დამყარების კომისიაში—5 ქალი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ ჩაატარა დელეგატ-ქალთა საარჩევნო კამპანია ქალაქსა და მაზრაში. რაიონში არსებობს 10 სადელეგატო კრება, 8 მაზრაში და 2 ქალაქში. ქალაქში დაარსებულია ცალკე სადელეგატო კრება თათარ-ქალთა კლუბთან. დელეგატ-ქალთა შემადგენლობა რაიონების მიხედვით შემდეგია: სულ დელეგატ-ქალთა რიცხვი უდრის 339, აქედან მამაკაცებია—110, მოსამსახურე 11, დიასახლისი—60 და გლეხ-ქალები 149.

პარტიულების მხრივ—კომპარტიის წევრი—7, კომკავშირელი—7, უპარტიო—325.

მუშაობა დელეგატ-ქალებს შორის.

საანგარიშო პერიოდში მოწვეული იყო 5 სადელეგატო კრება და 4 ჯგუფობრივი კრება. ჯგუფობრივ კრებებზე წაკითხულია შემდეგი მოხსენებები: სადელეგატო კრებების მიზანი და ამოცანები, ადგილობრივი საბჭოები და მათი ამოცანები, საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკა, საბჭოთა სასამართლო და კანონმდებლობა. იმ მიზნით, რათა წაკითხული მოხსენებები შეეთვისებიათ დელეგატ-ქალებს, ზოგიერთ მომზადებულ ქალთა ორგანიზატორებს დაევალათ მეცადინეობა ადგილებზე, ხოლო იქ, სადაც ქალთა ორგანიზატორები სუსტია; დაევალა ცალკე კომუნისტ-ქალებს ადგილობრივ დაემუშავებიათ საკითხები დელეგატ-ქალებთან ერთად.

კულტურულ მუშაობის მხრივ მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ შესძლო რაიონების მიხედვით აღერიცხა წერა-კითხვის უცოდინარი და ნახევრად მცოდნე ქალები და რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების საშუალებით გაეგზავნათ ისინი სალიკვიდაციო პუნქტებში. ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა რიცხვი დიდია, მოეწყო სალიკვიდაციო პუნქტები მშრომელ ქალთა კუთხეებთან.

მუშაობა თათრის ქალებს შორის.

თათრის ქალთა შორის მუშაობა სწარმოებს მუსლიმან ქალთა კლუბთან. კლუბთან ირიცხება დაახლოვებით 200 მუსლიმანი ქალი. პარტიულობის მიხედვით ამ მუსლიმან ქალების შემადგენლობა ასეთია: კომპარტიის წევრები—8, კომკავშირის—40 დანარჩენები უპარტიო. ყველა მუსლიმანი ქალები გარდა 15 მუშა-ქალისა, დიასახლისებია. ამ კლუბის გამგეობის სხდომა გაიმართა 12-ჯერ. კლუბთან მოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 4 წრე. და 2 წრე ახალ თათრულ ანბანის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. ამ სალიკვიდაციო პუნქტებში მეცადინეობს 100-ზე მეტი ქალი. კლუბთან დაარსებულია აგრეთვე პოლიტიკური წრე—სადაც მეცადინეობს 40 თათრის ქალი. კლუბთან არსებობს ორი წრე ჭრა-კერვის შესასწავლათ. არსებობს ხმა მაღალი კითხვის წრე.

თათრის ქალთა შორის არიან კედლის გაზეთების და მუშა-კორესპონდენტები, რომლებიც სწერენ როგორც კედლის გაზეთებში, ისე პრესაში. კლუბთან არსებობს იურიდიული კომისია.

სახალხო სასამართლოსთან მიმაგრებულია თათრის ქალი, რომელიც დახმარებას უწევს თათრის ქალებს საქმის გარჩევის დროს.

კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკა და ლენინის კუთხე.

რაიკომის [illegible] განყოფილების ყველა კამპანიები ტარდება კლუბთან.

კლუბის წევრთა შორის 60 უმუშევარი ქალი იყო; მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ 20 ქალი გაგზავნა სამუშაოზე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ზუგდიდის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია

ქ. ზუგდიდის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია აერთიანებს 7 უჯრედს 174 წევრ-კანდიდატებით ორგანიზაციის მუშაობა თავის დონეზე დგას, არის გამოყოფილი ქალთა შორის მომუშავე, მოჯამაგირეთა შორის, მოხელე-შეგირდებ შორის მომუშავე და პიონერთა ხელმძღვანელი ამხანაგები. სკოლებში არ არის ისეთი წრე, რომელშიც არ იყოს ჩარეული კომკავშირის წევრი.

კომკავშირელებს მოწაფეობასთან აქვთ მჭიდრო კავშირი. პოლიტ-მეცადინეობის მხრით ქალაქის ორგანიზაცია იყოფა ორ საფეხურად. პოლიტკითხვის ჯგუფი და პოლიტსკოლა.

ორგანიზაციის ნაკლი არის კედლის გაზეთის უქონლობა.

შოთა—მეხხი.

პროფკავშირებში

საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცხოველებისათვის

როგორც ვიცით, ამ ახლო წარსულში მთელი ყურადღება ხელისუფლების, სამეურნეო ორგანოების და ჩვენ უმაღლეს პროფორგანოებისა იყო მიმართული შრომის ინტენსიფიკაციისა და მისი ნაყოფიერების გადიდებისაკენ. ამ მიზნით ყოველ წამოწყება-დაწესებულებებში მოეწყო ეკონომიო და საწარმოო თათბირები, სადაც ჩვენი მწარმოებელი მუშები იღებენ მხურვალე მონაწილეობას. დაწესებულება-წამოწყების ადმინისტრაცია ვალდებული ხდებოდა თავის მუშაობის მთელი სურათი გადაეშალა წარმოებაში მონაწილე მუშებისათვის მუშათა მასიურ კრებაზე, სადაც მთელი მისი მუშაობა ხდებოდა მუშათა საქმიანი კრიტიკის და მსჯელობის საგნად. ჩვენი პროფ-ორგანოები თავგამოდებით ეხმარებოდენ და ხელმძღვანელობდენ ამ საწარმოო თათბირებს. ამ მხრივ ჩვენ პროფორგანოებს კიდეც შესამჩნევათ დაეტყოთ ე. წ. „სამეურნეო გადახრა“, რაც ხელმძღვანელმა პარტიამ ჩასთვალა წმინდა პროფ-მუშაობაში ერთგვარ „მინუსად“ და მოუწოდა პროფორგანოებს მათი წმინდა პროფესიონალურ მოვალეობის ასრულებისაკენ ზემოაღნიშნულ სამეურნეო—გადახრა — ხვეულების მიზანშეწონილად გამოსწორებით.

ჩვენი პროფ-ორგანოები თანდათან უკვე გადადიან წმინდა პროფესიონალურ მუშაობაზე. ისინი აბამენ საკავშირო მასას წმინდა პროფესიონალურ ხასიათის მუშაობაში და სხვ. საკავშირო მასაშიაც ამ მიმართულებით მუშაობისაკენ ინტერესი დღითი-დღე იზრდება და ფართოვდება.

ხოლო რაც შეეხება საეკონომიო და საწარმოო თათბირების მუშაობას, ჩვენ აქ გულახდილათ უნდა აღვიაროთ, რომ ეს მუშაობა თითქმის ყველგან ძალიან მოისუსტებს (თუ სრულებით არ არის ჯერ კიდევ მიძინებული). ასეთ მოვლენას აქვს ადგილი იქ. სადაც ამ ახლო წარსულში გაჩაღებული იყო და ფრიად ნაყოფიერად მიმდინარეობდა აღნიშნული თათბირების მუშაობა. იმ პროფესიონალურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ დარგებში კი, სადაც დღემდის არ მოუწყვიათ ასეთები, უკვე იშვიათად ვინმე მოიძებნება „ხოზიაისტვენიკი“ ან პროფ-მუშაკი თუ ფიქრობს იმაზე. მუშათა ფართე მასა კი ამ თათბირებისაკენ უკვე ნაკლებ ინტერესებს იჩენს. იგი მის მუშაობას უკვე ეჭვიანი თვალით უყურებს.

თუ რათაა გამოწვეული ჩვენს მწარმოებელ მუშებში ასეთი პესიმიზმი ინდიფერენტიზმი საწარმოო თათბირების მუშაობის მიმართ, სწორედ მიზეზებზე სრულიად ობიექტიურად და სამართლიანად მიგვითითებს რკ. გზის ტფილისის სადგურის მტვირთველი მუშა ამხ. სიო ხიდისთაველი თავის წერილში, რომელსაც ჩვენ დღეს ვათავსებთ გაზეთში და სადაც მუშურად გულუბრყვილოდ დასახელებულია ამ პესიმიზმის მიზეზად ის, რომ მათ საწარმოო თათბირების არც ერთი დადგენილება დღემდე არ არის შესრულებული და ცხოვრებაში გატარებული იმ ორგანოთა მიერ, რომელთაც ეს უშუალოდ ეხებათ.

ამხ. ხიდისთაველის აზრით (ჩვენ ვფიქრობთ სხვა მტვირთავ მუშების აზრითაც) ალბად აღნიშნულ დადგენილებებს არავინ ანგარიშს არ უწევს.

დაწესებულების ხელმძღვანელი და შრომის დაცვის ორგანოებიც, ისე გამოდის, რომ თითქოს სრულებით დაინტერესებული არ იყვნენ საწარ. თათბ. დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებით და სხვ.

როგორც ვიცით, ჩვენი მუშა რეალისტია, ის არ ოცნებობს, ის მოითხოვს თავის ორგანოს მუშაობის რეალურ შედეგებს; იგი კი ამას ვერ ხედავს, ამიტომ ის ჰკარგავს ნდობას, რწმენას და ეძლევა პესიმიზმს და თანდათან შორდება ამ საწარმოო მუშაობას.

ასეთი მდგომარეობა კი ყოვლად მიუღებელია.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა დიდი ნაყოფი მოგვცეს შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში საწარმოო თათბირებმა მათი მუშაობის პირველ ხანებში. ისინი ჯერ კიდევ დიდხანს მრავალ სარგებლობას მისცემენ ჩვენ წარმოებას.

ამიტომ საჭიროა, ჩვენმა პროფ-ორგანოებმა მიიღონ ყოველგვარი ზომები მათი მუშაობის გამოცოცხლების მიზნით.

საწარმოო თათბირები უნდა მოეწყონ იქაც, სადაც მათ მოწყობაზე დღემდე არავის უფიქრია და მათი მუშაობაც უნდა გამოვაჯანსაღოთ და გამოვაცოცხლოთ.

გამა.

პროფმუშაობის ქრონიკა

ცენტრალურ მუშათა კლუბში

— წევრთა ხელახალი აღრიცხვა. მუშათა

— **წევრთა ხელახალი აღრიცხვა.** მუშათა ცენტრალურ კლუბში დამთავრდა კლუბის წევრთა ხელახალი აღრიცხვა. კლუბის გამგეობამ მოისმინა აღმრიცხველი კომისიის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ აღრიცხვა სუსტად მიმდინარეობდა. აღრიცხვა გაიარა მხოლოდ 1.050 კაცმა. გადაწყვეტილია შემდეგში კლუბის ის წევრები, რომელთაც არ მოისურვეს აღრიცხვაში გატარება, კლუბში დაშვებულ იქნენ საერთო წესით, როგორც პროფკავშირის წევრები.

— **ახალგაზრდათა სექციის მუშაობა.** კლუბის ახალგაზრდათა სექც. გამოიმუშავა სამუშაო გეგმა, რომელიც დაამტკიცა გამგეობამ. სექციის ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლად გადეცა პრეზიდიუმს.

— **კონტრამარკების შეწყვეტა.** კლუბის გამგეობის დადგენილების თანახმად, კლუბში შეწყდა კონტრამარკების გაცემა, როგორც კლუბის წევრებზე, ისე წრეებში მომუშავეებზე.

— **საღამო-წარმოდგენები.** კლუბის გამგეობამ დაადგინა, კვირაში გამართოს 5 ფასიანი და 2 უფასო საღამო-წარმოდგენა.

— **გამგეობის წევრთა მორიგეობა.** გამგეობამ დაადგინა, კლუბში ყოველდღე იმორიგეოს სამმა გამგეობის წევრმა.

სოციალური დაზღვევის მორიგი ამოცანები

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭომ ა.-წ. 4 იანვარს გამოსცა დადგენილება „სოციალური დაზღვევის საპენსიო ნორმების შესახებ“, რაც უნდა ჩაითვალოს სოცდაზღვევის დიდ მორიგ მიღწევათ. ამ დადგენილების მიხედვით, ა.-წ. 1-ლ იანვრიდან ძირიანად იცვლება შრომის ინვალიდთა საპენსიო ნორმების გამოანგარიშების არსებული წესი.

აღნიშნული დადგენილების გამოცემამდე შრომის ინვალიდთა უზრუნველყოფა ვერ იყო დაყენებული ჯეროვანად. როგორც ვიცით, მუშათა სოციალური დაზღვევის უმთავრეს მიზანს შეადგენს დაქირავებული პირის უზრუნველყოფა, მისი საცხოვრებელი დონის დაცვა, შრომის უნარ-დაკარგვის ყველა შემთხვევებში. თუ შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს დაზღვეულის უზრუნველყოფა ხდებოდა მისი სრული სამუშაო ხელფასის მიხედვით, შრომის უნარის მუდმივ დაკარგვის შემთხვევებში (ინვალიდობა) კი ეს პრინციპი დარღვეული იყო დაზღვევის ორგანოების უსახსრობის გამო (ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს პროფესიონალური დასახიჩრებით ან დაავადებით გამოწვეული ინვალიდობა, რომელთა გამო, როგორც დაზღვეულის, ისე მარჩენალ გარდაცვლილ ოჯახის წევრების უზრუნველყოფა, ხდება დასახიჩრებულის სრული სამუშაო ხელფასის მიხედვით). შრომის ინვალიდის მაქსიმალური პენსია (100%-ით შრომის უნ. დაკარგვა) თვეში აქამდი უდრიდა 25 მ., მინიმალური კი—12 მ. 50 კ. ცხადია აღნიშნული ნორმები ვერ დააკმაყოფილებდა შრომის ინვალიდებს. საქართველოში 1925 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის ჩვენ გვყავდა 2.500-მდე პენსიონერი, რომლებიც იღებდენ პენსიას მცირე ნორმების მიხედვით. ცხოვრებამ წამოაყენა მათი სათანადოთ უზრუნველყოფის აუცილებლობა. სოცდაზღვევის ორგანოებისათვის საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა მათი უზრუნველყოფის საქმე. ზემოაღნიშნული დადგენილების გამოცემით კი ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა.

რა წესით და ნორმებით უნდა მოხდეს მომავალში შრომის ინვალიდთა და გარდაცვლილ მარჩენალ მშრომელის ოჯახის წევრების უზრუნველყოფა?

ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, შრომის ინვალიდები და მარჩენალ გარდაცვლილ მშრომელის ოჯახის წევრები, იყოფიან ორ ჯგუფად. 1. ინვალიდები რომელთა ინვალიდობა ცნობილ იქნა საექსპერტო კომისიების მიერ გ. წ. 1-ლ ოქტომბრიდან, და მარჩენალ გარდაცვლილი ოჯახის წევრები, თუ მარჩენალი გარდაიცვალა გ. წ. 1-ლ ოქტომბრის შემდეგ. 2. ინვალიდები, რომელთაც ინვალიდობა მოხდა გ. წ. 1-ლ ოქტომბრამდე, და მარჩენალ გარდაცვლილი ოჯახები. თუ მარჩენალი გარდაიცვალა 1925 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

დაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილების ძალით, 1-ლი ჯგუფის ინვალიდების, (თუ ინვალიდობა მოხდა გ. წ. 1-ლ ოქტ.) აგრეთვე მარჩენალ გარდაცვლილ მშრომელთა ოჯახის წევრების პენსიის გამოანგარიშებას საფუძვლად ედება ინვალიდის ან გარდაცვალებულის **ფაქტიური სამუშაო ხელფასი.**

რაც შეეხება 1-ლ ოქტომბრამდე მომხდარ ინვალიდობას (ან მარჩენალ გარდაცვლილ ოჯახის წევრების უზრუნველყოფას, თუ გარდაცვალება მოხდა 1-ლ ოქტომბრამდე), აქ პენსიის გამოანგარიშებას საფუძვლად უდევს მუშის ან მოსამსახურის ფაქტიური საშუალო შრომის ხელფასი იმავე პროფესიის და კვალიფიკაციის, რომელსაც ეკუთვნის ინვალიდი ან გარდაცვალებული.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სავსებით იცვლება პენსიონერების უზრუნველყოფის ძველი წესი, რაც საფუძვლიანად აუმჯობესებს შრომის ინვალიდების მდგომარეობას.

ზემოთ მოყვანილის ცხოვრებაში გატარებას აქვს ორი უდიდესი მნიშვნელობა: პირველი—**პენსიონერების მატერიალური მდგომარეობის დიდი გაუმჯობესება და მეორე—წარმოების განტვირთვა ნაკლებ შრომის უნარიან ელემენტებისაგან, რომელსაც დიდი ზიანი მოჰქონდათ წარმოების შრომის ნაყოფიერებისათვის.**

ჩვენ ვიცით, რომ წარმოება-დაწესებულებებში ძალიან ბევრია ისეთი მომუშავე, რომელთაც მოხუცებულობის გამო დაუძლურებით ან სხვა რაიმე მიზეზით ძალიან შემცირებული აქვს შრომის უნარი, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ მუშაობას, რადგანაც დგანან დამზღვევ სალაროში მცირე პენსიაზე გადარიცხვის საფრთხის წინაშე, მუშაობის დატოვების შემთხვევაში, რასაც მოჰყვება მისი მატერიალური დაქვეითება.

აი ამ მხრივ დიდ მიღწევას აქვს ადგილი და ზემოაღნიშნულ ზომების გატარება, ეჭვს გარეშეა, დიდ ნაყოფს გამოიღებს.

საბჭოთა სოციალური დაზღვევის განვითარება მიდის სწრაფი ნაბიჯებით. ჩვენში უკვე განხორციელდა სოციალური დაზღვევის პროგრამის ძირითადი პრინციპები. ამ მხრივ საბჭოთა რესპუბლიკებს ვერ შეედრება ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა.

საბჭოთა სახელმწიფოების ეკონომიური ძლიერება თანდათანობით მტკიცდება. სოცდაზღვევის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის, რამდენად სოციალური დაზღვევა წარმოებას უნარჩუნებს ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღ სამუშაო ძალას.

ამ მხრივ ინვალიდობის უზრუნველყოფის ახალი წესიც სოცდაზღვევის დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს.

ნ. თუშიშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აბრეშუმის თესლი

ახალქალაქი, 8 თებ. აღმასკომი სასოფლო საბჭოების საშუალებით აგროვებს ცნობებს, რამდენი აბრეშუმის თესლი ესაჭიროება გლეხობას.

შავი-ქვის გატანა.

ფოთი, 8 თებ. იანვრის განმავლობაში უცხოეთში გატანილია 46,902 ტონა შავი-ქვა. შავი-ქვის წასაღებად მოვიდა უცხოეთის 9 გემი, გავიდა 11.

თხილის გატანა.

ფოთი, 8 თებ. წავიდა ამერიკაში იტალიის გემი „მოლსენა“, რომლითაც ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის სოხუმის განყოფილებამ გაგზავნა 8.927 ფუთი თხილი.

გემების მიმოსვლა.

ფოთი, 8 თებ. იანვრის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა 30 გემი და 22 იალქნიანი ხომალდი, რომლებითაც შემოტანილი იქნა 6,963 ტონა, ხოლო გატანილი იქნა—3,929 ტონა. მოვიდა 16,304 მგზავრი, წავიდა—1,571.

საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან.

ახალ-სენაკი, 8 თებ. სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად აღმასკომის პლენუმმა მიზანშეწონილად სცნო აბაშასა, ზანძასა და სენაკში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან.

აჭარისტანი

ახალი ყვავილნარი.

ბათომი, 8 თებერვ. აჭარისტანის პირველ საბჭოთა მეურნეობაში (გოროდოკის მახლობლად) დამთავრდა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ახალი ორანჟერეის 5 კორპუსის აშენება. ორანჟერეიში გაშენებულ იქნება სუბტროპიკული მცენარეულობა და სხვა იშვიათი კულტურები.

დონის ნახშირი აჭარისტანში.

ბათომი, 8 თებერვ. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ ადგილობრივ ბაზრისათვის მიიღო 4 ვაგონი დონის ანტრაციტი.

ტროპიკული მალარია.

ბათომი, 8 თებერვ. აჭარისტანის ჯანსახკომის ცნობების თანახმად, უკანასკნელი თვის განმავლობაში ტროპიკული მალარიით დასნეულების შემთხვევამ აჭარისტანში საგრძნობლად იკლო. იანვარში სამალარიო სადგურში გატარებულია 972 ავადმყოფი, წინა თვეში კი სადგურში აღრიცხული იყო 1500 ავადმყოფი.

ჩაის გაგზავნა.

ბათომი, 8 თებერვ. ზაკსოიუზის ბათომის განყოფილებამ გაგზავნა მოსკოვში და როსტოვში გასასაღებლად 27,650 გირ. ადგილობრივი ჩაქვის ჩაი.

გლეხის სახლში.

ბათომი, 8 თებერვ. აჭარისტანის გლეხის სახლთან რეგულიარულად იკითხება ლექციები მაზრებიდან ჩამოსულ გლეხებისათვის სანიტარიის და ჰიგიენის შესახებ.

დაღესტანის თივა.

ბათომი, 8 თებერვ. რძის მეურნეობის აჭარისტანის კავშირმა მიიღო დაღესტანიდან 5 ვაგონი თივა, რომელიც განაწილებული იქნება კავშირის წევრებს შორის ბაზრის ფასებზე 25 პროცენტით ნაკლებ ფასში.

ბათომის ნავთსადგური იანვარში.

ბათომი, 8 თებერვ. იანვარში ბათომის ნავთსადგურში საზღვარგარეთიდან შემოტანილია 19.366.427 კილო სხვადასხვა ტვირთი. გატანილია ნავთსადგურიდან 318.517.450 კილო ნედლი მასალა, უმთავრესად ნავთის პროდუქტები.

ხშირად—ასეთი მოხსენებები

(ლეჩხ. მაზრა)

საექიმო პერსონალსა და სამაზრო ქალთა განყ. შორის ამ ჟამად სწარმოებს კონტაქტიური მუშაობა, მიეცა ფართო გასაქანი ლექციებს კითხვას ექიმების მიერ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოწყობილ იქნა ქ. ცაგერის 9-წ შრ. სკ. შენობაში ქალთა განყ. ხელმძღვანელობით სპეციალური ლექცია განსაკუთრებით ქალთა სქესისათვის, ეს იმ მიზნით, რომ ქალებს თავისუფლად შესძლებოდათ შეკითხვების მიცემა მომხსენებლისათვის. ლექცია წაკითხულ იქნა ექ. ოლიზარის მიერ რუსულ ენაზე, რის შემდეგ გადათარგმნილ იქნა ქართულ ენაზე ექ. თევზაძის მიერ.

ლექციას დაესწრო დაახლოვებით ას ორმოცდა ათი ქალი, რომლებმაც მოხსენების ირგვლივ აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეკითხვების სახით. შეკითხვებზე მომხსენებლის მიერ იქნა გაცემული სათანადო პასუხი.

ლექციამ გასტანა დაახლოვებით 7-ი საათიდან ღამის 1-ლ საათამდე. მსმენელი ქალები დიდის ხალისით შეხვდენ ლექციის მოსმენას და გამოსთქვეს სურვილი, რათა ასეთი ლექციები ხშირად იკითხებოდეს.

ვეკო.

სპეკულიანტებს თავს გაუდის

(ს. ზემო-ხეთი, გურია)

აღმოსავლეთ გურიაში მდებარეობს ზემოხეთის თემი. თუ ვისმეს ახლო ხანებში უმოგზაურია ამ თემში, მის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობდა ყოფილი წმ. კვირიკეს ეკლესიის ნაშთი და უმეტესად მისი ეზო, რომელიც შემკულია ასწლოვანი წითელი ურთხელის ხეებით.

გლეხობა დარწმუნდა ეკლესიის უსარგებლობაში და ჯეროვანი პასუხიც გასცა მას. დაანგრია ეს შენობა და მის თლილ ქვას აშენებს ამავე თემში არსებულ 7 წლედი შრომის სკოლის შენობას. რაც შეეხება ეკლესიის ეზოს, ის ზაფხულობით ადგილობრივ მშრომელი გლეხობის დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს, სადაც დაღლილ-დაქანცული გლეხობა საღამოობით იყრის თავს და ერთობიან ერთი-მეორესთან სჯა-ბაასით და საჭირბოროტო კითხვების გადაწყვეტით.

მაგრამ ადგილობრივი სპეკულიანტები ხალხის სიამოვნებას რას დაგიდევენ. ისინი ამ ბოლო ხანს ამოძრავდენ და სურთ ხეების შესყიდვა აღმასკომისაგან. ნაყიდ ხეებს ისინი უპირებენ საზღვარ-გარეთ ან რუსეთში გაგზავნას.

ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ გლეხობაში. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს შესაფერისი ყურადღება.

ანაზარდი.

თეატრი ცირკათ გადააქციეს

(ს. ხაშმი, გარე-კახეთი)

ამ უკანასკნელ დროის ხაშმის თეატრს ეტყობა დაქვეითება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ პიესას, რომელიც დაიდგა მოზრდილთა და მოწაფეთა მიერ, სხვა პიესის დადგმა სცენას არ ღირსებია. თეატრი მოჭიდავეთა სარბიელად გადაიქცა.

ზამთრის განმავლობაში ორჯერ ეწვია ს. ხაშმს მოჭიდავე კანდელაკი თავის „ამქრით“. რა ქონდა მას მიზნად? მის მიზანს შეადგენდა ცოტა გროშების აღება და წაქეიფება. დროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და თეატრის ადმინისტრაციამ ბოლო მოუღოს თეატრის ასეთ დაკნინებას.

იშ—მერ.

წერილები

მოარშიყე ვალოდია

(ჩხოროწყუ, ზუგდ. მ.)

ალბათ ბევრს გაუგონია ძველი, მეტად გავრცელებული სიმღერა: „აკოშკაში მტრედია, ნეტა ვისი ბედია, ნუ მომიკლავ, გენაცვალე, ჩემი საყვარელია“.

ეს სიმღერა ბევრგან კიდეც დაავიწყდათ. ახლა ბევრი უფრო მომხიბლავი და გულის წარმტაცი ლექსებია ჩაქსოვილი სამიჯნურო სიმღერებში. მაგრამ ჩხოროწყუს შვიდწლედში ძველებურ, ზემოხსენებულ ლექსს უთუოდ დღესაც დიდი გასავალი აქვს, რადგან ამ სიმღერაში მოყვანილი სიტყვები თვალის მისატყუებლათ ნახმარი გამოთქმა კი არაა, არამედ ფაქტის ნამდვილი გამოხატულებაა.

მოვა თუ არა, მაგალითად, მასწავლებელი ვალოდია ხუჩია სასწავლებელში, წამსვე ფანჯარას მიაშურებს, მიეყრდნობა ნაღვლიანი სახით ფანჯრის მინებს, თავზე ხელს შემოიდებს და ისე გადმოსცქერის იშვიათ გრძნობის გამომეტყველი თვალებით გამვლელ გამომვლელ ქალებს.

მაგრამ ვალოდია არც თვით სკოლის მოწაფე ქალებისადმი არის მაინცა და მაინც მწყრალათ. სიყვარული მეორე სქესისადმი იმდენათ ძლიერია ახალგაზრდა მასწავლებელ კაცში, რომ ის საათობით მინაზურით უფურცლავს წიგნებს მოწაფე გოგონებს და გაშტერებით შესჩერებია მათ თვალებში.

როგორც მოგეხსენებათ, არშიყობას თავისუფალი დროის მქონე და უსაქმური კაცი უნდა. თანვე, როგორც ყოველ საქმეში, აქაც საჭიროა ერთგვარი შრომის იარაღები. ვალოდია ხუჩიას ასეთი მოეპოვება. გამოვა თუ არა ის სასწავლებლიდან, მაშინვე კრიალოსანს აჩხრიალებს და ძველი დროის აზნაურიშვილივით ზილავს უსაქმურად ტალახს ჩხოროწყუს ორღობეებში.

მას წინდაწინვე შეკვლეული აქვს სახრავი ადგილები. დღეს ერთთანაა, ხვალ მეორესთან, ზეგ მესამესთან. არშიყობს, კრიალოსანს ხან თვითონ ათამაშებს, ხან გულის სატრფოს გაუწოდებს, და ასე ლაზღანდარობაში ატარებს დროს.

ვალოდია ნამდვილი ფუქსავატ მასწავლებლის ტიპია. ის არცხვენს საბჭოთა პედაგოგის სახელს. კრიალოსანით, არშიყობით და ფანჯარასთან ჯდომით მას რა აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება შეუძლია სოფლად?

ვფიქრობთ, რომ ზუგდიდის მაზრაში მოიძებნება ისეთი ორგანო, რომელიც მოარშიყე ვალოდიას მოაშორებს მის საყვარელ ფანჯარას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩხოროწყუს ქალიშვილებს ამით გული არ შეუწუხდებათ.

გრიგოლაშვილი.

წერილებიდან

დიდი ჯიხაიში (ქუთ. მ.)

ბარემ დავასრულოთ. ორი წელიწადია, რაც ადგილობრივი ძალების საშუალებით დავიწყეთ ცხრაწლედის ახალი შენობა, რომელიც თითქმის უკვე დასრულებულია. საჭიროა საამშენებლო კომისიამ და დიდი-ჯიხაიშის მოსახლეობამ მეტი მონდომება გამოიჩინონ და ბარემ მომავალ ზაფხულში დაასრულონ ეს სასახელო შენობა.

გ. კაჭახიძე.

—

ჭიათურა

შრომის კანონები ირღვევა. ადგილობრივი შინამრეწველები შეგირდების დაუზოგავ ექსპლოატაციას ეწევიან. მათთვის არ არსებობს კვირა-უქმე ან რევოლიუციური დღესასწაული. რომ ჰკითხო ოსტატებს, რათ სჩადიან ამას, გიპასუხებენ: „რვა საათი ჩემს ცოლშვილს ვერ არჩენს“-ო. ნამდვილათ ცოლშვილში კი არა სამიკიტნოებში ატარებენ მთელ დღეებს, შრომის ინსპექტორო, სადა ხარ?

ე. ნ—ლი.

—

ზესტაფონი

დაგვინიშნეთ ვენერიული ავადმყოფობის ექიმი. ჩვენი ქალაქი თავისთავადაც მოზრდილი ქალაქია და სოფლებიც ბევრი შემოსდევს. მიუხედავათ ამისა ზესტაფონში არ არის ვენერიულ ავადმყოფობათა ექიმი, როცა ეს სნეულება ფართედაა ქალაქში გავრცელებული. საჭიროა ასეთი ექიმის გამოგზავნა, თორემ ექიმბაშებს დარჩათ ბურთი და მოედანი.

ზესტაფონელი.

ს. წილკანი (დუშ. მ.)

გლეხები რა შუაშია? 1924 წლის სას.-სამ. გადასახადი გაფლანგა მეზრონის თანამშრომლებმა: სოფიო შარიფაშვილმა და დუმბაძემ. ეხლა განმეორებით მოითხოვენ გლეხებს გადასახადის შესატანათ და ემუქრებიან რეპრესიებით, თუ ისინი დავალიანებას არ გაასწორებენ. კარგა ხანია საჭირო იყო ამ საქმის გამორკვევა, მაგრამ თავს არავინ იწუხებს.

წილკნელი.

ს. ცხრამუხა

— **დაუდევრობის მსხვერპლი.** ამას წინათ გლეხ გორა ბირკაძეს მიჰქონდა ხორბლით მძიმე დატვირთული ურემი. გზაში ურემს მოუნდა ღერძზე საპნის წასმა. მეურმე წაუწვა თვლებს წინ და ისე უსვამდა საპონს. ამ დროს კამეჩები უეცრივ დაიძვრენ და დაწოლილ გლეხს ურემმა წელზე გადაუარა. ერთი კვირის შემდეგ გორა ბირკაძე დიდი წვალებით გარდაიცვალა.

ვ. ლაცაბიძე.

—

ს. ზენამხარი (თიანეთის რ.)

— **როდის მოგვაწვდიან.** სკოლის შენობა არ გვივარგა. სასწავლო ნივთები თითქმის სრულიად არა გვაქვს. ამის შესახებ აღძრული იყო შუამდგომლობა თიანეთის აღმასკომის წინაშე. ამბობენ შუამდგომლობაზე რეზოლიუცია დადებულია სკოლის საჭირო ნივთებით დაკმაყოფილების შესახებ, მაგრამ მარტო რეზოლიუცია რას გვიშველის, თუ სათანადო ნაბიჯი არ იქნა გადადგმული?

მ. ლომჯარია.

წითელ ჯარში

მზადება 23 და 25 თებერვლის დღესასწაულებისათვის

ამ ჟამად ქართულ ჯარის ნაწილებში მიმდინარეობს წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა წითელი არმიის 8 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის კამპანიების ჩასატარებლად ნაწილებში. კამპანიის ჩატარების დროს გაიმართება მოგონებათა საღამოები, საუბრები, ინსცენიროვკები და სხვ.

წაკითხული იქნება განსაკუთრებული ლექციები წითელი ჯარის როლის შესახებ ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საქმეში.

დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან შესდგა საბიბლიოგრაფიო კომისია, რომელიც ამ დღისათვის შეადგენს სიებს იმ შერჩეულ წიგნებისას, რომლებიც დაურიგდება მკითხველ წითელარმიელებს დღესასწაულის დღეებში.

ნაწილებში აგრეთვე ჩატარებული იქნება განსაკუთრებული პოლიტ-მეცადინეობა შეთანაბრებული ამ დღეების მნიშვნელობასთან.

საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე—25 თებერვალს წითელ არმიელთა კლუბში გაიმართება დიდი საზეიმო საღამო.

წყალსადენი

თბ. მაზრის სოფლებში

თბილისის მაზრის სოფლების დიდი ნაწილი მოკლებულია სუფთა სასმელ წყალს, მცხოვრებლები უმთავრესად ხმარობენ მდინარის ან ჭის წყალს, რაც იწვევს მცხოვრებთა მასიურ დაავადმყოფებას, განსაკუთრებით რომელიმე ეპიდემიის დროს.

მთელ რიგ სოფლების მიერ თბილისის აღმასკომის წინაშე აღძრული იყო შუამდგომლობა წყალსადენის მოწყობისათვის სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

აღმასკომის ტეხნიკურმა განყოფილებამ გამოიკვლია თბილისის მაზრის სოფლები წყალსადენის მოწყობის მიზნით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოფლების დიდი ნაწილი საჭიროებენ სუფთა სასმელ წყალს.

გამოკვლევის მთავარი მიზანი იყო გამორკვევა, თუ პირველ რიგში რომელი სოფლები უფრო საჭიროებენ წყლის გაყვანას, რადგან ბიუჯეტით ამ საქმისათვის გადადებული თანხა ითვალისწინებს მხოლოდ იმ სამუშაოებს, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის ზაფხულზე.

ტეხნიკური კომისიის გამოკვლევის შედეგები ასეთია: იმ სოფლების რიცხვი, რომელნიც მოკლებულნი არიან სასმელ წყალს და საჭიროებენ წყალსადენების საფუძვლიან გადაკეთებას, უდრის 40-ს.

გარდა ამისა მრავალ სოფლებში ბუნებრივი წყაროების დებეტი მეტად შემცირებულა ტყეების დაუნდობელი გაჩეხვის გამო. მაგ. ალბულაღის წყარო, რომლის დებეტი 25—30 წლის წინად დღე-ღამეში 37 ათას ვედროს უდრიდა, ამ ჟამად დღე-ღამეში იძლევა მხოლოდ 17 ათას ვედროს ეს მაშინ, როცა მცხოვრებთა რიცხვი ამ რაიონში 30—35 პროც.-ით გაიზარდა.

ასეთი ბედი ეწვია სხვა სოფლების წყაროებსაც.

თბილისის მაზრაში წყალსადენების გაყვანა დაიწყო ჯერ კიდევ გასულ წელს. მაგ. შარშან გაყვანილ იქნა წყალსადენი მანგლისში.

წელს წყალსადენების გასაყვანის კომუნალურ განყოფილების მიერ გამოთხოვილია კომუნალ. ბანკიდან 150 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი, რომელიც მოხმარდება იმ სოფლებში წყლის გაყვანას, რომელნიც ყველაზე მეტად საჭიროებენ.

ბინები მუშებისათვის

მუშათა საბინაო კოოპერატიული აღმშენებლობის დამხმარე რესპუბლიკანურ კომიტეტს განზრახული აქვს საბინაო აღმშენებლობის გასაცხოველებლად გამოიყენოს ის ანარიცხები, რომლებიც მიდის სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებების მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში.

მიმდინარე წლის განმავლობაში დამხმარე კომიტეტს განზრახული აქვს ამ ანარიცხებიდან მოაგროვოს 120—150.000 მან.

დამხმარე კომიტეტი სესხს საბინაო აღმშენებლობისათვის მისცემს ისეთ ამხანაგობებს, რომლებიც ეკონომიურათ უფრო ძლიერი იქნებიან. ამ ღონისძიების საშუალებით შესაძლებელი იქნება მუშათა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის ფართოდ განვითარება.

ამჟამად დამხმარე კომიტეტში მიღებულია სიღნაღის, ხაშურის, ბორჯომის, ზესტაფონის, ცხინვალის, ლიუქსემბურგის და შაუმიანის აღმასკომების შუამდგომლობა ამ ქალაქებში სამიზნო საბინაო გადასახადის შემოღების შესახებ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ეს ქალაქები განთავისუფლებული არიან სამიზნო საბინაო გადასახადისაგან.

გადასახადი შეიძლება შემოღებული იქნეს მხოლოდ სიღნაღში და ზესტაფონში, რადგან დანარჩენ ქალაქებში მნიშვნელოვანი თანხების მიღება ამ გადასახადისაგან მოსალოდნელი არ არის.

კომიტეტმა შეიმუშავა და სახკომსაბჭოში წარადგინა პროექტი დადგენილებისა შეღავათების მინიჭების შესახებ სახელმწიფო წარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც შეუდგებიან ახალ ბინების აგებას. პროექტის თანახმად ქალაქის საბჭოები ვალდებული არიან მისცენ სახელმწიფო წარმოებებს და სამეურნეო ორგანიზაციებს მიწა სახლების ასაგებათ არა ნაკლებ 120 საჟენისა სათანადო წარმოების ახლოს. ასეთ წარმოებებისა და ორგანიზაციების მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება სატყეო მასალების მიწოდების შესახებ საბინაო კოოპერაციისათვის შეღავათიან პირობებში. სატყეო მასალები მათ მიეცემათ საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტიდან თვითღირებულების ფასებში.

რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს, განზრახულია აღნიშნულ წარმოებების მიმართ გამოყენებულ იქნეს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება, რომლის ძალით ახლად აგებული შენობები თავისუფლდებიან ყოველგვარ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისაგან სამი წლის განმავლობაში; ამ ვადის გასვლის შემდეგ კი მათ გადახდებათ მხოლოდ გადასახადის ნახევარი.

მუშათა ცხოვრება

ავდარში შეწყვეტილ მუშაობის ჯილდოს შესახებ

გარდა იმ სამუშაოებისა, რომლებიც სწარმოებენ დახურულ სადგომებში, სადაც ავდარი მუშებს არ აწუხებს, ჩვენ გვაქვს კიდევ ისეთი სამუშაოები, რომლებიც განსაკუთრებით, სწარმოებენ ღია ცის ქვეშ, სადაც ხშირად დიდი წვიმები და სხვა მძიმე ატმოსფერული მოვლენები ხელს უშლიან მუშაობის ნორმალურ წარმოებას და ხშირად შეუძლებლადაც ხდიან ასეთებს. აღნიშნულ შემთხვევებში მუშები იძულებული ხდებიან შეწყვიტონ მუშაობა და ადმინისტრაციაც ვალდებულია გასცეს განკარგულება მუშაობის შეჩერების შესახებ.

ეს ყველაფერი შრომის დაცვის თვალსაზრისით სრულიად კანონიერი, მიზანშეწონილი და აუცილებელია. მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ხშირად ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი დამქირავებელსა და დაქირავებულთა (ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეთა) შორის. ყველა ეს გაუგებრობა - უკმაყოფილებანი იბადებიან ხოლმე უდროვოდ შეწყვეტილ და შეუსრულებელ ნორმალურ სამუშაო დღის მუშაობის ჯილდოს გაცემის ნიადაგზე. ხშირად აღნიშნულ შემთხვევებში მუშები მოითხოვენ ადმინისტრაციისაგან სრულ ხელფასს, ადმინისტრაცია კი ან სრულებით არ თანხმდება ამაზე ან და მუშებს აჯილდოებს იმ რაოდენობით, როგორც თვითონ დაინახავს საჭიროდ. ამას კი მოსდევს დაუსრულებელი დავა და უსიამოვნება მუშების და ადმინისტრაციის შორის, რაც ძალზე აფერხებს ნორმალურ და წარმატებითი მუშაობის საქმეებს. ყველა ამ უნაყოფო და საზიანო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ჩვენმა ადმინისტრაციებმა და მუშებმაც უნდა შეიგნონ ერთხელ და სამუდამოდ შემდეგი:

დიდი წვიმების ან სხვა მძიმე ატმოსფერული მოვლენების შემთხვევებში, (როგორიცაა მაგ. დიდი ყინვები, ქარიშხალი, სეტყვა და სხ.). ცის ქვეშ წარმოებული მუშაობა აუცილებლად შეწყვეტილი უნდა იქნეს ამ სამუშაოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულებით. მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია და დაუშვებელი მხოლოდ იმ გვარ სამუშაოებში, რომლებიც დაკავშირებულია სასწრაფო, საზოგადოებრივად საჭირო შესრულებასთან (როგორიცაა მაგ. რკინისგზის სალიანდაგო, ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მუშაობა, კანალიზაცია და სხვა).

რა ჯილდო უნდა მიეცეს მუშებს ასეთ შემთხვევებში

იმის შესახებ თუ რა ჯილდო უნდა მიეცეს მუშებს ასეთ შემთხვევებში, ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს ა/კ. შრომის სახკომატის 1925 წ. 20 ივნისის განმარტებით, რომლის თანახმად მუდმივ მუშა-მოსამსახურეთ მუშაობის შეწყვეტის დროისათვის ჯილდო ეძლევათ საშუალო ხელფასის მიხედვით იმ საფუძველზე, რომელიც ნაჩვენებია შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 68-ში და ა.-კ. სახკომატის 1924 წ. 23 ივლისის დადგენილება № 102-ში. სეზონურ და დროებით მუშებს, რომელთაც ხელფასი ეძლევათ დღიურად, აღნიშნულ შემთხვევებში ხელფასიდან არაფერი გამოექვითებათ. ხოლო იმ სეზონურ და დროებით მუშებს, რომელთაც ხელფასი ეძლევათ დღიურად ან ნარდად ავდრის გამო გაცდენილ დროისათვის გასამჯელო არ მიეცემათ, თუ კი შრომის ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში არ არის დაწესებული სხვა გვარის პირობები.

იმ შემთხვევებში კი, როდესაც მუშებმა ავდარში დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ეს მუშაობა შემდეგ შეწყდა რამოდენიმე საათით, მაშინ ხელფასი ამ დღისთვის როგორც მუდმივს, ისე დროებით ან სეზონურ მუშა-მოსამსახურეებს მიეცემად სრულად და გაცდენილ საათებისათვის არაფერი გამოექვითებათ.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევებში დამქირავებელს უფლება აქვს თანახმად შრომის კანონთა კოდ. მუხ. 36-ისა როგორც მუდმივი, ისე დროებით და სეზონური მუშები გამოიყენოს სხვა სამუშაოებზე დახურულ სადგომებში.

დინამიტი.

დაფასების ღირსია ასეთი ადგილკომი

რკინისგზის მთავარ სახელოსნოს ადგილკომის მუშაობის შესახებ ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში თითქმის არაფერი არ დაწერილა. იქნება, მართლა, არაფერს აკეთებს ადგილკომი?

ასეთი აზრი არ იქნება სწორი.

6 თვის წინეთ არჩეულმა ჩვენმა ადგილკომმა რა გააკეთა? ამ ექვსი თვის განმავლობაში გატარდა სრული დემოკრატიზაცია საკავშირო მუშაობისა. პროფმუშაობაში აქტიურად ჩაბმული არიან უპარტიო მუშები.

უპარტიო მუშების საქმეში ჩაბმამ დიდი ნაყოფიერი მუშაობა მოგვცა და აი შედეგებიც: ადგილკომის პლენუმის სხდომა შესდგა 17-ჯერ, გარჩეულია დადებთად 110 საკითხი, მოწვეულ იქნა 8 დელეგატთა კრება. ადგილკომს ყავს კომისიები: შრომის, საწარმოო, დამზღვევ სალაროს, შემფასკომის და საორგანიზაციო. საწარმოო კომისიას გაურჩევია 118 კითხვა, აქედან 70% უკვე გატარებულია ცხოვრებაში. შრომის დაცვის კომისიაში გარჩეულია 12 კითხვა—ყველა მუშების სასარგებლოდ. ეს გადაწყვეტილებები უკვე გატარებულია ცხოვრებაში მთელი 100 პროცენტით.

ასეთივე ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია საორგანიზაციო განყოფილებას.

ურთიერთ დამხმარე სალარომ კი ვერ მოიპოვა სიმპატია მუშებში. ძალიან მოისუსტებს მისი წევრიანობა. თავიდან ასე იყო ახლ კი იმასაც დაეტყო გამოფხიზლება, ალბათ იმიტომ, რომ ამ სალაროს საშუალება მიეცა—200 მანეთი ეშოვნა და ამით მან მიიზიდა ახალი წევრები. ალბად აღნიშნულ თანხას გაიტანენ და ერთ წელში აღარ დააბრუნებენ. ეს ცუდი სენი, თავიდანვე დაყოლილია, უნდა რამე ნაირად იგი იქნეს აღმოფხვრილი. გარდა ამ ზემოდ ჩამოთვლილ უმთავრეს საქმეებისა ადგილკომის პრეზიდიუმს აქვს აურაცხელი დღიური საქმეები გაკეთებული.

ყველა ეს შედეგი დემოკრატიზაციის გატარებისა და უპარტიო მუშების საქმეში ჩაბმისა. რაც საკავშირო რკინისგზის ც. კ. ს. წარმომადგენელმაც დაადასტურა როცა გაეცნო ამ ადგილკომის მუშაობას და სთქვა: „თქვენი ხაზი და მუშაობა პირველ ხარისხოვნად უნდა ჩაითვალოსო“.

მუშა ვ. ნ. ბ.

ბოროტმოქმედების და „ნათლიმამობის“ ტლაპოში

(პროკურორის და სისხლის სამართლის მილიციის საყურადღებოდ)

გასულ წელში ცეკავშირის მთავარ საწყობის შენობას გამოუცვალეს სახურავი. ახდილი ძველი თუნუქის სახურავი კი გაიყიდა ნაწილ-ნაწილად, რომლის გაყიდვა მინდობილი ქონდა ამავე საწყობის გამგეს, ბატ. ბ. ლორთქიფანიძეს. ეს თუნუქი თავიდან გადაწონილი არ ყოფილა და იწონებოდა მხოლოდ გაშვების დროს. ისარგებლა რა ამ შემთხვევით, საწყობის გამგემ რომ აქ შეიძლებოდა „აკვრა“ მიითვისა 90 ფუთი თუნუქის ღირებულება 90 მანეთის რაოდენობით. რაც თავის დროზე შემჩნეული იყო თანამშრომლების მიერ და კონტროლიორის მიერაც: ეს უკანასკნელი იჭერდა თუნუქის გასავალს.

ეს ოპერაცია დასრულდა გასული წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მას შემდეგ გავიდა სამი თვე, მაგრამ ზემოხსენებული თანხის შეტანას არ აპირებდა საწყობის გამგე. დავრწმუნდით რა ამ უკანასკნელის ბოროტ-მოქმედებში, ამის შესახებ ვაცნობეთ ცეკავშირის სარევიზიო კომისიას, რომელმაც მოულოდნელად მოახდინა რევიზია და ზემოთ ხსენებული ბოროტ-მოქმედება დაადასტურა. გაუკეთეს აგრეთვე რევიზია გამგის სალაროსაც, სადაც აღმოჩნდა 8 მანეთი და კაპეიკები, რაზედაც ჩვენდა გაუგებარი მიზეზების გამო სარევიზიო კომისიის ოქმი არაფერს ამბობს.

წავიდა თუ არა გამომძიებელი კომისია, დაფაცურდა საწყობის გამგე, იშოვნა ზემოთ ხსენებული თანხა და მეორე დღეს შეიტანა ცეკავშირის სალაროში. დაიხმარა თავის სიძე ცეკავშირის გამგეობის წევრი ივ. ცაგარელი და ეს საქმე მიაფუჩეჩა.

დასკვნა კი ასეთი იყო,—მოხუცებული კაცია და ცოდვააო.

დაფარა რა თავის სიმახინჯე, ამუშავა ნათლიმამები და ერთი კვირის შემდეგ დაგვითხოვეს ჩვენ ხუთი მუშა, ვითომდა შტატის შემცირების გამო სინამდვილეში კი თავიდან მოგვიშორეს.

ცეკავშირის მთავარ საწყობში შტატის შემცირება კი უკვე მოახდინეს რამდენიმე თვის წინედ და დატოვებული იყო მინიმუმი თანამშრომლების კადრისა. ე. ი. 9 ნოქრიდან შემცირებაში მოყვა 6 კაცი, დარჩა 3 კაცი, 9 მუშიდან დაითხოვეს 3—კაცი, ოთხი კანტორის მოხელეებიდან დაითხოვეს 2 კაცი.

საწყობის მუშების კადრს დაეტყო ნაკლებობა და ამისათვის იყო სხვადასხვა ზომები მიღებული, რაც გამოიხატა კერძო მუშების დაქირავებაში და ზედმეტ სამუშაოებში.

ასე სასტიკად უსწორდებიან პატიოსან და სიმართლის დამცველ მუშებს ბოროტები და ნათლიმამობის ბურუსში გახვეული „მუშაკები“.

მუშები: თავდუმაძე

ბადრიძე

კალანდაძე

მაკ. ბალდასაროვი

თ. გოგინაშვილი

გამოგზავნილი წერილებიდან

ამ ვერაგს ჭკუა უნდა ასწავლოთ. პლეხანოვის პროსპექტზედ № 116-ში ცხოვრობს მოქალაქე ირაკლი გოგუაშვილი, რომლის საქციელმა აგვიკლო ამავე ეზოში მცხოვრებნი. ეს ვაჟბატონი ისე გათამამდა, რომ მარტო ჩხუბის და აურზაურის ატეხვაში არ დაკმაყოფილდა თავის ცოლის წინაშე და ეხლა ცემაც დაუწყო. განსაკუთრებით ამ დღეებში ისე მწარედ სცემა, რომ საბრალო ქალი რამდენიმე საათი უგრძნობლად ეგდო იქვე სახლის აივანზედ სისხლში ამოსვრილი და ცხვირპირ დამტვრეული.

ი. კეკელია.

— **თბილ. ალმასკომის საყურადღებოდ.** ჭავჭავაძეს ქუჩა, კრანიდან გაგრძელება და მასზე მდებარე ჩიხი და ქუჩები მოუწესრიგებელია, აქ არის დიდი უსწორმასწორო აღმართები, რომლებიც დიდ სიძნელეს შეადგენენ აქ მაცხოვრებელ მუშა-მოსამსახურეებისათვის, ურმით გავლა აქ შეუძლებელია, სხვა არა იყოს რა ხანძრის დროსაც საფიქრებელია რომ რამე დახმარება გაუწიოს ამ უბანს.

იქაური მუშა.

— **სალაროს თანხით სარგებლობენ, ვალებს კი არ იხდიან.** დუშეთის მაზრაში განათლების მუშაკთა კავშირთან არსებობს ურთიერთ დამხმარე სალარო, ყველასათვის გასაგებია თუ რა დანიშნულება აქვს აღნიშნულ სალაროს. მაგრამ საუბედუროთ ზოგიერთი პროფკავშირის წევრები იყენებენ მას ბოროტად, რაც უშლის ხელს მის მომავალ არსებობას.

მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს კავშირის წევრებს ასეთი საქციელი რაც გამოიხატება შემდეგში:

ზოგიერთმა ამხანაგებმა 1925 წ. პირველ თვეებში და შემდეგ სალაროდან სესხად გაიტანეს თანხა, რომელიც უნდა შემოეტანათ თანახმად წესდებისა არა უგვიანეს სამი თვისა, მაგრამ უკვე უსრულდებათ წელიწადი და არ უფიქრიათ აღნიშნ. თანხის შემოტანაზე. ზოგი ერთი პირები კი გადაყვანილი იქნენ დუშეთის მაზრიდან სხვა მაზრაში სამუშაოდ და გატანილი თანხა კი სრულებით არ მოგონებიათ. დროა მოიგონოთ და გადმოგვიგზავნოთ ძველი დავალიანებები წინააღმდეგ შემთხვევაში არა უგვიანეს 10 დღისა იძულებულნი ვიქნებით გვარები გამოვაქვეყნოთ გაზეთის საშუალებით და მივმართოთ სასამართლოს.

სალ. გამგ. თავმ-რე **დ. თოფურია.**

მუშთა ქრონიკა

—**სახელოსნოს მოწაფეები სწავლობენ სკოლაში.** საფაბრიკო სახელოსნოს მოწაფეები დღეში 4 საათს სწავლობენ სკოლაში, სადაც სხვადასხვა კურსებს გადიან. მათ აქვთ საკუთარი კლუბი და სამკითხველო. სახელოსნოში არის დაარსებული პროლეტ. და დრამ-წრე, სადაც მეცადინეობენ სახელოსნოს მოწაფეები.

— **ფიზკულტურის წრე.** ცენტრალური საქარხნო-საფაბრიკო სახელოსნოს კლუბში დაარსებულია ფიზკულტურის წრე სახელოსნოს მოწაფეებისათვის.

— **რადიო-წრე.** კლუბში დაარსებულია რადიო-წრე და წიგნ-საკინძავი წრე.

— **იმ მიზნით, რომ მოწაფეები ჩაებან კულტ-მუშაობაში,** ცენტრალური საქარხნო-საფაბრიკო სკოლის თვითეულ მოწაფესთვის სავალდებულოა იმუშაონ ერთ-ერთ წრეში.

ქრონიკა

თბ. ალმასკომში

— **საპერსპექტივო გეგმა.** თბ. ალმასკომის საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ალმასკომის ყველა განყოფილებებს 15 თებერვლამდე წარმოადგინონ თავისი მუშაობის 5 წლ. საპერსპექტივო გეგმა.

— **მუშაობის შესასწავლად.** საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა მოახდინოს ალმასკომის განყოფილებათა საანკეტო გამოკვლევა, მათი ფუნქციებისა და სამუშაო აპარატების შესწავლის მიზნით.

— **სასაკლაოს ელექტროფიკაცია.** თბ. ალმასკომს განზრახვა აქვს მოაწყოს სასაკლაოს ელექტროფიკაცია.

— **ზრუნვა წითელარმიელთა ოჯახებზე.** ალმასკომის სამხედრო სექციამ დაადგინა გააუმჯობესოს ჯარში მყოფ წითელარმიელთა ოჯახებისათვის დახმარების საქმე.

— **სამხედრო სექციამ** დაადგინა ალმასკომის საშუალებით აღძრას შუამდგომლობა საქ. ცენტრ. აღმასკომის წინაშე შეღავათებში წასულ წითელარმიელების დასახმარებლად 5 ათასი მან. გადადების შესახებ.

— **სანაპირო ქუჩა.** თბ. ალმასკომი გაზაფხულიდან შეუდგება სანაპირო ქუჩის გაყვანას და კეთილ მოწყობას ვერის ხიდიდან ვერის პარკამდე.

— **გზის შეკეთება.** ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ამაღლების ქუჩიდან კოჯორის გზამდე გადასავალ გზის შეკეთება-მოკირწყვლას.

სასოფლო-სამეურნეო ბანკში

— **სართიჭალის** საკრედიტო ამხანაგობას სართიჭალის რაიონში ჯიშიან საქონლის მოსაშენებლად სას.-სამ. ბანკმა მისცა სესხად 5 ათასი მან.

— **მეხილეობისათვის.** აჭარისტანის სას. სამ. ბანკს საქართველოს ბანკმა გადასცა 5 ათასი მანეთი აჭარისტანში მეხილეობის გასაუმჯობესებლად.

ფ.-ტ. სახ. კომისარიატში

— **ტელეფონები მაზრაში.** აჭარისტანის მაზრებში ტელეფონის მოსაწყობათ გადადებულია 135 ათასი მან.

— **თბილისი—ბათომი.** ამ.-კავკ. ფ.-ტ. საოლქო სამმართ. ახლო მომავალში შეუდგება თბილის—ბათომს შორის ორმავთულიან ტელეფონის ხაზის გაყვანას.

— **საფოსტო განყოფილება.** ს. ხაშმში (თბ. მაზ.) გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

შრომის კომისარიატში

— **ახალი კოლექტივი.** საქ. შრომის სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს თბილისში მოაწყოს ხილეულის და მინერალური წყლების გამყიდველთა კოლექტივი.

— **ტრიკოტაჟის ქარხანა**—კოლექტივის გასაფართოებლად შრომის კოლექტივების გამგეობამ მოსკოვიდან მიიღო მანქანები.

— **ამ.-კავკ. შრომის სახ. კომისარიატმა** გადასწყვიტა მიმდინარე წელში რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებთან მოაწყოს შრომის კოლექტივები განათლების მუშაკთათვის.

დამზღვევ სალაროში

— **პენსიების გაცემა.** გასული თვის განმავლობაში თბ. დამზღვევ სალარომ გასცა 15,291 მან. პენსიის სახით.

— **დასაზღვევი გადასახადი.** იანვარში თბ. დამზღვევ სალაროს შემოუვიდა 307,510 მ. 50 კ. დასაზღვევი გადასახადი.

სამეურნეო დაწესებულებაში

— **აბრეშუმის სართავი ქარხანა.** უმაღ. სამეურნეო საბჭოს ცნობით ოზურგეთის აბრეშუმის საქსოვ-სართავი ქარხანა მზად იქნება მიმდინარე წლის მაისისათვის.

— **ბზა.** აფხაზეთის უმაღლეს სამეურნეო საბჭომ საზღვარგარეთ გაასაღა 10 ათასი ფუთი ბზა.

— **ხატყეთ მრეწველობის ტრესტმა** დაადგინა სვანეთის ხე-ტყის ქარხნის საჭიროებისთვის სვანეთის სატყეოში დაამუშაოს 1 მილიონი ფუთი ხე-ტყე.

შემთხვევები

— **მოკვლის განზრახვა.** 7 თებ. ნაშუადღევს გრიბოედოვის ქ. № 30 ივანე მემალარაშვილს უნდოდა ხანჯლით მოეკლა ბერტა დავითაშვილისა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

— **სიმთვრალის დროს** ლეგიონის მეთაურმა არსენ კირვალიძემ კომუნალურ ქუჩაზე ეტლიდან გაისროლა რევოლვერი. რის შემდეგ აღნიშნული კირვალიძე მილიციის მიერ განიარაღებული და შეპყრობილი იქნა.

— **დაჭრა.** 7 თებ. ხოჯევანქის ქუჩაზე, გიგო ხუთაბაგოვმა დანით დაჭრა მკლავსა და ყელში ნინა ალექსის ასული გამყრელიძე.

— **ქურდობა.** 6 თებ. გონჩარის ქ. № 50 გაქურდეს ეკატერინე ლუბკინას ბინა.

— ამავე დღეს გაქურდეს კირკის ქუჩაზე მდებარე საზაფხულო კლუბის კანტორა.

— 7 თებ. საბჭოს ქ. № 68 გაქურდეს ალექსი ორთქლიშვილის ბინა.

— 6 თებ. პლეხანოვის პრ. № 15 გაქურდეს მიქელიანცს ფეხსაცმლების სახელოსნო.

— 7 თებ. ბელინსკის ქ. № 9 გაქურდეს ნინა მძინარიშვილის ბინა.

— ამავე დღეს კაზბეგოვის ქ. № 22 გაქურდეს რუბენ ხაზაზოვის ბინა.

ხელოვნება

შოთა რუსთაველი

(პორტრეტი ძმ. ჯაფარიძეების)

თვითეულ ეპოქას მხატვრული ნაწარმოების თავისებური გაგება აქვს. ყოველი ეპოქა ნაწარმოებში სცდილობს ამოიკითხოს იგი, რაც აღელვებს მას, რაც აკმაყოფილებს მის სულიერ მოთხოვნილებას, ცდილობს ნაწარმოების აზრი შეუფარდოს თავის საკუთარ სულის კვეთებას. ამის საუკეთესო მაგალითია „ვეფხის ტყაოსნის“ გაგება სხვადასხვა ეპოქაში.
ნის“ გაგება სხვადასხვა ეპოქაში.

ცხადია, საშუალო საუკუნეებში ისე არ ესმოდათ „ვეფხის ტყაოსანი“, როგორც ესმის ჩვენს საუკუნეს; და წარმოდგენაც ვეფხის ტყაოსნის შემქმნელზე ისეთი არ იყო, როგორიც არის დღეს.

ცნობილია, რომ ამ ჟამად ჩვენში გავრცელებული რუსთაველის სურათი არ წარმოადგენს ვეფხის ტყაოსნის ავტორის ნამდვილ სახეს; იგი შექმნილია მონასტერში. დახატულია ვიღაც ბერის მიერ ტაძრის კედელზე და როგორც ასეთი, იგი გამოხატავს განდგომილი ბერის წარმოდგენას მგოსანზე,—სწავლულ ადამიანზე. საშუალო საუკუნის მხატვარს მიუცია მწერლისათვის ბრძენი, სათნო, ღვთის-მოსავი კაცის გამომეტყველება.

ჩვენი წარმოდგენით კი ვეფხის ტყაოსნის შემოქმედი,— [illegible] კულტურული აღორძინების ეპოქაში დაბადებული და აღზრდილი, რაინდობის, მეგობრობის და სიყვარულის კულტის შემქნელი და მომღერალი ვერ იქნება ისეთი, როგორც გამოსახა იგი სარწმუნოებრივი ფანატიზმის და ასკეტიზმის ეპოქის მხატვარმა.

ძმ. ჯაფარიძეების რუსთაველი წარმოადგენს ტრადიციული შეხედულების დარღვევას, მის სრულ წინააღმდეგობას. აქ ჩვენ ვეცნობით რუსთაველს—რაინდს, მეგობრობისა და სიყვარულისთვის აღზნებულ მოყმეს, ენერგიულსა და ჭკვიანს, სწორეთ ისეთს, როგორიც არიან მგოსნის მიერ შექმნილი გმირები ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონი.

მხატვრების ასეთ ინტერპრეტაციით დაცულია იმ ეპოქის ხასიათი, როდესაც სცხოვრობდა მგოსანი; ამავე დროს რუსთაველის ასეთი გაგება ახლო არის ჩვენს დროსთან, რომელიც უარყოფს ყოველგვარ მისტიურობას და ამ ქვეყანას იღებს ბრძოლისა და სიცოცხლისათვის.

რასაკვირველია, რეალურ რუსთაველს არ ავაძლევს არც ძველი და არც ახალი ვარიანტი. მაგრამ გვგონია, რომ ჩვენი დროისთვის უფრო მისაღებია, თუ ტაძრის კედელზე გამოხატულ ბერ-მოლოზანს შესცვლის მეგობრობის ჯვაროსანი—რუსთაველი.

ვ. წ—ძე.

ხელოვნების ქრონიკა

— **„მასწავლებელი ბუბუსი“.** 13 თებერვალს წითელ მცირე თეატრში წარმოდგენილი იქნება ა. ფაიკოს კომედია „მასწავლებელი ბუბუსი“. დადგმა ვოლჩანეცკის.

— **დრამატიული წრე.** ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კლუბთან არსდება დრამატიული წრე. წევრთა ჩაწერა დაიწყება 11 თებერვლიდან.

— **დაიბეჭდა** და ამ დღეებში გამოვა მიხ. ჯავახიშვილის ნაწერების პირველი ტომი. გამოცემა სახელგამის.

— **მონოგრაფია ალ. ჭავჭავაძეზე** პოეტმა ი. გრიშაშვილმა დასწერა მონოგრაფია ალ. ჭავჭავაძეზე.

— **კამერული სალამო.** 15 თებერვალს „ჰაიარტუნში“ გაიმართება მესამე კამერული სალამო, მონაწილეობს სიმებიანი კვარტეტი.

— **„ნათელა“.** ახლო ხანში დამთავრდება ახალ სურათის „ნათელას“ (მეჯლუმ მიქავას) მონტაჟი.

— **„ჰამლეტ“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველი შემადგენლობით „ჰამლეტ“.

— **მიგაის პირველი გასტროლი** გაიმართება დღეს ოპერის თეატრში. მიდის „ევგენი ონეგინი“.

დღეს კინოებში

— **მინიონი**—„კონსული“

— **ოაზისი** „მუსლიმანი ქალი“.

— **პალასი** „ყინულიანი კარნავალი“

კრემატორიუმი თბილისში

თბილისის ალმასკომის კომუნალური განყოფილება თბილისში აგებს კრემატორიუმს, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოწყობილია მხოლოდ ლენინგრადში.

კრემატორიუმის პროექტის დამუშავება მინდობილი ჰქონდა ცნობილ გერმანულ ფირმას—ტოპფეს, რომელმაც თბილისის ალმასკომის კომუნალურ განყოფილებას უკვე გამოუგზავნა დამუშავებული პროექტი.

ეს უკანასკნელი განიხილა კეთილმოწყობის განყოფილების მიერ დანიშნულმა ინჟინერთა სპეციალურმა კომისიამ.

პროექტით კრემატორიუმი შესძლებს ყოველ დღიურად 20—25 გვამის დაწვას. მისი აგებისა და მოწყობისათვის საჭიროა მხოლოდ 6 -7 კვირა.

კრემატორიუმის მუშაობა შემდეგნაირად იწარმოებს:

კრემატორიუმის კარებთან მიტანილ გვამს სპეციალური ვაგონეტის საშუალებით შეასვენებენ დასასვენებელ დარბაზში. აქედან გვამი გატანილი იქნება დერეფანში, რომელიც სავანგებოდ იქნება მოწყობილი ავტომატიური საშუალებით ქვედა სართულში ჩასაზიდათ. ქვედა სართულში მოწყობილი იქნება დარბაზი სხვადასხვა სამოქალაქო და სარწმუნოებრივი ცერემონიების შესასრულებლად. ამ დარბაზიდან გვამი გადაიგზავნება სალუმელე განყოფილებაში, სადაც ვაგონეტის საშუალებით გვამი შედებული იქნება საწვავ ღუმელში.

ღუმელის გახურება იწარმოებს კოქსით, რომელიც სწრაფად იწვება და მალე ახურებს ღუმელს. გვამი ღუმელის სპეციალურ კარებში შეტანილი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ტემპერატურა ღუმელში მიაღწევს 1000 გრადუსს ცელსიით.

პროექტით კრემატორიუმის აგება ჯდება 100 ათას მანეთამდე.

ჩვენი აგარაკები

ბორჯომის წყლების გამოკვლევა

ვინაიდან ბორჯომის მინერალური წყლები ჯერ კიდევ საჭიროებენ დაწვრილებით გამოკვლევას, საქართველოს საკურორტო სამმართველომ ბორჯომის წყლების გამოსაკვლევად მოიწვია ამჟამად საქართველოში მყოფი ცნობილი გერმანელი პროფესორი ჰიდროლოგი პრინცი.

ამ უკანასკნელის აზრით, ბორჯომის მინერალურ წყაროების გამოსაკვლევად და შესასწავლად, რაკი უკანასკნელ დრომდე არ წარმოებულა ამ წყაროებზე სისტემატიური დაკვირვება, საჭიროა განსაკუთრებული ავტომატიური აპარატები, რომელიც შეძენილი უნდა იქნეს უცხოეთში. ამ ზაფხულზე პროფ. პრინცი მოახდენს ბორჯომის წყლების დეტალურ გამოკვლევას ზემოხსენებული სპეციალური აპარატების საშუალებით.

აგარაკების კეთილმოსაწყობად.

სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჟუღელის თაოსნობით ჯერ კიდევ დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა თათბირი საკურორტო საქმეების მოსაწესრიგებლად: აგარაკების კეთილმოწყობის და აგარაკებზე სამკურნალო დაწესებულებების აგების საერთო გეგმის დასამუშავებლად. თათბირმა გეგმის დასამუშავებლად აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომლის მიერ უკვე შედგენილია აგარაკების კეთილმოწყობის საერთო პროგრამა და სამკურნალო დაწესებულებათა ასაგები საერთო გეგმა. პროგრამა დასამტკიცებლად გადაეგზავნა საქართველოს სათანადო უმაღლეს ორგანოებს. საქართველოს აგარაკების კეთილმოსაწყობი სამუშაოების გაფართოვება დამოკიდებულია იმ თანხების რაოდენობაზე, რომელიც ამ მიზნით მიეცემა საკურორტო სამმართველოს.

საბჭოთა სასამართლო

განაჩენი ურთმელიძის საქმეზე

დასრულდა ნოე სიხარულიძის მკვლელის მოქ. ურთმელიძის საქმის გარჩევა.

სასამართლომ ურთმელიძის დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 146 მუხლის მაგიერ, რომელიც წარდგენილი ჰქონდა, შეუფარდა 148 მუხლს (დანაშაული, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი მღელვარების და მძიმე შეურაცხყოფის ნიადაგზე) და ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 ნახ. წლის ვადით წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

დამცველთა კოლეგიის ინსტიტუტი

დამცველთა კოლეგიის ინსტიტუტის როლი კარგად არა აქვს შეთვისებული ხალხს და ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკებსაც. პროვინციაში ასეთ მაგალითსაც ქონებია ადგილი: მხარესათვის მოსამართლეს საქმის გარჩევამდე უთქვამს: „რათ გჭირია დამცველი, ჩვენ აქ არ ვართ“-ო, „შენი საქმისთვის ვექილი საჭირო არ არის“-ო და მხარეს რომ უთხოვია საქმის გარჩევის დროს ვექილის (დამცველის) დაშვება, მოსამართლეს უარი უთქვამს და მხარეს რომ საქმე წაუგია, დამცველს მოუნდომებია იმავე სასამართლოში მოსამართლის წინააღმდეგ ზარალის შესახებ არზის აღძვრა.

იმდენათ სუსტათ არის გაშუქებული დამცველის როლი პროცესში, რომ დღემდე ვერ წარმოუდგენიათ, თუ რა განსხვავებაა ძველ სასამართლოში ძველ დამცველსა (ვექილსა) და ახალ სასამართლოს პროცესში დღევანდელ დამცველ შორის. დღევანდელი დამცველი სასამართლოს თანაშემწეა, რომ მისი ვალია დაეხმაროს როგორც ბრალმდებელს, ისე სასამართლოს მხარეთა მიერ მიწოდებულ მასალაში ადვილათ გარკვევაში, რათა ყოველი დადგენილება, თუ განაჩენი, სინიდისის ქვეშ ისე გამოიტანოს, რომ მიკერძოებითი სახის მიდგომით არც კანონი დაირღვეს და მართალი პიროვნების დასჯით არც გაბატონებული კლასის მორალი და მისი ხელისუფლების ავტორიტეტი შეილახოს. დამცველის ეს დიდი მოწოდება და დანიშნულება დღესაც ვერ შეუგნია არამც თუ უბრალო მოქალაქეს, არამედ მრავალ პასუხისმგებელ მუშაკსაც.

დამცველთა კოლეგიას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და ამით აიხსნება, რომ მის შემადგენლობაში ბევრი უღირსი ელემენტიც ურევია, განსაკუთრებით პროვინციაში იყულიფება მასსა „აბლოკატისაგან“. ასეთი ელემენტები კვებავენ ძველ უარყოფით შეხედულებას დამცველთა კოლეგიაზე.

დროა სათანადო ზომები იქნეს მიღებული დამცველთა კოლეგიის შემადგენლობის გასაჯანსაღებლად და მისი ნამდვილი როლის გასაშუქებლად მასსაში. საბჭოთა არჩევნების დროს, რომელსაც უთანაბარდება და უახლოვდება დამცველთა კოლეგიის ორგანოს არჩევნების და მისი შინაგანი აპარატების გადახალისების ვადაც, ჯეროვანი ყურადღებით უნდა იქნეს ჩატარებული შესაფერისი კამპანია.

დღეს ჩვენ ვატარებთ ფართე კამპანიას რევოლიუციონურ კანონიერების განსამტკიცებლად. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის დამცველთა კოლეგიის ინსტიტუტსაც. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. საბჭოთა კანონების სისწორით გატარება სასამართლოს უკეთ შეუძლია დამცველთა კოლეგიის დახმარებით. ეს გარემოება მოითხოვს დამცველთა კოლეგიის როლის გაშუქებისა და მისი შემადგენლობის გაჯანსაღებისათვის.

შ. მურავიოვი—ჯინჭველაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ ჩვენი ულრმესი მადლობა აკადემიურ გუნდის მთელ შემადგენლობას, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით, რომელთაც ა. წ. 21 იანვარს, ამხ. ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, ჩვენ მიერ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გამართულ საღამოზე სრულიად უსასყიდლოთ მიიღეს მონაწილეობა და ამით ხელი შეუწყეს ამ საღამოს მხატვრულად და წარმატებით ჩატარებას.

ამ. კავკ. და საქართველოს მ. გ. ინსპექციის ადგილკომები.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ქმარს გავეყარე, მომეცემა თუ არა დამზღვევ სალაროდან რძის ფული

კითხვა.

უკვე სამი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც მე გავთხოვდი კანონიერად. ქმარი ჩემი მსახურობდა განათლების დარგში, იყო განათლების მუშაკთა კავშირის წევრი და დაზღვეულიც. პირველ ორ წელს ვცხოვრობდი კარგად. მესამე წელი კი იმის შემდეგ, რაც მე გავხდი ფეხმძიმედ საბედისწერო და სავალალო შეიქმნა ჩვენთვის... ქმარმა შეიყვარა ვიღაც სხვა ქალი. ოჯახს თავი მიანება. იშვიათად მოდიოდა სახლში. ხელფასს სხვაგან ხარჯავდა. „თუ ბავშვი ვაჟი იქნა შეგირიგდები—და შენთან ვიცხოვრებ, თუ ქალიშვილი, უნდა განვშორდეთო“. მართლაც ასე მოხდა. მე მეყოლა ქალი. ქმარმა მაშინათვე თავი გამანება და განქორწინება მოითხოვა სასამართლოს წესით. მე დავთანხმდი, რადგან მასთან ცხოვრება არ შეიძლებოდა და მივიღეთ კანონიერი განქორწინება. სასამართლომ ბავშს მიუსაჯა მამის [illegible].

გთხოვთ განმარტებას, გვაქვს თუ არა უფლება [illegible] ფული დამზღვევ სალაროდან და რამდენი ხნის განმავლობაში.

მუშა ქალი **ირინე.**

პასუხი.

რძის ფული ბავშვის საკვებად დამზღვევ სალაროდან უნდა მოგეცეთ ბავშვის დაბადების დღიდან ცხრა თვის განმავლობაში.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვარ რკ. გზის მუშა; ვსახურობ სადგ. ნავთლუღში და ჯამაგირს ვღებულობ მე-6 თანრიგით 39 მან. 50 კაპ. ოთახის უქონლობის გამო მოვთავსდი ჩემ ნაცნობ ერთი თვითმშრომელთა კავშირის წევრთან იმ პირობით, რომ ჩემი ხვედრი ნახევარი ოთახის ქირა გადავიხადო მე. ვცხოვრობ დიდუბეში ორჯონიკიძის ქუჩაზე (ყოფ. ანდრეევის) სახ. № 104-ში.

გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენი გადაუხადო სახლის პატრონს თვითეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირა.

სადგ. ნავთლუღის მუშა

ივანე გვილავა.

პასუხი

საცხოვრებელ მოედანის თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ორ კაპეიკს.

კითხვა

მეჭირავს ამათუნოვის ქუჩაზე სახლი № 30-ში ერთი ოთახი სიგრძით 6 არშ., სიგანით 5 არ. ვცხოვრობთ შიგ 6 სული, ყველა უმუშევრები ამათში ვართ კომკავშირის წევრები—სამი კაცი.

რამდენი გვეკუთვნის ბინის ქირის გადასახადი.

იროდიონ ბოჭორიშვილი.

პასუხი

თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ, როგორც უმუშევრები, კავშირის წევრები და დაზღვეულები, იხდით ერთ კაპეიკს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

თემებისა და სოფლების შვიდწლიან და ცხრაწლიან შრომის სასწავლებლებში სწავლის ფულის გადახდევინების შეჩერების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წლის ნოემბრის 18-ის თარიღით და 123 №-ით გამოცემული დადგენილებით შემოღებული სწავლის ფულის გადახდევინება შეჩერებულ იქნეს თემების და სოფლების შვიდწლიან და ცხრაწლიან შრომის სასწავლებლებში სათანადო საკანონმდებლო აქტის გამოცემამდე.
2. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გადახდილ სასწავლო წლის პირველი ან მეორე ნახევარწლის სწავლის ფული ჩაირიცხოს ადგილობრივ სასწავლებლების სპეციალურ ფონდში და მოხმარდეს ამ სასწავლებლის საჭიროებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. **სალარიძე.**

1926 წ. თებერვლის 6.
თბილისი, სასახლე.

დადგენილება № 52/4

ა/კ. ფ. ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის საქართველოში.

1926 წ. თებერვლის 6.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით მრავალი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება არ ასრულებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას № 13, „სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების მიერ სავაჭრო წიგნების სავალდებულო წარმოების შესახებ“.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო წინადადებას აძლევს ყველა იმ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებს, რომელნიც ვალდებულნი არიან აწარმოონ სავაჭრო წიგნები, დაუყოვნებლივ შემოიღონ ისინი და გაატარონ რეგისტრაციაში ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **გამყრელიძე.**
საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ოთხშაბათს, 10 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, თ. კ. მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება **ქალაქის და სოფლის დამაკავშირებელ საზ. თბილისის საბჭოს სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

ასრიბეკოვი, სვანიძე, პაპავა, გუდავაძე, ტორიკაშვილი, ყიფიანი, ლუკაშევიჩი, სტეფანოვი. ს. კანდელაკი, ედიგაროვი, მიხაილოვი, მელიქოვი. ხვიჩია, მატინიანი, მირიჯანაშვილი, საყვარელიძე, ხახანოვი, მგალობლიშვილი, კიკნაძე, არეშიძე, ედიშერაშვილი, ბერისტოვი, პაშინი, კარელი, თაქთაქოვი, კობიძე, იაშვილი, თარხნოვი.

მეორე რაიკომის ქალთა განყ. იუწყება: დღეს, 9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მუშ. ც. კლუბში შესდგება მეორე რაიონის ქალთა ორგანიზატორების კრება.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

მდივანი **ფანცულაია.**

ქალაქის რაიკომის ქალთა განყ. იუწყება: დღეს, 9 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე, ქალაქის ალმასკომის დარბაზში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება (ქართულ და რუსულ შეერთებული ჯგუფების).

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისათვის და ქალთა ორგანიზატორებისთვის.

განყ. გამგე **ზელიავცევა.**

დღეს, 9 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ყოფ. ცენტ. პარტკლუბში შესდგება ანტირელიგიოზურ სემინარიის მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა ჩაწერილ ამხანაგებისთვის.

დღეს, 9 თებერვალს, სწორედ დილის 8 ნახ. საათზე შესდგება **თ. კომიტეტის საამ. კოლეგიის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

გუდავაძე, გეგორქიანი, ადამიანი, ისახანოვა, კუტუბიძე, კულეშევა, კალანდაძე, ბუხნიკაშვილი, კანდელაკი, მხითაროვა, სვანიძე, კადაიშ, ვ. ბახტაძე, არუთინოვა, მაჯავარიანი, ლედნევა.

განცხადებები

გულდათუთქულნი და უდროვოდ დამწუხრებულნი დედა—მინადორა, ბებია—სალომე, დები—ანნა და ფედოსია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი

დიმიტრი (კიჭი) ქუჩულორიას

უდროვოდ გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა)
1447 კვირას, 14 თებერვალს. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმა—დიომიდე, ბიძა—დომენტი ქუჩულორია, რძლები:—ლუბა და ანგელინა ქუჩულორიასი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ მათი უძვირფასესი

დიმიტრი (კიჭი) ქუჩულორიას

უდროვოდ გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა)
1447 კვირას, 14 თებერვალს. 1 1

სახელმწიფო ოპერა დღეს, 9 თებერვალს,
ს. ი. მიგაის გასტროლი.
„ევგენი ონეგინი“
(ბილეთები გაყიდულია)
ოთხშაბათს, 10 თებერვალს
ტენორ დ. ანდღულაძის დებიუტი
„ბალ-მასკარადი“ ოპერა ვერდის
მონაწ. დამსახ. მსახ. პოპოვა, სედენკო, ვოლჩონეცკაია, ანდღულაძე, ალექსაშინი, სუხოდოლსკი და სხვა.
ხუთშაბათს, 11 თებერვალს
მიგაი და სტეპანოვა
„რიგოლეტო“ (ბილეთები გაყიდულია)
შაბათს, 13 თებერვალს
ს. ი. მიგაის გასტროლი
„ევგენი ონეგინი“
სამშაბათს, 16 თებერვალს
ს. ი. მიგაი და სტეპანოვა
კ ა რ მ ე ნ ი
ნ. 740 6—1

სახელმწიფო ოპერა გასტროლები
ს. ი. მიგაის და ე. ა. სტეპანოვასი
სამშაბათს, 16 თებერვალს
მიგაი და სტეპანოვა კ ა რ მ ე ნ
ოთხშაბათს, 17 თებერვალს
ს. ი. მიგაი ევგენი ონეგინი
პარასკევს 19 თებერვალს
ს. ი. მიგაი დ ე მ ო ნ ი
კვირას, 21 თებერვალს
მიგაი და სტეპანოვა რ ი გ ო ლ ე ტ ო
დღეს 11 საათამდე მიიღება განცხადებები ორგანიზაციებიდან 11—3-მდე იქნება ბილეთების გაცემა.
ნ. 741 საღამოს 6 საათიდან დაიწყება საერთო გაყიდვა. 6—1

რუსთაველის თეატრი დღეს, 9 თებერვალს,
ჰ ა მ ლ ე ტ
მონაწილეობს პირველი შემადგენლობა
ხუთშაბათს, 11 თებერვალს
ლ ა მ ა რ ა
გრ. რობაქიძის
ნ. 742 2—1

არფასტო-სოლეი
ერთსა და იმავე დროს საუკეთესო სურათი პოლა ნეგრის მონაწ.
„ი ვ ე ტ ტ ა“
დადგმა მსოფლიო რეჟისორის ერნსტ ლიუბიჩის (რომელსაც საზოგადოება იცნობს განთქმულ სურათის „როზიტა“-ს დადგმით)
ანონსი: ახლო მომავალში დიდი ხნის ნანატრი—„ნიბელუნგები“
ნ. 739 1—1

აპოლლო
არტისტთო
ლოლეი

ახალი ამ სეზონში

„КИРПИЧИКИ" და პროგრამის გარეშე სენსაციური კომედია „ШАХМАТНАЯ ГОРЯЧКА"

სეზონის საუკეთესო სურათი პოლა ნეგრის მონაწ.

„ი მ ე ჩ ე ა"

დიდმა მსოფლიო რეჟისორის ერნსტ ლიუბიჩის (განთქმულ სურათის „როზიტას" რეჟისორი) —:— ფასები განახლებულია.

ანონსი: ჩქარა „ნიბელუნგები".

ი—19 ნ. 699

ხელისმომწერლებმა და ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, დილის 10 საათზე გან. მუშ. სახლში (ალუბლის ქ. № 3) გაიხსნება

სრულიად საქ. განათლების მუშაკთა კავშირის

მე-5 ყრილობა

დღის წესრიგი.

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
2. მოხსენება ს.ს.რ.კ. გან. მუშ. კავშირის ც. კომ.-ის მუშაობის შესახებ.
3. გან. მუშ. კავშირის ც.გ. ანგარიში.
4. საქ. გან. სახალხო კომისარიატის მოხსენება.
5. აფხაზეთის გან. სახალხო კომისარიატის მოხსენება.
6. აჭარისტანის გან. სახ. კომისარიატის მოხსენება.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სატ. საეკონომიო საკითხები.
9. კულტ.-განათლების საკითხები.
10. ც. გ. და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

2—1 ნ. 737 ცენტ. გამგეობა

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმარტებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან —6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან —2 საათამდე.

სასახლის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექ. ე. მ. მძ ნარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღით 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა სექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი **თოფაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივ უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 საათამდე

ბელგიის ქუჩა № 1.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი

მ. ლ. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის (ოლღას ქუჩა 49) ტელ. 4—82.

1355 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა, დილით 9—1 საათ. საღამოს თი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ექიმი **გ. მეჰრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

დ. აგაშა

კბილის ექიმ

ა. ნადარეიშვილმა

განახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25—1 № 1306

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ელიზბარ ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან კიბე სახლი. 25—1

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 490 და სარეგისტრაციო ბარათი № 11. გიორგი შიოს ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1443

დაიკარგა კავშირის წიგნაკი საბჭოთა მოსამსახურეთა № 430 მიქაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1452

დაიკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 53104 და გემოკვეთის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 5059 გრიშა პეტროვის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1451

დაიკარგა პირადობის მოწმობა და საალრიცხო ბარათი გრიგოლ აბულაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 1451 (ა)

დაიკარგა რკინის გზის მოწმობა № 35403 და სკოლის საბუთები შალვა რუხაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1446

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფ. № 4 დავით გამბაროვის სახელზე ჩ. გ. 1—1 1445

დაიკარგა კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 2295 ვანო ილარიონის ძე ბენდიანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1444

დაიკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 3446 სევერიანე კახნიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 743

დაიკარგა მატრიკული № 388 სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაცემული გიორგი სიმონის ძე თეშიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1455

1926 წ. გამოიწერეთ 1926 წ.

ყოველთვ. სასილუსტრაციო ჟურნალი ნადირობის ყველა დარგის ქართულ და რუსულ ენაზე

ნადირობა

ორგანო საქ. მონადირეთა კავშირის ||| გამოცემის მე-2-ე წელი

ჟურნალის ამოცანაა: ლიკვიდაცია უყოს ნადირობის უცოდინარობას და მიაწოდოს ამხ. მონადირეებს საჭირო ცნობები და სასარგებლო მასალები.

ჟურნალი აშუქებს მონადირეებს სახელმძღვანელო მასალებს და ყოველმხრივ აშუქებს: სამონადირო საქმეებს, როგორც ა/კ., ისე ს. ს. რესპუბლიკებში, საქ. მონადირეთა კავშირის არსებობას და მის მოღვაწეობას, სანადირო მეურნეობის მდგომარეობას და მის საჭიროებებს, მეძაღლეობისა და იარაღის ტექნიკის საკითხებს, იძლევა ცნობებს, ნადირობის წარმოებისა, გარეულ ფრინველთა, ნადირთა და აგრეთვე ბუდეების და ცხვის შესახებ, აღწერს ცხოველთა ყოფა-ცხოვრებას და მათ ზნე-ჩვეულებებს, აძლევს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს და ცნობებს ახალგაზრდა მონადირეებს, ათავსებს მოთხრობებს და მოგონებებს, რომლებიც ხატავენ, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ბუნებას, მომადირეთა ცხოვრებას და სხვა..

პასუხისმგებელი რედაქტორი: ვ. ფანცხავა

მონადირეთა შორის ჟურნალის გავრცელების მიზნით და, რომ კავშირის ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომი იქნეს იგი, ფასი ჟურნალზე საგრძნობლად დაკლებულია.

ხელის. მომწერთათვის ფასი წლიურად 3 მან.

ფულის გადახდა შეიძლება ნაწილობრივ. თითო მანეთი თვეში

ცალკე ნომერი ღირს 30 კაპ

კავშირის წევრთა განცხადებები გაშვებულ იქნებიან შეღავათიან ფასებში.

რედაქციის მისამართი: თბილისი რუსთავ. გამზირი (პროსპექტი) № 34

2—2 ნ. 727

გამომცემლობა

„მეცნიერება საქართველოში"

ამით აცხადებს ხელმომწერთა საყურადღებოთ, რომ უკვე გამოიცა და დარიგდა შემდეგი წიგნები:

1. „ქართული ლიტერ. ისტორია" ვ. კოტეტიშვილის ნაწ. 1.
2. „საქართველოს რესპუბლიკის საწარმოო ძალები" პროფ. გ. გერახმანის.
3. ძველი ქართული თეატრი მ. აბრამიშვილის
4. ქართული მუსიკა პროფ. დ. არაყიშვილის
5. ქართული ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა გ. ნათაძის ნაწილი 1 და
6. „ „ 2.

იბეჭდება და მარტის პირველი რიცხვებისათვის დაურიგდებათ ხელმომწერთ უკანასკნელი ორი წიგნიც ვ. კოტეტიშვილის ქართ. ლიტერატ. ისტ. ნაწ. 2 და „პროფ. გ. ჩუბინაშვილის" ქართ. ხელოვნების ისტორია.

გამომცემლობა სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირთ ყოველგვარ ცნობისათვის მიმართოს გამომცემლობის მთავარ კანტორას: თბილისი, ლენინის ქ. № 8.

1—1 გამომცემლობა

წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი, თანახმად 304 მუხ. სამოქ. სასამართ. საპროც. კოდექსისა, ამით აცხადებს, რომ 27 მომავალ თებერვლის თვეში დილით 9 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავი ქონებისა ფახულანის კოოპერატივ „ალორძინებისა", რაც შეადგენს ფართლეულობას და სხვ დასაკმაყოფილებლად სრულიად საკავშირო სატყეო სინდიკატისა. აღწერილი ქონება შეფასებულია 889 მან. 91 კაპ. ვაჭრობა დაიწყება აწერილი თანხიდან.

წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ნ. 725 1—1 ხ. მალაშხია.

1926 წლის 25 იანვარს

ქ. სამტრედიიდან საკუთარი ბინიდან წავიდა სადღაც და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა ჩემი შვილი ვაჟი მიშა 15 წლის, სრული ტანის, თმა მოწითური, ფერმკრთალი, შავი ბლუზა შარვლით. ყველა ამხანაგს, მილიციის ორგანოებს და სხვა დაწესებულებათ ვსთხოვ, თუ ნახონ ასეთი ბავშვი, მაცნობონ ქ. სამტრედიაში ალექსი ანდრიას ძე ფოცხვერიას (მემუხრუჭე). 1443 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენ. დაარსებული

მიხეილ ჩედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყარლანოვის ქ. № 20.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12-4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 13 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი

დ. ა. ჩედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ჭონქაძეს ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8 საათ.

ქალების—საღამოთი 5—6 საათ.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რუზო მაჩაბლისა (ზემმლის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი **ნ. ცურიაშვილი**

საშოსნოს და ქალის სნეულებანი. მიღება სალ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ნეროვის) ქუჩა № 22. 25—1

ხალხთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—13

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოპოლკოვი ამით აცხადებს, რომ ის 13 თებერვალს 1926 წ., დღის 12 საათზე სახლში № 30 ნოვო-ტროიცკის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მაქსიმილიან ლემბერის და „ხიმინის" მოძრავ ქონებას: მაკარონის ქარხნის მოწყობილობას, შეფასებულს 161 მანეთად და 50 კაპ. „ამოღებულის" ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე 2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 20 ნოემბერს 1925 წ. თარიღით, № 4243 გაცემულ აღსასრულებელ ფურცლისა.

1449 1—1

თბილის. მე-2 უბ. არაპირდაპირ გადასახ. ინსპექტორი

ამით აცხადებს, რომ 1926 წ. 10 თებერვალს, 12 საათზე მე-4 სამილიციო უბანში ოქრომჭედლების ქ. № 52 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ალექსანდრე ბერიანიძის ღვინის სარდაფზე დარჩენილ აქციზის ვალის ასანაზღაურებლად, სადაც გაიყიდება 100 ვედრო ღვინო, 10 ვედრო ძმარი, მაგიდები, სკამები, ჭურჭლეულობა, კედლის საათი, ღვინის ცარიელი კასრები და სხვა.

ნ. 734 1—1

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

საბჭოთა საქართველოს გზა-ტკეცილების

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 10 თებერვალს, დღის 12 საათ. სამმართველოს შენობაში—მაჩაბლის ქ. (ყოფ. სერგიევის), № 8 დანიშნულია

— შეჯიბრება —

მეტეხის ხიდის საბეტონო სამუშაოების იჯარით გასაცემად. სამუშაოს რაოდენობა აღნიშნულია ქვევით

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან იმ კვალიფიციურ მუშების საარტელო ორგანიზაციები, რომლებიც აღრიცხული არიან მშენებელთა პროფკავშირში და რომლებსაც აქვთ სათანადო მოწმობა.

ის პირნი, რომლებსაც სურთ სამუშაოების იჯარით აღება 10 თებერვლის დღის 12 საათამდე ბდგენენ წერილობით განცხადებას დახურულ კონვერტებში წარწერით: „საბჭოთა საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველოში: 1926 წ. 10 თებერვლის შეჯიბრებისათვის" და აღნიშნავენ შესასრულებელ სამუშაოს ფასებს ცალცალკე.

განცხადებები, რომელიც შემოტანილი იქნება აღნიშნულ დღის 12 საათის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ის პირნი, რომელთაც შემოაქვთ განცხადება, ვალდებული არიან წინასწარ გაეცნონ სამუშაოების პირობებს ხიდის აშენების ადგილზე, მდინარე მტკვარზე, ა/კ. რკინის გზის სადგ. მეტეხის მახლობლად.

სამუშაოები სწარმოებს ორ წყებათ, განათების არსებულ პირობებში.

სამუშაოების დაწყების ვადა—15 თებერვალი.

ყველა სამუშაოების 40 პროც.-ის შესრულების ვადა—22 თებერვალი.

ყველა სამუშაოების გათავების ვადა—1926 წ. 1 მარტი.

გზატკეცილების სამმართველო იტოვებს სამუშაოების 15 პროც.-ით გადიდების ან შემცირების უფლებას.

საარტელო და მუშათა ორგანიზაციებისაგან საწინდრის შემოტანა საჭირო არ არის. აღებულ სამუშაოების საერთო ღირებულების 10 პროც. საწინდარი შეიქმნება 30 პროც. ანარიცხით ყველა გადასახადებიდან საწინდრის ზემო აღნიშნულ რაოდენობამდე.

გზა-ტკეცილების სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაოები კონკურენტების მიერ განცხადებულ არა უმცირეს ფასად იმ შემთხვევაში, როდესაც უფრო მაღალი ფასის წარმომდგენი კონკურენტი სარგებლობს მეტი ნდობით.

შესრულებული უნდა იქნეს შემდეგი სამუშაოები:

ა) ფორმების გაკეთება თაღის ზევითა კედლების ტინობების მოსაწყობათ დამზადებულ მასალებით... 90 კვ. საჟ.

ბ) ტინობის გაკეთება 1:3:6 პროპორციით 3 და 4 მანძილის კამარებს შორის, დამზადებულ მასალებით 24 კუბ. საჟ.

გ) ტინობის ჩადგმა 1:4:8: პროპორციით იმავე კამარებს შორის, დამზადებულ მასალებით—32 კუბ. საჟ.

დ) დამზადებული უნდა იქნას გაცხრილვით და ადგილზე მიტანით გარეცხილი: ხრეში—18 კუბ. საჟ., სილა—6 კუბ. საჟ.

ე) დამზადებული იქნას გაცხრილვით და ადგილზე მიტანით გაურეცხელი: ხრეში—32 კუბ. საჟ. სილა—16 კუბ. საჟ.

2—1 ნ. 733

ბ ა ლ ა ნ ს ი

საქართველოს ს. მ. უ. ს. საფეიქრო, საპნის და ზეთის ტრესტის

1924 წ. ოქტომბრის 1-ს

აქტივი

I. ქონება: *)			
1. შენობები და ნაგებობანი	17,5	218.412—12	
2. ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი	26,6	331.532—47	
3. ახლად შეძენილი	0,5	5.760—85	555.705—44
II. დაუმთავრებელი შენობები და კაპ. რემონტი	21,2		264.105—73
III. მასალები:			
1. ძირითადი	11,8	146.617—14	
2. სათბობი	0,0	113—34	146.730—48
IV. დაუმთავრებელი ნამზადი, ნახევარ ნაწარმი	3,7		45.467—11
V. საქონელი და მზა ნაწარმი			
1. საწყობებში და მაღაზიებში	4,5	56.618—73	
2. გზაში	0,2	2.435—87	59.054—60
VI. ფულადი სალარო და ფასიანი ქაღალდები:			
1. სალარო და მიმდინარე ან-ში	0,6	7.343—78	
2. ფასიანი ქაღალდები	0,0	600—65	7.944—43
VII. ანგარიშსავალდებულო თანხები	0,5		6.138—20
VIII. მიღებული ვალდებულებანი და დოკუმენტ.			
1. მიღებული თამასუქები	5,9		66.149—73
IX. დებიტორები:			
1. მუშა-მოსამსახურენი	0,3	4.050—41	
2. მყიდველები	4,9	60.858—80	
3. ს.მ.უ.ს. განყოფილ. და ტრესტები	1,6	20.044—30	
4. სხვადასხვა	0,1	912—17	85.865—68
X. მომავალი საანგარიშო წლის ხარჯები	0,7		8.558—71
ბალანსი . . .	100,0		1.245.720—11

პასივი

I. კაპიტალები:			
1. საწესდებო:			
ა) ძირითადი	52,4	653.162—57	
ბ) საბრუნავი	12,9	160.110—95	813.273—52
2. საამორტიზაციო	1,0		50.378—49
3. მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობეს. ფონდი	0,3		3.168—23
II. სესხი და კრედიტები:			
1. სესხი	13,6	169.330—00	
2. ბანკები განაღდებულ თამასუქებით	4,0	49.655—35	218.985—35
III. გაცემული თამასუქები	1,0		12.305—45
IV. კრედიტორები:			
1. მუშა-მოსამსახურენი	0,2	2.800—81	
2. გამყიდველ-მიმწოდებელნი და მონარდენი	4,0	49.750—92	
3. განყოფილ. და ტრესტები	2,6	32.935—84	85.487—57
V. მოგება:			
1. საანგარიშო წლამდე	0,2	2.866—50	
2. საანგარიშო წლის	4,8	59.255—00	62.121—50
ბალანსი . . .	100,0		1.245.720—11

*) საქართ. ეკონომიურ საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 21, № 27 დადგენილების თანახმად, ნაციონალიზაციის წესით მიღებული ქონება ნაჩვენებია ომის წინადროინდელ მანეთებში.

ბალანსის გარე მუხლები:

ა) მიწის ნაკვეთები: 7.461 კვ. საჟ.—11.332 მანეთი

ტრესტის მმართველი **აგარონოვი**

მთავარი ბუხჰალტერი **ლიუტი**

მოგების განაწილება:

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად	10%	— 5.925—50
საშემოსავლო გადასახადი	10 „	— 5.925—50
სათადარიგო ფონდში	20 „	—11.851—00
ხაზინის სასარგებლოდ	20 „	—11.851—00
საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად	40 „	—23.702—00
სულ	100 „	—59.255—00

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.უ.ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ა.-კ. სახკომსაბჭოს 1925 წლის აპრილის 2, № 18 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი

პ. ა. ჯანელიძე

საქართველოს ს.მ.უ.ს. საფეიქრო, საპნის და ზეთის ტრესტის

ზარალ-მოგების ან-ში

დებეტი. 1923 | 24 საანგარიშო წლისა კრედიტი.

№ № რიგზე	ანგარიშთა დასახელება	თანხა		№ № რიგზე	ანგარიშთა დასახელება	თანხა	
1	საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	58.028	24	1	მოგება საქონლისა და მასალების გაყიდვისაგან	145.467	58
2	ვალიუტის კურსის განსხვავება	6.100	22	2	ვალიუტის კურსის განსხვავება	1.203	52
3	სხვადასხვა შემთხვევითი ზარალი.	33.398	39	3	სხვადასხვა შემოსავალი	10.110	75
4	ნამეტი (მოგება)	59.255	—				
	ბალანსი . . .	156.781	85		ბალანსი . . .	156.781	85

ტრესტის მმართველი: **აგარონოვი.**

მთავარი ბუხჰალტერი: **ლიუტი**

ნ. 735 1—1

ტირაჟი—24.710

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს წყლულკიძის ქუჩა № 4